



მხატვრული ქარგვა



სახელმძღვანელო „მხატვრული ქარგვა“ შეიქმნა პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

წიგნის რეცენზენტი:

ირინა კოშორიძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელწიფო მუზეუმის დირექტორი.

ნანული აზიკური - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. ტრადიციული რეწვის საუკეთესო პედაგოგი. საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია.

რედაქტორი:

მაია ტიელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი



ავტორთა შესახებ

მხატვრული ქარგვის სახელმძღვანელო ეხება პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მეოთხე საფეხურით გათვალისწინებული დარგობრივი მოდულების ძირითად მოთხოვნებს.

სახელმძღვანელო რამდენიმე ავტორის შრომის შედეგად შეიქმნა. იგი შემუშავდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმისა და თანამედროვე ქართული ხალხური რეწვის ცნობილი ოსტატების უშუალო კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მონაწილეობით.



მხატვრული ქარგვა საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. დასაინანია, რომ ეს საქმე დავიწყებას მიეცა. აღსანიშნავია, რომ მხატვრული ქარგვის პროგრამა პროფესიული სასწავლებლებისათვის მხოლოდ ახლა შემუშავდა. პროგრამის სტანდარტის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ ეპოქის გამორჩეულ ოსტატს ქ-ნ ეთერ უროტაძეს (დედა თამარი), რომლის წყალობით შემოგვრჩა და აღორძინდა ქართული მხატვრული ქარგვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება - ნამაგრი სითვით ქარგვა. **დედა თამარი (ე. უროტაძე) -**

სახელმძღვანელოს შექმნისას, თვალსაჩინოების გამდიდრების მიზნით, გარდა სამუზეუმო ექსპონატებისა, ჩვენ ასევე გამოყენებული გვაქვს დედა თამარის (ე. უროტაძე) არაერთი ნამუშევარი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ და მადლიერებით მოვიხსენიოთ ამ სახელმძღვანელოს შედგენაში მონაწილე სპეციალისტები:

იზოლდა მელიქიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, სახელმძღვანელოს ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

ნინო გზირიშვილი - სახელმძღვანელოს თანაავტორი, აკად. დოქტორი.

ეთერ სულხანიშვილი - საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის ასისტენტ-კურატორი.

მარინა წიკლაური - საწარმოო კომპანია „ელსელემას“ დირექტორი.

ლიანა ანიაშვილი - ხალხური რეწვის ოსტატი.

ცირა გელოვანი - მძიური ქარგვისა და ქსოვის ოსტატი

შინაარსი

თავი I

1.1. თავი - ხატვის ტექნიკური საშუალებების მომზადება	-10
1.1.1. სასწავლო სტუდია სახელოსნოს გარემო	10
1.1.2. სახელოსნოს ინვენტარი	-10
1.1.3. ხატვის ტექნიკური საშუალებები - ხელსაწყო იარაღები და მასალა	10
1.2. თავი - ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	-14
1.2.1. ფანქრის დაჭერის პოზიციები შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით	-14
1.2.2. შტრიხების ნაირსახეობები	-17
1.3. თავი - კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები	-20
1.3.1. კომპოზიციის ძირითადი პრინციპები	-20
1.3.2. გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიცია	21
1.4. თავი - ნატურიდან სხვადასხვა საგნების დახატვა	-25
1.4.1. ნატურიდან გადმოხატვის მეთოდი	-25
1.4.2. ნატურიდან გეომეტრიული ფიგურების აგება	26
1.4.3. როგორ გადმოვცეთ საგნის მოცულობითი ფორმები	-34
1.5. თავი - წყლის საღებავებით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება	-39
1.5.1. ფერები	-39
1.5.2. აკვარელის საღებავებით შესრულებული ტექნიკური ხერხები	-44
1.6. თავი - ნატურმორტის დახატვა	-48
1.6.1. ფანქარში და ფერში შესრულებული ნატურმორტი	-48

თავი II

2.1. ქარგვისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების მომზადება -----	60
2.1.1. ქარგვის სახელოსნო -----	60
2.1.2. ხელით ქარგვისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალა -----	61

თავი III

3.1. სითვით (ორხმრივი სითვით) ქარგვა -----	76
3.1.1. ორხმრივი სითვით ქარგვის ტექნოლოგიური პროცესი -----	76

თავი IV

4.1. ნამაგრი სითვით შესრულებული სხვადასხვა მეთოდი -----	86
4.1.1. ნამაგრი სითვის ტექნიკური ხერხების დაუფლება -----	86

თავი V

5.1. ჯვრულით ქარგვა -----	115
5.1.1. ჯვრულით ქარგვის ტრადიციები საქართველოში -----	115
5.1.2. ჯვრულით ქარგვის ტექნიკური ხერხები -----	116
5.1.3. ჯვრულით ნაქარგის შემკობა -----	127

თავი VI

6.1. მძივით ქარგვა -----	132
6.1.1. სამუშაო ადგილისა და მასალის მომზადება საქარგავად -----	132
6.1.2. მარგალიტით ქარგვა -----	136
6.1.3. მინის მძივებით ქარგვა -----	140
6.1.4. მძივით ქარგვის სახეობები -----	141
6.2. მძივით ქსოვა -----	145
6.2.1. მძივით ქსოვის ტექნოლოგიური პროცესი -----	145

თავი VII

7.1. კვანძური ქარგვა (როკოკო) -----	151
7.1.1. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით ქარგვა -----	151
7.2. ქსოვილის ლენტური ქარგვა -----	158
7.2.1. ქსოვილის ლენტური ტექნოლოგიით ქარგვა -----	158

თავი VIII

8.1. შიბით ქარგვა და ქსოვა -----	171
8.1.1. შიბით ქარგვის ტრადიციები საქართველოში -----	171
8.1.2. შიბით ქსოვა -----	175

თავი IX

9.1. მანქანური ნაქარგობის ტექნოლოგიური პროცესი -----	180
9.1.1. საქარგავი მანქანის შესახებ მოკლე ისტორიული ცნობები-----	180
9.1.2. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქარგავი და ნაქარგობის კომპიუტერული დამუშავება -----	182
9.1.3. პროგრამული მანქანით ქარგვა -----	183

თავი X

10.1. საქარგავი მასალების ღებვა -----	191
10.1.1.სამღებრო სამუშაოსათვის საჭირო გარემოს ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა	191
10.1.2. ღებვის პროცესის ძირითადი ეტაპი -----	193
10.1.3. ბუნებრივი საღებავების ძირითადი ჯგუფები -----	202
10.1.4. ღებვის სხვადასხვა წესი საქართველოში ეთნოგრაფიული მასალა -----	206

თავი XI

11.1. ქართული ტრადიციული ქარგვა -----	211
11.1.1. ქართული ტრადიციული ქარგვის ნიმუშების წარმოშობის ისტორია -----	211
11.1.2. საღვთისმსახურო სამოსი და მისი სიმბოლიკა -----	214
11.1.3. ფერისა და ფორმის სიმბოლიკა ტრადიციულ ქარგვაში -----	218
11.1.4. ორნამენტი ქართულ ტრადიციულ ნაქარგობაში -----	224

თავი XII

12.1. ნაქარგობის ტექნოლოგიური დამუშავება -----	240
12.1.1. ნაქარგობის თბურ - დანამვითი წესით დამუშავება -----	240
12.1.2. ნამაგრი სითვით ნაქარგის დამუშავება -----	241
12.1.3. დასრულებული ნაქარგის სარჩულით დამუშავება -----	243

თავი XIII

13.1. ნაქარგობის რესტავრაცისა -კონსერვაცია -----	249
---	------------

13.1.1. სარესტავრაციო მასალისა და ხელსაწყოების შერჩევა - - - - -	249
13.1.2. სარესტავრაციო ნივთის გაწმენდა - - - - -	253
13.1.3. სარესტავრაციო ნაქარგობის დუბლირებისა და რესტავრაციის პროცესი - - - - -	256
13.1.4. ხალიჩებისა და ფარდაგების რესტავრაცია -კონსერვაცია - - - - -	261
ლექსიკონი - - - - -	265



წინასიტყვაობა

ქარგვა საქართველოში უძველესი დროიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ის ძირითადად ქალის საქმიანობას წარმოადგენდა, გავრცელებული იყო საზოგადოების ყველა ფენასა და თითქმის ყველა ოჯახში იყო მქარგველი. არსებობდა სახელოსნოები, სადაც გაერთიანებული იყვნენ მქსოველნი, მქარგველნი, მღებავნი, მკერავნი და სხვანი. ამ ოსტატების საქმიანობა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა სახელმწიფოსთვის, რომ მე-17-მე-18 საუკუნეებში მათ საქმიანობას კანონმდებლობით აწესრიგებდნენ.

ქართული ნაქარგობის წარმოშობა და განვითარება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საქართველოში საფეიქრო საქმის უძველეს კულტურასთან. მეაბრეშუმეობა რომ განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, არაერთი წერილობითი წყაროთია დადასტურებული. აბრეშუმის კულტურის განვითარებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა კახეთის რეგიონი. მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლით ირკვევა, რომ ქართულ საფეიქრო წარმოებაში ფართოდ გამოიყენებოდა სელი, ბამბა, აბრეშუმი. ამ მასალით დამზადებული ქსოვილები დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. იგი გაჰქონდათ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ვაჭრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „მე-9 საუკუნიდან მოყოლებული აბრეშუმის ქსოვილი, როგორც ძვირფასი სამოსის მასალა, სხვა ნაწარმთა შორის პირველ ადგილს იკავებს საექსპორტო საქონელში“.

ქარგვის ხელოვნება რომ განვითარების მაღალ დონეზე იდგა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „117 წელს ფარსმან მეფემ ადრიანე კეისარს ძვირფას საჩუქრად გაუგზავნა ოქროთი შემკული სამასი ხელი სამოსი.“

რაც შეეხება სახელოსნოებს, სადაც ეს საქმიანობა მიმდინარეობდა, ისინი ძირითადად ეკლესია - მონასტრებში, დიდგვაროვანთა კარის ეკლესიებსა და მათ ოჯახებში იყო განთავსებული. ამ საქმიანობას ეწეოდნენ თვით დედოფლები და მათი ასულები. ამის დამადასტურებელია პლატონ იოსელიანის ცნობა: „1798 წელს, გიორგი მეცამეტის ბრძანებით, გალატაკეხული ეკლესიებისთვის მოჭედეს გამარცვულნი წმინდანი ხატნი, დედოფალი და მეფის რძალნი და ქალნი სასახლისა მხლებელნი მათი გამდელნი და გამდელთა მოახლენი კერვიდნენ დღე და დამე შესამოსელსა... იკერებოდნენ ოლარნი, საბუხარნი, ფილონნი და სტიხარნი ფარჩათა მაღლისა ფასისა და დაბალთა სოფელთა შინა მოსახმართა.“

ეს წინარე ისტორიული მიმოხილვა, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ დღესაც დეკორატიული ხელოვნების სფერო საინტერესო და აქტუალურია. ამან განაპირობა სახელმძღვანელოს - „მატერული ქარგვა“ შექმნისა და მისი სასწავლო პროგრამაში ჩაშვების სურვილი.

სახელმძღვანელოს დამკვეთია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია, დაეხმაროს პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს ნაქარგობის რთული და საინტერესო ხელობის ათვისებასა და შესწავლაში.

სახელმძღვანელო შედგება 13 თავისაგან. ყოველი თავი შეესაბამება მქარგავის პროგრამის სავალდებულო მოდულს. თითოეულ თავში განხილულია ყველა ის საკითხი, რომლებიც მოცემული მოდულის სრულყოფილი შედეგის მისაღწევად საჭირო.

პირველი თავი ეთმობა ფანქრითა და წყლის საღებავებით ხატვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. წარმოდგენილი მასალა გამოყენებულია ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სახელმძღვანელოში. ვინაიდან ორივე პროგრამაში ისწავლება ეს მოდული და ავტორი ერთი და იგივეა, ამან განაპირობა გამეორება.

მეორე თავში განხილულია ქარგვისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალა. იქიდან გამომდინარე, რომ ქარგვის ყველა სახეობაში, რომლებიც ამ სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი, თითქმის ყველგან ერთი და იგივე მასალა და ხელსაწყოები გამოიყენება. ამან განაპირობა ერთ თავში ამ საკითხის განხილვა და მასალის ვიზუალური წარმოჩენა.

მესამე თავი საქართველოში და თითქმის ყველა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ ორმხრივი სითვით ქარგვას ეთმობა.

მეოთხე თავი ნამაგრი სითვის ტექნიკის თავისებურებებსა და ქარგვის ამ სახეობის უნიკალურ საკითხებს ეძღვნება.

მეხუთე თავში წარმოდგენილია ჯვრული ტექნიკით ქარგვა, რომელიც ასევე პოპულარულია მრავალ ქვეყანაში, მაგრამ აქვე ცალკეა გამოყოფილი საქართველოს ულამაზესი კუთხის - ხევსურეთის ქარგულობა, სადაც დაცულია უძველესი ტექნიკური ხერხები და ფერთა გამა.

მეექვსე თავი მძივით ქარგვასა და ქსოვას ეთმობა. აქ მოთხრობილია მძივური ქარგვის უძველეს ტექნოლოგიებზე, რომლებიც მოიცავს მარგალიტით ქარგვასა და ასევე საუბარია საქართველოში გვიან, მე-19 საუკუნეში, შემოსული მინის მძივებით („ბისერი“) ქარგვის ტექნიკურ ხერხებზე.

მეშვიდე თავი კვანძური (როკოკო) და ქსოვილის ლენტური ქარგვის შესახებ მოგვითხრობს.

მერვე თავი შიბით ქარგვისა და ქსოვის შესახებ მოგვითხრობს. ქარგვისა და ქსოვის ეს სახეობა საქართველოს მთიანი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი.

მეცხრე თავში საუბარია მანქანურ ქარგვაზე, რომელშიც განხილულია როგორც სამრეწველო, ისე საყოფაცხოვრებო საქარგავი მანქანების გამოყენებისა და მათთან მუშაობის დროს უსაფრთხოების დაცვის საკითხები.

მეათე თავი ეთმობა საქარგავი მასალების ღებვის უძველეს და თანამედროვე ტექნოლოგიებს. აქვე საუბარია ბუნებრივ და ქიმიურ სამღებრო საშუალებებზე.

მეთერთმეტე თავი ქართული დრადიციული ქარგვის ტექნიკურ ხერხებთან ერთად ფართოდ წარმოაჩენს ტრადიციული ქარგვით შესრულებულ ნაქარგობის ნიმუშებს, მოგვითხრობს მათ სიმბოლურ და რიტუალურ დანიშნულებაზე.

მეთორმეტე თავი ნაქარგობის ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდებს ეხება, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა მიმართულებას და შექმნილი პროდუქციის საბოლოო, დასრულებული სახის მიცემის შესახებ მოგვითხრობს.


მეცამეტე თავში წარმოდგენილია ნაქარგობის რესტავრაცია - კონსერვაციის საკითხები, რომელშიც განხილულია სარესტავრაციო საქმიანობის სხვადასხვა მეთოდი.

სახელმძღვანელოს ბოლოს თან ერთვის განმარტებითი ლექსიკონი.

თითოეულ თავს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურისა და ინტერნეტ რესურსების სია. ყველა თავის ბოლოში მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისთვის.

ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა

თავი I





შესავალი

სახელმძღვანელო შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო პროფესიული მოდულის „ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვის“ სწავლებისათვის და მოიცავს ყველა პრაქტიკულ საკითხს. აუცილებელია, რომ მომავალი მხატვარი დაეუფლოს სხვადასხვა საშემსრულებლო ოსტატობას, იცოდეს ხატვისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებისა და მასალის გამოყენება ნახატში. ნახატი - ეს არის საფუძველი ნებისმიერი სახვითი ხელოვნების. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა შემოქმედმა ადამიანმა იცოდეს ხატვა. ნახატი ადამიანს უვითარებს უნარს, რომ დააკვირდეს სამყაროს და ხატვის დროს ხელებიც უფრო მარჯვე და მოხერხებულა.

როგორც ცნობილია, ადამიანისთვის ხელოვნება სულიერი და პრაქტიკული საქმიანობაა, რომელიც მიმართულია მხატვრული უნარების შესათვისებლად. საბოლოოდ, ამ საქმიანობის შედეგად იქმნება ხელოვნების ნიმუშები.

სახელმძღვანელო „ფანქრითა და წყლის საღებავებით ხატვა“ დაყოფილია თავებად. თითოეული თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რომელბიც პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარებათ პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში.

სახელმძღვანელოს პირველ თავში განხილულია სასწავლო სტუდიის - სახელოსნოს გარემო, მისი მოწყობის პირობები, ხატვისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალის ჩამონათვალი, ასევე თითოეული ნივთის აღწერა, ფანქრის დაჭერის სხვადასხვა პოზიცია შესასრულებელი ნამუშევრის მიხედვით, უბრალო ფანქრით შტრიხების შესრულების სხვადასხვა ტექნიკური ხერხი, კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები, სახატავ

1.1. თ ა ვ ი - ხატვის ტექნიკური სამუალებების მომზადება

ქალაღდზე ნახატის კომპოზიციური განაწილება, ნატურიდან მარტივი გეომეტრიული ფიგურების გადმოხატვის მეთოდები, მათი მოცულობითი ფორმების მიცემა შუქ-ჩრდილების გამოყენებით, ფერების ყველა კომპონენტი და აკვარელის საღებავებით ხატვის ტექნიკური ხერხები, ნატურმორტის ხატვა, როგორც ფანქარში, ისე წყლის საღებავებით.



1.1.1. სასწავლო სტუდია - სახელოსნოს გარემო

სასწავლო სტუდია - სახელოსნო აუცილებელია იყოს დიდი და ნათელი, ფანჯრები სასურველია იყოს სახელოსნოს ერთ მხარეს - ჩრდილოეთით, რადგან მოდელზე დაცემულმა მზის სხივებმა არ დაარღვიოს შუქ-ჩრდილის ტონალობა. კედლები სასურველია იყოს ღია ნაცრისფერი, თეთრი ჭერი და იატაკი შედარებით მუქი ტონალობის. ასეთ გარემოში თეთრი თაბაშირის და სხვა დასახატი მოდელები უფრო მკვეთრად გამოჩნდება. დასახატი მოდელის განათება უნდა ხდებოდეს ერთი მხრიდან, დღისით ბუნებრივი განათებით, ღამით კი ხელოვნური განათების დახმარებით, რათა გარკვევით გამოჩნდეს დასახატავი მოდელის ფორმები.

1.1.2. სასწავლო სტუდია - სახელოსნო აღჭურვილი უნდა იყოს ხატვისათვის მოსახერხებელი ინვენტარით:

- ხის სადგამი/მოლბერტი, რომელზეც მხატვარი ათავსებს ნახატს;
- მხატვრის ხის დაფა, რომელზეც მაგრდება ფურცელი;
- დასაჯდომი ხის სკამი/ტუმბო;

- დასახატი მოდელის სადგამი;
- ხელსაწყო იარაღებისა და მასალის დასადები ტუმბო, რომელიც ხატვის დროს, თუ მხატვარი არ არის ცაცია, თავსდება მარჯვენა მხარეს.

1.1.3. ხატვის ტექნიკური საშუალებები - ხელსაწყო იარაღები და მასალა

ფანქარი: ფანქრის სახეობები იყოფა ორ ტიპად: უბრალო და ფერად ფანქრებად. ფანქრის ღერო დამზადებულია საკვები ნახშირისა და მშრალი სხვადასხვა ფერის საღებავისაგან, რომელიც მოთავსებულია ბუდეში. ფანქრის ბუდე არის ერთჯერადი, რომელიც დამზადებულია ხის მასალისა და მრავალჯერადი პლასტმასის ან მეტალის მექანიკური ბუდისაგან. უბრალო ფანქარი იწყება ღია ნაცრისფერი ტონალობიდან და აღწევს მუქ შავ ტონალობას. უბრალო ფანქრები ერთმანეთისაგან განსხვავდება ღეროს სიმაგრით, რომელიც ყოველთვის მითითებულია ფანქარზე სხვადასხვა ასოებით. მაგალითად: ევროპული ქვეყნები ფანქარზე აღნიშნავენ **HB** ასოთი და რუსეთი აღნიშნავს **TM** ასოთი. ყველაზე მეტი სიმაგრით აღნიშნება ფანქარი, რომელზეც დატანილია **H** და **T** ასო.

საშუალო სიმაგრის ფანქარზე დატანილია **HB** და **TM** ასო. რბილი სიმაგრის ფანქრებზე დატანილია **B** და **M** ასო (ცხრილი 1).

ფანქრის სიმაგრის განმსაზღვრელი ცხრილი 1

ტონალობა	ევროპა	რუსეთი
	B	M
	HB	TM
	F	-
	H	T
	2H	2T

9H	8H	7H	6H	5H	4H	3H	2H	H	F	HB	B	2B	3B	4B	5B	6B	7B	8B	9B
----	----	----	----	----	----	----	----	---	---	----	---	----	----	----	----	----	----	----	----



საშლელი:

თანამედროვე ეპოქაში საშლელი მზადდება რეზინისაგან. საშლელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის. სასურველია იყოს რბილი, რადგან რაც უფრო რბილია, მით უფრო სასიამოვნოა, მოხერხებულია და ადვილად შლის ფანქარს ფურცლიდან. ფანქრის წაშლის დროს საშლელი ხშირად ცხიმინდება და ისვრება, რომელიც სასურველია გასუფთავდეს ხის დაფაზე.

სათლელი: საკანცელარიო დანა - რომელიც გამოიყენება ფანქრის წასათლელად. საკანცელარიო სათლელი - მარტივი მექანიზმით, რომელშიც ფანქრის ტრიალით ავტომატურად ითლება ფანქარი.

ჭიკარტი: ფურცლის ხის დაფაზე დასამაგრებელი საშუალება.

შვეული: ბაწარზე მობმული პატარა მძიმე მეტალის ნივთი, რომელიც მხატვარს ეხმარება დასახატავი მოდელის პროპორციებში გასაზომად.

დასახატავი ფურცელი: თეთრი სახატავი ფურცელი („ვატმანის“) - მაღალხარისხიანი, ზედაპირზე ფაქტურის გარეშე. მიეკუთვნება ქაღალდის იმ ტიპს, რომელზეც ხატავენ მხატვრები ფანქარში და წყლის საღებავებით.

სურ: 1. წყლის საღებავი - აკვარელი

აკვარელი: მცენარეულ წებოზე დამზადებული წყალში ხსნადი საღებავი. აკვარელის წყალში გახსნის დროს წარმოიქმნება ქაღალდზე გამჭვირვალე საღებავის, მსუბუქი, ჰაეროვანი ფერების გადასვლა. გამოყენებითი ხელოვნების დარგის წარმომადგენლები ძირითადად ხატავენ ფერწერულ კომპოზიციებს აკვარელის გამოყენებით (სურ:1).

ფუნჯი: წყლის საღებავების დასახატავად საჭიროა საუკეთესო ხარისხის მასალისაგან დამზადებული ფუნჯები. ძირითადად, აკვარელის ფუნჯი მზადდება ციყვის კუდის ბეწვისაგან და ფორმა აქვს ოვალური (სურ:2).

სურ: 2 აკვარელის

ფუნჯები

კითხვები



თვითშემოწმებისათვის

1.2. ფანქრით ხატვის მარტივი ტექნიკური ხერხების შესრულება


1. ჩამოთვალეთ ფანქრით ადა წყლის საღებავების გამოყენებით დასახატავად საჭირო ხელსაწყო-იარაღები და მასალა?
2. ჩამოთვალეთ ხატვისათვის მოსახერხებელი ინვენტარი?
3. რა მასალისაგან მზადდება ერთჯერადი ფანქარი?
4. რა მასალისაგან მზადდება საშლელი?
5. როგორი საშლელი შლის კარგად ფანქარს ფურცლიდან?
6. რისთვის გამოიყენება ჭიკარტი?
7. რა არის შვეული?
8. რა მასალისაგან მზადდება აკვარელის ფუნჯი?
9. აკვარელი რა ტიპის საღებავს მიეკუთვნება?
10. რა ეწოდება მხატვრის სკამს?
11. რა ფერის კედელია სასურველი, რომ იყოს სტუდია-სახელოსნოში?

1.2.1.
დაჭერის

ფანქრის


პოზიციები შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ხატვის სწავლის დროს როგორ გიჭირავს ფანქარი.




სურ: 3

სურათში: 3 - ხელისა და ფანქრის ისეთი მდგომარეობაა ნაჩვენები, როდესაც მხატვარი ხატავს პატარა ნახატს.




სურ: 4

სურათში: 4 - ნაჩვენებია ხელისა და ფანქრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მხატვარი ხატავს ფანქრის წვერით სახატავ ქალაქს.




სურ: 5

სურათში: 5 - ნაჩვენებია ხელისა და ფანქრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მხატვარი ხატავს დიდ სურათს დახრილ დაფაზე.




სურ: 6

სურათში: 6 - ნაჩვენებია ხელისა და ფანქრის არასწორი მდგომარეობა ხატვის პროცესში. ხატვის დროს თვალი მიმართულია სახატავი ქაღალდის ცენტრისკენ პერპენდიკულარულად (სურ: 8).



სურ: 7 თვალის არასწორი მიმართულება.




სურ: 8 თვალის სწორი მიმართულება.

1.2.2. შტრიხების ნაირსახეობები


სახატავი ქალაქი უნდა იყოს გლუვი, რომ გაუძლოს საშლელით ფანქრის ხშირ წაშლას. დაფაზე ქალაქი მაგრდება ჭიკარტებით. ხატვის დროს დაფა დახრილია. ფანქრის წვერი ყოველთვის უნდა იყოს კარგი გათლილი, კონუსის ფორმის.

პირველ ეტაპზე ხდება უბრალო ფანქრის შერჩევა ინტესიურობის მიხედვით (სურ:9).




სურ: 9. უბრალო ფანქრის ტონალობა.

მეორე ეტაპზე ისწავლება შტრიხების ტექნიკური ხერხები (სურ:10,11).



სურ: 10. სხვადასხვა შტრიხის ტონალობა.



სურ: 11. შტრიხების ნაირსახეობები.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. როგორ არის მიმართული თვალთახედვა ხატვის დროს?
2. როგორი უნდა იყოს სახატავი ქალაქი?
3. რითი მაგრდება სახატავი ფურცელი დაფაზე?
4. რა მდგომარეობაშია ხატვის დროს დაფა?
5. რა ფორმა აქვს გათლილ ფანქარს?
6. როგორ ფანქარს ვირჩევთ ხატვის დაწყების წინ?
7. ხატვის დროს საჭიროა თუ არა კარგად გათლილი ფანქრით ხატვა?
8. რომელ სურათზეა ნაჩვენები ხატვის დროს ფანქრისა და ხელის არასწორი მდგომარეობა?
9. საჭიროა თუ არა ხატვის დროს ისეთი ფურცელი, რომელიც საშლელის გამოყენებით ფანქრის ხშირ წაშლას უძლებს?
10. რა ეწოდება ფანქრით შესრულებულ სავარჯიშოებს?
11. ხატვის საწყის ეტაპზე ვხატავთ უბრალო თუ ფერადი ფანქრით?

1.3. კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები

1.3.1. კომპოზიციის ძირითადი პრინციპები

სანამ დავიწყებთ ხატვას, უნდა ვიცოდეთ, რა არის კომპოზიცია. კომპოზიცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „შედგენას“, „შექმნას“. კომპოზიცია არის ხელოვნების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. რაც არ უნდა კარგად და ეფექტურად დაიხატოს მოცემულობა, თუ ფორმებისა და დეტალების განლაგება ცუდია, მაშინ კომპოზიცია ვერ გამოვა რიგიანი. ამით კი ტექნიკურად კარგად დამუშავებული ნახატი მნიშვნელოვნად დაკარგავს ღირებულებას. კომპოზიცია არის საგნების სწორი განლაგება ფურცელზე ისე, რომ ბევრი თავისუფალი ადგილი არ დარჩეს. ამისათვის უნდა შევისწავლოთ ფურცლის გვერდები (ფურცლის კუთხე, ქვედა მხარე, ზედა მხარე და გვერდები). ნახატი რომ არ გამოვიდეს ფურცელთან შედარებით ძალიან დიდი ან პატარა, უნდა გავანაწილოთ სწორად, ანუ დავადგინოთ თანაფარდობა ქაღალდის ფურცელსა და მასზე გამოსახატავ საგანს შორის. საჭიროა ვეცადოთ, ვხატოთ ქაღალდის შუაში, იმისთვის, რომ ჩანაფიქრი მოთავსდეს მასზე მთლიანად, რათა ზედა, ქვედა და გვერდით მხარეებზე დარჩეს ნაკლები ადგილი. კომპოზიციის შედგენის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხედვას, დაკვირვებასა და გააზრებას ყოველივე იმისა, თუ რა დასახატავ საგნებს გადმოვცემთ და როგორ შევუფარდოთ ისინი ერთმანეთს. საგნები ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ მათი განლაგების კანონზომიერება იყოს დაცული.

ნახატის შეფასების დროს ხშირად ამბობენ: ნამუშევარი მძიმეა, წონასწორობაა დაცული, სიმეტრიულადაა განაწილებული, ასიმეტრიულადაა განაწილებული, სტატიკურია, დინამიკურია, ნახატში იგრძნობა რიტმი, ნახატში პროპორციაა დაცული, კონტრასტი იგრძნობა და ა. შ. ყველა ეს შეფასება კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებია.

მაგალითად: ნახატში სიმეტრია არის რაიმე მთელის ნაწილების თანაზომიერი, პროპორციული განლაგება ცენტრის შუაგულის მიმართ.

ასიმეტრია არის სიმეტრიის უქონლობა ან დარღვევა.

დინამიკა არის რაიმე მოვლენის პროცესის ცვალებადობის განვითარების მიმდინარეობა.

სტატიკური არის წონასწორობაში მყოფი, უძრავი.


პროპორციის დაცვა ნახატში ძალიან მნიშვნელოვანია და მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. გადმოხატვის დროს თუ დასახატავი მოდელის პროპორციები დარღვეულია, მაშინ მსგავსება იქნება ნაკლები.

კონტრასტი არის მკვეთრად გამოხატული სხვაობა.

რიტმა - რიტმი ძირითადად ლიტერატურაში გამოიყენება და არის ცალკეული ბგერების გამეორება, თუმცა მხატვრებიც იყენებენ ნამუშევრის შეფასების დროს ამ ტერმინს.


სიტყვა - წონასწორობა გამოიყენება სხვადასხვა დარგში. ნამუშევრის შეფასების დროს მაგალითად: „მათში იგრძნობა განსაცვიფრებელი წონასწორობა“ და ა.შ.

1.3.2. გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიცია




სურ: 12.

კომპოზიციის ხატვის ათვისება უმჯობესია დაიწყოს უბრალო სივრცობრივი ფორმებით. მაგალითად: გეომეტრიული სხეულებით, რომელთაც აქვთ გამოკვეთილი კონსტრუქციული აგებულება (სურ: 12,13,14).




სურ: 13



სურ:14

ნებისმიერი სურათის ხატვა იწყება გამოსახულების კომპოზიციური განაწილებით. სასწავლო ნახატზე კომპოზიციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საგნის და მისი ნაწილების ისე განლაგება, რომ შეიქმნას ერთიანი, ჰარმონიული და გამომსახველობითი მთლიანობა (სურ:15,16,17).



სურ:15.



სურ: 16



სურ:17.

კომპოზიციაზე მუშაობისას უნდა ვისწავლოთ კომპოზიციური ხედვა. კომპოზიციური ხედვა შეიძლება განვავითაროთ შემდეგნაირად. მაგალითად: ქალაქზე ლაქა ჩავსვათ ჩარჩოში ან რაიმე დახატული საგანი. ამ ხერხების ათვისების შემდეგ შეიძლება ვეცადოთ გავართულოთ ამოცანა შემდეგი პრინციპით - „მარტივიდან რთულისკენ“, კომპოზიციაში შევიტანოთ ორი და მეტი საგანი.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. ლათინურად რას ნიშნავს სიტყვა „კომპოზიცია“?
2. რა არის სიმეტრია?
3. რა არის დინამიკა?
4. საჭიროა თუ არა მხატვარს ჰქონდეს კომპოზიციური ხედვა?
5. პირველად რომელი სივრცობრივი ფორმებით ისწავლება კომპოზიციის განაწილება ფურცელზე?
6. მნიშვნელოვანია თუ არა ნახატში იყოს პროპორცია დაცული?
7. რა არის სტატიკური?
8. რა არის ასიმეტრია?
9. რა არის კონტრასტი?
10. რა არის რითმა?

1.4. ნატურიდან სხვადასხვა საგნების დახატვა

1.4.1. ნატურიდან გადმოხატვის მეთოდი

ხატვის დროს ადგილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თქვენი მხედველობის არე უნდა აღიქვამდეს დასახატავ მოდელს მთლიანად და გარკვევით.

ნატურიდან ხატვის დროს აუცილებელია:

1. იქამდე, სანამ დავიწყებთ ნატურიდან ხატვას, აუცილებელია განვსაზღვროთ თემის მიხედვით საგნების დადგმა.
2. შევისწავლოთ ნატურიდან გადმოხატვის მეთოდები. იქამდე, სანამ დავსხდებით დადგმული მოდელის დასახატავად, აუცილებელია შევათვალიეროთ ყველა მხრიდან და განათების გათვალისწინებით შევარჩიოთ საუკეთესო ადგილი და დასახატავი ობიექტი წარმოვიდგინოთ ისე, როგორც უკვე ქალაქში დახატული.
3. განვსაზღვროთ დასახატავი მოდელის მასშტაბი და სწორად განვათავსოთ სახატავი ქალაქი (ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად). საჭიროა მხედველობით შეფასდეს, რომელი ზომაა განმსაზღვრელი მოცემულ მომენტში, სიგანე თუ სიმაღლე. თუ საგნების სიმაღლე არ შეესაბამება ფორმატის სიმაღლეს და ისინი განლაგებულია სიგანეში, მაშინ ქალაქი უნდა შეესაბამებოდეს მის სიგანეს. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ ცენტრალური სხივისა და განაპირა წერტილების გამოყენება, რისი საშუალებითაც შემდგომში განისაზღვრება ქალაქში მისი ზომები და მასშტაბები.
4. განვსაზღვროთ დასახატავი მოდელის ცენტრი.
5. მოვნიშნოთ დასახატავი მოდელი სახატავ ქალაქში კომპოზიციის პრინციპების გათვალისწინებით.
6. ავაგოთ დასახატავი მოდელი პერსპექტივის, პროპორციისა და ხასიათის გადმოცემის გათვალისწინებით.
7. გადმოვცეთ საგნების მოცულობითი ფორმები შუქ-ჩრდილების საშუალებით.
8. საბოლოოდ დავასრულოთ მუშაობა და ნახატს მივცეთ გამთლიანებული სახე.

ნახატში რომ ზუსტად გადმოვცეთ დასახატავი მოდელის ზუსტი პროპორციები, ამისთვის საჭიროა რამდენჯერმე გავზომოთ. პირველ რიგში, დავსხდეთ დასახატავი მოდელის პირდაპირ, ავილოთ გათლილი ფანქარი, რომლის წვერიც მიმართული იქნება ზემოთ, გავსწოროთ თვალის დონეზე და გავშალოთ ხელი. დავხუჭოთ ცალი თვალი და შევუსაბამოთ ფანქრის წვერი დასახატავი მოდელის ზედა მხარეს და ისე მოვხაროთ ცერა თითი, რომ ემთხვეოდეს მოდელის ქვედა მხარეს. შემდეგ კი მოვნიშნოთ ფურცელზე ორი ნიშანი. პირველი ასახავს დასახატავი ობიექტის ზედა მხარეს, მეორე - ქვედა მხარეს. ასე აღვნიშნავთ ფურცელზე დასახატავი მოდელის სიმაღლეს. თუ ფანქარს დავიჭერთ ჰორიზონტალურ

მდგომარეობაში, ასე გავზომავთ დასახატავი ობიექტის განს. გავიმეოროთ პროცესი კომპოზიციაში შემავალი ყველა ძირითადი ობიექტებისათვის. გავაკეთებთ რა ამ მარტივ სავარჯიშოს, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველა პროპორცია სწორად არის გადმოცემული.


1.4.2. ნატურიდან გეომეტრიული ფიგურების აგება

გეომეტრიული სხეულები და აბსტრაქციები საშუალებას გვაძლევს სწორად აღვიქვათ კონკრეტული სივრცე და სხეული, გავიგოთ სინათლის გავრცელება მასზე.

გეომეტრიული სხეულების შესწავლა და დახატვა წარმოადგენს რთული ფორმების სამომავლოდ გამოსახვის საფუძველს.

იმისათვის, რომ ვისწავლოთ გეომეტრიული ფორმების სწორი გამოსახვა, საჭიროა დავინახოთ გეომეტრიული ფორმების თვალისაგან დაფარული შინაგანი სტრუქტურა - კონსტრუქცია. სიტყვა კონსტრუქცია მოდის ლათინური სიტყვიდან („construct”), რომელიც ნიშნავს „შენებას“, „აგებას“.

დამწყებ მხატვრებს, ერთი შეხედვით, გეომეტრიული ფიგურების ხატვა იოლი ჰგონიათ, მაგრამ ეს ასე არ არის. პირველ რიგში, უნდა გავითავისოთ ხატვის მეთოდები და გავანალიზოთ დასახატავი გეომეტრიული ფიგურა. იმისათვის, რომ სწორად გადმოვიხატოთ გეომეტრიული ფიგურები, საჭიროა ხშირად ვხატოთ ისინი პერსპექტივაში. სიტყვა „პერსპექტივა“ წარმოშობილია ლათინური ზმნისაგან „perspicere”, რაც ნიშნავს გამჭოლ ხედვას. პერსპექტივა ეფუძნება ხილვადი ფორმების სახეების შესწავლას და მისი მიზანია სასურათე სიბრტყეზე შექმნას საგნის მდებარეობის განთავსების ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც თვით ბუნება ასახავს ჩვენი თვალის ბადურაზე. მხატვარს პერსპექტივა საშუალებას აძლევს გამოსახოს სივრცის კომპოზიციური ელემენტები. დამოკიდებულ მანძილთან ფორმები მნიშვნელოვნად იცვლება. მაგალითად: რკინიგზის ლიანდაგები შორ მანძილზე თითქოს ვიწროვდება და ბოლოს თავს იყრის ერთ წერტილში, თუმცა ვიცით, რომ მანძილი მათ შორის არ იცვლება (სურ:18).




სურ:18.

კვადრატის არის გეომეტრიული ფიგურებიდან ერთ-ერთი მარტივი სხეული. კუბის აგების დროს აღინიშნება რვა წერტილი და თორმეტი ხაზი (ხილული და უხილავი). კუბის გამოსახულება იგება მისი პროპორციებისა და პერსპექტივის კანონების გათვალისწინებით. აგების დროს კუბის ზედა მხარეს ჩვეულებრივი კვადრატი ჩანს, როგორც რომბი. ქვედა მხარის ასაგებად საჭიროა ზედა მხრიდან დავუშვათ თანაბარი ხაზები აღნიშნულ წერტილებთან, რომლებიც შეკრავს კუბს (სურ: 19, 23).


/სფერო არის გეომეტრიული ფიგურა, რომელსაც ყველა მხარე ცენტრიდან პროპორციული აქვს. სფეროს აგების დროს აღინიშნება ცენტრი და იქიდან თანაბრად გადაზომილი წერტილები, რომლებიც წრიულად უერთდება ერთმანეთს (სურ: 20, 24).

ცილინდრი არის გეომეტრიული ფიგურა, რომელსაც აქვს სამი ზედაპირი, ორი ერთნაირი ბრტყელი, მრგვალი ფორმის და ერთი მთლიანი (სურ: 21, 25).


/კონუსი არის გეომეტრიული ფორმა, რომელსაც აქვს ერთი წვერი და ერთი წრე (სურ: 22, 26).




სურ: 19. კუბის აგება პერსპექტივის გათვალისწინებით








სურ: 20. სფეროს აგება








სურ: 21. ცილინდრის აგება








სურ: 22. კონუსის აგება








სურ: 23. კუბის აგების ეტაპები



სურ: 24. სფეროს აგების ეტაპები



სურ: 25. ცილინდრის აგების ეტაპები




სურ: 26. კონუსის აგების ეტაპები


1.4.3. როგორ გადმოვცეთ საგნის მოცულობითი ფორმები

ყველა საგანი მოცულობითია. იმისთვის, რომ სწორად გადმოვცეთ საგნის მოცულობითი ფორმები, უნდა ვიცოდეთ მისი ყველაზე განათებული და დაჩრდილული მხარე, საგნის დაცემული ჩრდილი.


განათების დამსახურებით ჩვენ ვხედავთ საგნებს მოცულობით ფორმაში, მაგრამ ყოველი მათგანი არ ნათდება ერთნაირად. სადღაც უფრო მეტადაა განათებული და ზოგან - უფრო ნაკლებად. შუქ-ჩრდილის ასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმისაა საგანი. ის შეიძლება იყოს ოვალური, ოთკუთხედი და ა.შ. საგანს ფორმას აძლევს ტონალობა, რომელსაც შტრიხის სახით ვაღებთ. შტრიხის ფორმაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საგანს ვხატავთ. ოვალური საგანი იშტრიხება სწრიულად და ოთკუთხედი ფორმის - კი კუთხეებთან (სურ: 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34). საგნის ყველაზე ამობურცულ ადგილას წარმოიქმნება განათების ბლიკი. ბლიკი ნახატში წარმოიქმნება მაშინ, როცა საგანი არის შუშის ან პრიალა. ბლიკი არის განათებული ლაქა გამოკვეთილი საზღვრებით, რომელიც ნახატში არის ყველაზე განათებული ადგილი (სურ: 35).




სურ: 27. 1- ჩრდილი, 2- ნახევარ-ჩრდილი, 3- რეფლექსი, 4- განათება, 5- დაცემული ჩრდილი;



სურ: 28. 1- ჩრდილი, 2- ნახევარ-ჩრდილი, 3- რეფლექსი, 4- განათება, 5- დაცემული ჩრდილი;




სურ: 29. 1- ჩრდილი, 2- ნახევარ-ჩრდილი, 3- რეფლექსი, 4- განათება, 5- დაცემული ჩრდილი;




სურ: 30. 1- ჩრდილი, 2- ნახევარ-ჩრდილი, 3- რეფლექსი, 4- განათება, 5- დაცემული ჩრდილი;




სურ: 31.




სურ: 32.



სურ: 33.



სურ: 34. თაბაშირის ფიგურებისაგან შექმნილი კომპოზიცია, რომელიც შესრულებულია ფანქრით.



სურ: 35. ფანქარში დახატული ბოთლი. 1- ყველაზე განათებული ადგილი-ბლიკი, 2- განათებული ადგილი, 3- ნახევარ-ჩრდილი, 4- ჩრდილი;

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. ხატვის დროს დასახატავ მოდელს ვხედავთ მთლიანად თუ არა?
2. რას ნიშნავს სიტყვა კონსტრუქცია?
3. რა არის ბლიკი?
4. რა არის ჩრდილი?
5. რა არის დაცემული ჩრდილი?
6. რა არის პერსპექტივა?
7. პერსპექტივაში აგებულ კუბს რამდენი კუთხე აქვს?
8. ყველა საგანი მოცულობითია?
9. როგორ გამოვსახავთ საგანზე მოცულობას?
10. რისი დახმარებით ვხედავთ მოცულობას?
11. რა ჰქვია წრეს მეორენაირად?
12. რა ჰქვია კუბს მეორენაირად?
13. რა ჰქვია სამკუთხედის ფორმას, რომელსაც კუთხეები არ აქვს?


*1.5. წყლის საღებავებით ხატვის
მარტივი ტექნიკური ხერხების
შესრულება*

1.5.1. ფერები

ადამიანის მიერ მთლიანობაში ფერის აღქმა განისაზღვრება ჩვენ მიერ დაკვირვებად ობიექტებსა და საგნებზე სინათლის ზემოქმედებით.


ფერები არის აქრომატული და ქრომატული.

აქრომატული სინათლის სხივს არ შლის შემადგენელ ნაწილებად. აქრომატული ფერებია: თეთრი, შავი და ნაცრისფერი (სურ: 36).




სურ: 36. აქრომატული ფერები

ქრომატული ნიშნავს ფერადს. ქრომატული ფერებია: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და სხვ. (სურ: 37).



სურ: 37. ქრომატული ფერები


ძირითადი ფერებია: წითელი, ყვითელი, ლურჯი (სურ: 38).



სურ: 38. ძირითადი ფერები


სპექტრის ფერებია: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი.

შედგენილი ფერებია: მწვანე, ნარინჯისფერი, იისფერი (სურ: 39).



სურ: 39. ძირითადი და შედგენილი ფერები

ფერები არსებობს ცივი და თბილი. თბილს მიეკუთვნება ისეთი ფერები, რომლებიც ასოცირდება მზისა და ცეცხლის ფერებთან (სურ: 40). ცივი ფერები კი ასოცირდება ყინულსა და წყალთან (სურ: 41).




სურ: 40. თბილი ფერები






სურ: 41. ცივი ფერები

კონტრასტულია ის ფერები, რომლებიც გამოიკვეთება ერთმანეთისაგან (სურ: 42).



სურ: 42. კონტრასტული ფერები



სურ: 43. ფერთა გრადაცია

1.5.2. აკვარელის საღებავებით ხატვის ტექნიკური ხერხები

აკვარელის საღებავის სახელწოდება წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან „აკვა“, რომელიც ნიშნავს წყალს. ამიტომაც, მას წყლის საღებავებს უწოდებენ. წყალი აქ საღებავის გამხსნელის საშუალებას ასრულებს. აკვარელის ფერი მზადდება ფერადი პიგმენტებით. პიგმენტებს ურევენ წებოში, უმატებენ კარტოფილის ფხვნილს, სახამებელსა და შაქარს. ამ ნარევის უმატებენ გლიცერინს იმისთვის, რომ საღებავს ჰქონდეს მეტი მოქნილობა და გამჭვირვალობა.

როდესაც ვიწყებთ აკვარელის საღებავით ხატვას, უნდა გავითვალისწინოთ მისი განსაკუთრებული თვისებები და ყოველთვის ვეცადოთ, რომ მისი ფენა იყოს თხელი და გამჭვირვალე. აკვარელის საღებავი ფურცელზე დადების დროს სველ მდგომარეობაში არის ნათელი, გაშრება თუ არა, ფერი გახდება მკრთალი. ამიტომ, წინასწარ უნდა გავთვალოთ, თუ რა ფერის მიღებას ვაპირებთ ნახატში. ფურცელზე დადებულ აკვარელის საღებავის პირველ

ფენას დავაცადოთ გაშრობა მეორე ფენა ქვედას ზიანი არ გამჭვირვალე ფერს განსხვავებულს, ამ ფერის ჟღერადობას. ფერის გადაფარვისას მომწვანო ფერს. წითელი ნარინჯისფერს. საერთოდ, მიჩნეულია: ალისფერი, ზურმუხტისფერი, მწვანე. კარგად იხსნება წყალში და ქაღალდში. აკვარელში რომელთაც ნაკლები ასეთებია: ნეაპოლური ქრომის და მუქი მწვანე და ნაკლებად შეიწოვება



და შემდეგ დავადოთ საჭიროებისამებრ, რათა მივაყენოთ. თუ ერთ ვადებთ მეორე შემთხვევაში ვიღებთ ორი მაგალითად: ყვითელი ლურჯით, მივიღებთ და ყვითელი იძლევა გამჭვირვალე ფერებად ცისფერი, ეს ფერები განსაკუთრებით თანაბრად შეიწოვება გვხვდება ისეთი ფერებიც, გამჭვირვალეობა აქვს. ყვითელი, მუქი ყვითელი, სხვ. მათი პიგმენტები ქაღალდში და ტოვებს

ზედაპირული დაფერვის შთაბეჭდილებას. საჭიროა ვიცოდეთ აკვარელის საღებავების ასეთი თვისებები, რათა მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ხატვის დროს. გამჭვირვალე ფერების შერევა იძლევა ასეთივე ფერთა გამას. გაუმჭირვალე და გამჭვირვალე ფერების შერევით მივიღებთ ფერს, რომელიც გაშრობის შემდეგ ფერმკრთალდება და კარგავს სიხასხასეს.

აკვარელის საღებავები არის ორგვარი: ტუბებში და ღია პლასტმასის ქილებში (სურ:44). ერთიც და მეორეც 24 ფერით არის დაკომპლექტებული. როდესაც დავამთავრებთ მუშაობას, აუცილებელია საღებავებს, რომლებიც არის ტუბებში, თავი მჭიდროდ დავახუროთ, რომ არ გამაგრდეს. ხოლო აკვარელის საღებავები, რომლებიც არის პლასტმასის პატარა ქილებში, სველი ჩვრით გავასუფთავოთ, რათა სხვადასხვა ფერი ერთმანეთს არ შეერიოს. აუცილებელია საღებავები შევინახოთ გრილ ადგილას.



სურ: 44. აკვარელის საღებავები

როდესაც ვიწყებთ აკვარელის საღებავებით მუშაობას, სახატავი დაფა ისე უნდა დავაყენოთ, რომ რაც შეიძლება მცირე დახრა ჰქონდეს, რადგან ძალიან დახრილ დაფაზე დადებული ფერები ჩამოიღვენთება. ეს კი ხელს შეგვიშლის მუშაობის დროს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აკვარელის საღებავებით ხატვის დროს ფუნჯის შერჩევა. აკვარელისათვის უნდა შევარჩიოთ, რაც შეიძლება რბილი ბეწვისაგან დამზადებული ფუნჯები, ეგრეთ წოდებული „აკვარელის ფუნჯები“, რომლებმაც ასეთი სახელწოდებით დაიმკვიდრა თავი. აკვარელის ფუნჯები გამოირჩევა სირბილით და ელასტიკურობით. ასეთი ფუნჯები საშუალებას გვაძლევს, ხატვის დროს დავიცვათ სიზუსტე სხვადასხვა ფორმის გამოსახატავად. მუშაობის დამთავრების შემდეგ ფუნჯები უმჯობესია გავრეცხოთ. მუშაობისთვის საჭიროა ერთი ქილა წყალი. პალიტრად კარგია თეთრი თეფში, რომელიც დაგვემხმარება ფერების უკეთესად აღქმაში.

აკვარელის საღებავების გამოყენებისთვის საჭიროა კარგად გავეცნოთ თითოეული მათგანის თავისებურებებს, შევისწავლოთ ფერთა პალიტრა, ვივარჯიშოთ ბევრი. ავილოთ მშრალი და დანამული ქაღალდი, ორივეზე ჩავატაროთ ცდები. თითოეული ფერის გასაცნობად საჭიროა ფერზე ფერის დადება, რამდენიმე ფერის შეზავება და ა.შ. ასეთი ვარჯიშები დაგვეხმარება გავერკვეთ ფერთა შერწყმაში, გამჭვირვალობაში, გაუმჭვირვალობასა და ჟღერადობაში.

აკვარელზე მუშაობისას ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევას, როცა ერთი და იგივე ფერი თანდათან გადადის უფრო გაჯერებულ ანდა პირიქით, სუსტი გადადის უფრო მუქით გაჯერებულზე. ხშირად ერთი ფერი გადადის განსხვავებულ ფერში. მაგალითად ავილოთ, წყალში კარგად გაჯერებული საღებავი. ამოვავლოთ დიდი ზომის ფუნჯი ისე, რომ ის კარგად გაიჟღინთოს, დავადოთ ფურცელზე საღებავით გაჯერებული ფუნჯი ზემოდან ქვემოთ. თანდათან ვუმატებთ წყალს, საღებავი ღიავდება და გამჭვირვალე ხდება. სავარჯიშოში

მთავარია დავუფლოთ ჩამოღვენთილი აკვარელის წყლის ნაკადის მართვას სხვადასხვა მიმართულებით.

ავიღოთ რაიმე ხილი ან ბოსტნეული. დავიდოთ წინ და ფურცელზე გადმოვიხატოთ ფანქრით. აგებულ ხილს ან ბოსტნეულს დავადოთ შესაფერისი ფერი. დადებული ფერები, რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება, მით უფრო ფერწერული გამოვა ნამუშევარი. დასახატავ ნატურაზე აკვარელის საღებავი უნდა დავადოთ სამ ფენად. ფურცლის ერთი და იმავე ადგილას მრავალჯერ ფერის დადების დროს მივიღებთ ჭუჭყიან ფერს. ამიტომ, ძალიან ფრთხილად ვადებთ მას, რომ მივიღოთ ნამუშევარში სასურველი ფერთა შეხამება და გამჭვირვალობა (სურ: 45).

ყველა სავარჯიშო დაგვეხმარება თანდათანობით ავითვისოთ აკვარელის ტექნიკური ხერხები და დავხვეწოთ ოსტატობა.



სურ: 45. აკვარელში შესრულებული ვაშლი

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რომელია ძირითადი ფერები?
2. რომელია შედგენილი ფერები?
3. რომელია სპექტრის ფერები?
4. რომელია აქრომატული ფერები?
5. რომელია ქრომატული ფერები?
6. რომელია ცივი ფერები?
7. რომელია თბილი ფერები?
8. რაში იხსნება აკვარელის საღებავი?
9. რამდენი ფერია სპექტრის ფერი?
10. რამდენი ფერია ძირითადი ფერი?
11. რას ვეძახით ერთი ფერის დაშლას?
12. რაზე იხატება აკვარელი?
13. რამდენ ფერიანია აკვარელის საღებავი?
14. როგორი უნდა იყოს აკვარელის ფუნჯები?
15. საიდან მოდის სიტყვა „აკვარელი“?

1.6. ნატურმორტის დახატვა

1.6.1. ფანქარში და ფერში შესრულებული ნატურმორტი

ნატურმორტი - არის ერთ-ერთი მიმდინარეობა გამომსახველობითი ხელოვნებისა, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „nature morte“-დან, რაც ნიშნავს „უსულოს, არაცოცხალ ნატურას“. ნატურმორტი არის რამდენიმე ნივთისგან შექმნილი კომპოზიცია, რომელიც გამოირჩევა განუმეორებელი ფორმებითა და ფაქტურით.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ისტორიულად ნატურმორტი პირველად ევროპაში XVII საუკუნეში გამოჩნდა. ამ პერიოდში ყალიბდებოდა ახალი სამხატვრო სკოლები - საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში. ამ ჟანრში მუშაობდნენ ისეთი მხატვრები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად: პიტერ კლასი, ხედა, ფრანს სნეიდერსი (სურ: 48) და სხვ. XVIII საუკუნეში - ჟ.ბ. შარდენი (სურ:46), XIX საუკუნეში - პოლ სეზანი (სურ:47), დელაკრუა და სხვ. ყველა ეს მხატვარი ფერმწერია და მათ ნამუშევრებში დახვეწილი ფორმებია გადმოცემული. ძველი ნამუშევრების ყურებით ჩვენ ვერ ვმალავთ აღფრთოვანებას, თუ როგორ არის ნატურმორტი სრულყოფილად შესრულებული.



სურ: 46. ჟ.ბ. შარდენის ნატურმორტი



სურ:47. პოლ სეზანის ნატურმორტი



სურ: 48. ფრანს სნეიდერსის ნატურმორტი

ისეთი ჟანრი, როგორცაა გამომსახველობითი ხელოვნება ნატურმორტის, შეიძლება იყოს დეკორატიული. ასეთ ნამუშევრებს ხშირად იყენებდნენ ინტერიერის გასაფორმებლად და სურათის სახით ჰკიდებდნენ კედელზე.

დამწყები მხატვრებისთვის ნატურმორტზე მუშაობა ყველაზე მეტად კომფორტულია, რადგან ნატურა არ მოძრაობს და არ იცვლის ფორმას. ნატურმორტის დადგმის დროს ნივთებს შეგვიძლია ჩვენი გემოვნების მიხედვით შეურჩიოთ ადგილი.

ნებისმიერი ნამუშევრის დაწყების წინ, პირველ რიგში, ვიწყებთ შემოქმედებით აზროვნებას. ნატურმორტის ხატვის სწავლის დროს მთავარი დავალებაა ზუსტად დავინახოთ დასახატავი მოდელის მოცულობითი ფორმა და შეგვეძლოს მისი ზუსტი პროპორციების ფურცელზე გადატანა.

ნატურმორტის კომპოზიციის შედგენა იწყება საგნების შერჩევით და მათი განლაგებით. საგნების შედგენას უნდა ჰქონდეს აზრობრივი ურთიერთკავშირი. დაუშვებელია შემთხვევითი საგნის გამოყენება.

ძირითადად, ნატურმორტი იწყობა სამზარეულოს ნივთებისაგან - ფაიფური, თიხა, მინა, ხილი, ბოსტნეული და სხვ. სასურველია ნატურმორტისათვის შერჩეული საგნები გამოირჩეოდეს მრავალმხრივი ფორმით, ფერითა და ხასიათით, რომ ყოველი მათგანი ერწყმოდეს ერთმანეთს და ტოვებდეს ბუნებრივ შთაბეჭდილებას, არ იგრძნობოდეს უწესრიგობა და ქაოსი. ამასთან ერთად, გემოვნებით უნდა შევარჩიოთ დრაპირების ქსოვილები, მისი ფერი და ფაქტურა, რომ არ დაირღვეს ფერების რიტმი.

ნატურმორტის კომპოზიციის შედგენის დროს ყურადღებით მოვეკიდოთ ნივთების ურთიერთკავშირს. საჭიროა შევარჩიოთ ყველაზე სასურველი ვარიანტი. ნატურმორტის აწყობისას ასევე ვამახვილებთ ყურადღებას განათებაზე, რომელი მხრიდან იქნება უკეთესი - გვერდიდან თუ წინიდან. როდესაც დავასრულებთ ნატურმორტის კომპოზიციის დადგმას, შეიძლება დავიწყოთ ხატვა.

ხატვის დროს სინათლე აუცილებელია ქაღალდის ფორმატს ეცემოდეს მარცხნიდან, თუ მხატვარი ცაცია არ არის, რადგან ხელის ჩრდილმა არ შეგვიშალოს. დასახატი ნატურიდან მანძილი უნდა განვსაზღვროთ, დაახლოებით, ორი მეტრით. სანამ დავიწყებთ ნატურმორტზე მუშაობას, უბრალო ქაღალდზე შევასრულოთ რამდენიმე ჩანახატი იმისათვის, რომ მოვძებნოთ ჩვენთვის სასურველი კომპოზიციური გადაწყვეტა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ნატურმორტის სურათი უნდა ემორჩილებოდეს კომპოზიციის ძირითად პრინციპებსა და პერსპექტივის ხატვის კანონებს. ნატურმორტი ისე უნდა მოვნიშნოთ ფურცელზე, რომ არ ვარდებოდეს კომპოზიციის პრინციპებიდან - ფონი არ უნდა იყოს დარჩენილი ძალიან დიდი ან ძალიან ნაკლები.

თუ გვინდა, რომ ჩვენი ნამუშევარი იყოს ზუსტად აგებული და დახატული, რომ განვახორციელოთ შემოქმედებითი ჩანაფიქრი ნატურმორტში, მივიტანოთ მაყურებელთან და მივიღოთ მისგან დადებითი ემოციები, რომლებიც მთავარია მხატვრისთვის, კარგად უნდა ვიხელმძღვანელოთ ხატვის დროს პერსპექტივის მეთოდებით.

იმის მიუხედავად, რომ ნატურმორტში ნივთები განლაგებულია ახლოს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომელი ნივთი არის უფრო ახლოს, რომელი - უფრო შორს ჩვენგან.


ნატურმორტში არსებული ნივთები წარმოვიდგინოთ, რომ არის გეომეტრიული ფიგურები, რათა უფრო გაგვიადვილდეს მათი აგება. მაგალითად: ბოთლის ძირითადი ფორმა არის ცილინდრის. ასეთი კონსტრუქციული ხედვა ნივთებისა გამომუშავდება ხშირი დაკვირვებით პროცესზე.

პირველ ეტაპზე ყველაზე მისაწვდომი ტექნიკაა ნატურმორტის ხატვა - ფანქარში. რადგან უფრო მსუბუქად და თავისუფლად ვაანალიზებთ და, საჭიროების შემთხვევაში, ლავირებას ვახდენთ ტონალობის. ასევე საშლელის დახმარებით შეგვიძლია გამოვასწოროთ ფანქრით დახატული შეცდომები (სურ: 53, 54). რაც ძნელი გამოსასწორებელია აკვარელში ხატვის დროს.

ხატვის დაწყების წინ აუცილებელია მოვიმარჯვოთ რამდენიმე ნომრის (სხვადასხვა სირბილის) უბრალო ფანქარი, რომლებიც იქნება კარგად დათლილი. დასახატავ ქაღალდად ჯობია გამოვიყენოთ ვატმანის ფორმატი, რომ ნამუშევარი გამოჩნდეს როგორც ცოცხალი, ასევე რბილი საშლელი და შვეული საგნების ასაგებად. ვადმანის ფორმატი დავჭრათ ჩვენთვის სასურველ ზომაზე და დავამაგროთ ჭიკარტებით ხის დაფაზე.


როდესაც ავაწყობთ ნატურმორტს და დავდგამთ, მოვიმარჯვებთ ყველა ხელსაწყო-იარაღსა და მასალას, დავიწყობთ ხატვა.

პირველ ეტაპზე ფურცელზე მოვნიშნოთ ნატურმორტის საზღვრები - ყველაზე განიერი და ყველაზე მაღალი ადგილი (სურ: 49).



სურ: 49.


მეორე ეტაპზე მოვნიშნავთ სადგამს, რომელზეც ნატურმორტია მოთავსებული და აღვნიშნავთ ნატურმორტის დახრილობის გათვალისწინებით შუა ხაზს (სურ: 49).



სურ: 50.

მესამე ეტაპზე მოვნიშნავთ ნატურმორტში არსებული საგნების სიმაღლესა და განს (სურ: 50).

მეოთხე ეტაპზე პატარა მკრთალი ხაზებით აღვნიშნავთ ნატურმორტში არსებული საგნების ზედა, შუა და ქვედა განს, გაზომვის მეთოდის გათვალისწინებით (სურ: 50).



სურ: 51.

მეხუთე და მეექვსე ეტაპზე ვიწყებთ ნატურმორტში არსებული საგნების ფორმის შეკვრას (სურ: 51).

მეშვიდე ეტაპზე უკვე აგებულ საგნებზე ვიწყებთ შტრიხის გამოყენებით ფორმის მიცემას (სურ: 52).

მერვე ეტაპზე ვასრულებთ ნატურმორტს საბოლოო ვიზუალური ეფექტის მისაღებად (სურ: 52).



სურ: 52.



სურ: 53. ნატურმორტის ფანქარში ხატვის ეტაპები



სურ: 54. ნატურმორტის ფანქარში ხატვის ეტაპები

როდესაც ვიწყებთ ნატურმორტის ხატვას აკვარელის საღებავებით, ქაღალდი აუცილებელია პლანშეტზე იყოს გადაკრული სწორად. არ შეიძლება ჭიკარტებით დამაგრებულ ქაღალდზე ხატვა, რადგანაც გაშრობის შემდეგ ის აუცილებლად დაკარგავს ფორმას და გაგვიძნელებს მასზე მუშაობა.

როგორ გავამზადოთ სახატავი დაფა ისე, რომ სრულფასოვანი იყოს მუშაობისათვის? ამისათვის საჭიროა პლანშეტზე დასაკრავი ქაღალდი მეტი იყოს, რათა მისი გვერდები 2-3 სმ-ით გადადიოდეს პლანშეტიდან. გვერდები გადავლუნოთ პლანშეტის კიდეებზე. შემდეგ ავიღოთ სველი ღრუბელი და წავუსვათ ისე, რომ ქაღალდი კარგად გაიჟღინთოს. ამის შემდეგ პლანშეტის კიდეებს წავუსვათ წებო. წებოს სახით შეიძლება გამოვიყენოთ სახამებელიც. გადაკეცილი გვერდები დავაწებოთ პლანშეტის კიდეებს ისე, რომ ქაღალდი მსუბუქად და თანმიმდევრულად გადავჭიმოთ. არ შეიძლება გადაკვრის დროს ქაღალდის ძალიან გაჭიმვა, რადგანაც მოსალოდნელია გაშრობის შემდეგ, ქაღალდი გასკდეს. თუ ქაღალდი არ არის თანმიმდევრულად გადაჭიმული, ის აუცილებლად აიბურცება. კარგად გადაკრული ქაღალდი პლანშეტზე გაგვიადვილებს ხატვას და ამავე დროს მოგვანიჭებს სიამოვნებას ხატვის დროს.

გამზადებულ პლანშეტზე ვიწყებთ ნატურმორტის ხატვას. პირველ რიგში, მოვნიშნავთ დადგმულ ნატურმორტს ფანქრით კომპოზიციისა და პერსპექტივის წესების დაცვით. შემდეგ ზუსტად ავაგებთ ნატურმორტში მოცემულ ნივთებს და ვიწყებთ აკვარელის საღებავებით ფერის დადებას (სურ: 55,56,57,58).


თუ ნამუშევარი გამოგვივიდა ჭუჭყიანი ან სულაც არასასურველი, ამ შემთხვევაში პლანშეტს სველი ღრუბლით ფაქიზად ჩამოვრეცხავთ. შემდეგ მას გავწურავთ და პლანშეტს მოვაცილებთ ზედმეტ სისველეს და დავდებთ გასაშრობად. გაშრობის შემდეგ კვლავ შეგვიძლია მასზე მუშაობა. მუშაობის დროს სასურველია პლანშეტი ჩრდილში გავაშროთ.



სურ: 55. აკვარელში შესრულებული ნატურმორტის ეტაპები



სურ: 56. აკვარელში შესრულებული ნატურმორტი



სურ: 57. აკვარელში შესრულებული ნატურმორტი



სურ: 58. აკვარელში შესრულებული ნატურმორტი

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რას ნიშნავს სიტყვა „ნატურმორტი“?
2. რომელი საუკუნიდან გამოჩნდა ნატურმორტი ევროპაში?
3. რითი ვიწყებთ ნატურმორტის ხატვას?
4. რა უნდა გავითვალისწინოთ ნატურმორტის ხატვის დროს?
5. როგორ დაფაზე ვხატავთ ნატურმორტს, როდესაც ვიყენებთ წყლის საღებავს?
6. როგორ ვაკრავთ ქაღალდს პლანშეტს?
7. საჭიროა თუ არა ნატურმორტის ხატვის დროს დავიცვათ კომპოზიციის პრინციპები?
8. აკვარელით შესრულებული ნატურმორტი უნდა იყოს გამჭვირვალე თუ ჭუჭყიანი?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. Д. Фрэнкс. „Рисунок карандашом“ 2004г.
2. С.В. Павдова. В.Г. Инкижинова. „Рисунок“ 2004г.
3. В.П. Пенова „Рисуем натюрморт“ 2011г.
4. Ли Н. Г. „Рисунок“ 2005г. Учебник.
5. მ. მიქაბერიძე „გრაფიკა, ფერწერა, ქანდაკება“ სახვითი ხელოვნების კურსი არქიტექტურისა და სხვა სკოლებისათვის.
6. <https://www.wikipedia.org/>
7. https://www.google.ru/search?q=%D0%BF%D0%B5%D1%80%D0%B2%D1%8B%D0%B9+%D0%BD%D0%B0%D1%82%D1%8E%D1%80%D0%BC%D0%BE%D1%80%D1%82&newwindow=1&biw=1366&bih=667&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0CAYQ_AUoAWoVChMIlaeRkLD0xwIVTI4sCh0ObQL2#newwindow=1&tbm=isch&q=%D0%BD%D0%B0%D1%82%D1%8E%D1%80%D0%BC%D0%BE%D1%80%D1%82

ქარგვისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალა თავი II



შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ის მასალა-ხელსაწყოები, რომლებიც ესაჭიროება მქარგავის სპეციალისტს. განხილულია მასალის სხვადასხვა სახეობა, როგორცაა: აბრეშუმის ძაფი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი. ნაქარგობის შესამკობად საჭირო სხვადასხვა სამკაული (კილიტები, ფიფინები, პეტალები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები და სხვ.)

მასალების პარალელურად წარმოდგენილია იმ ხელსაწყოთა აღწერა-დახასიათებები, რომლებიც უშუალოდ საქარგავი მასალის გამოყენებისას ესაჭიროება მქარგველს.

ყველა საკითხი მასალასა და ხელსაწყოებთან დაკავშირებით განხილულია ნაქარგობის ტრადიციული ხერხების გათვალისწინებით, რაც თავის თავში მოიცავს ამ ტრადიციების აღდგენა-განვითარების სურვილს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მასალებისა და ხელსაწყოების აღწერის პარალელურად სახელმძღვანელოში განხილულია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე მიმართულებები და ტექნოლოგიური მიღწევები.



2.1. ქარგვისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების მომზადება

2.1.1. ქარგვის სახელოსნო

ისტორიულად ქარგვის სახელოსნოები განთავსებული იყო დიდგვაროვანთა ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში, რომლებისთვისაც გამოყოფილი იყო სპეციალურად კარგად განათებული ადგილები. ეს დრადიცია დღესაც გრძელდება. აქედან გამომდინარე, სასურველია ქარგვის სახელოსნოსათვის შეირჩეს ბუნებრივი, კარგად განათებული ოთახი. სასურველია ყველა მქარგველის სამუშაო ადგილი სახელოსნოში განთავსდეს ისე, რომ განათება იყოს ყველგან თანაბარი.

თუ ბუნებრივი განათების საშუალება არ არის, მაშინ ხელოვნური უნდა იყოს მიმართული ზემოდან ქვემოთ თვალისთვის დახურული, რომ არ გადაიღალოს მქარგველის თვალი.

სამუშაო პროცესის სწორად და ინტენსიურად წარმართვისათვის სასურველია თითოეულ მქარგავს საჭირო ხელსაწყო-ინვენტარი ჰქონდეს თავის მაგიდაზე სპეციალურად დამზადებულ ხელსაქმის ყუთში ე.წ. „ხაიათის“ ყუთში (სურ: 1).



სურ: 1. ხაიათის ყუთი (მველებური)


2.1.2. ხელით ქარგვისათვის საჭირო ხელსაწყოები და მასალა

ქსოვილი - მხატვრული ქარგვის ნიმუშების შექმნა უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო მრავალფეროვან და მრავალსახოვან საფეიქრო საქმიანობასთან. უძველესი დროიდან ნაქარგობის შესაქმნელად იყენებდნენ სელს (სურ: 2).



სურ: 2. სელის ქსოვილი

დიდი პოპულარობით სარგებლობდა აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც მრავალსახოვანია, როგორებიცაა: ფარჩა, დიბა და აბრეშუმის სხვადასხვა სახეობა (სურ: 3).



სურ: 3. ოქროქსოვილისა და ატლასის ქსოვილი

შედარებით გვიან ხმარებაში შემოდის ზამბის ქსოვილი, ხავერდი (სურ: 4).



სურ: 4. ხავერდის ქსოვილი

საქარგავი ძაფი - ამ ქსოვილების შესამკობად მქარგავს ესაჭიროება აბრეშუმისა და ზამბის („მულინე“) ფერადი ძაფი (სურ 6), რომელიც შეიძლება იყოს კოჭზე ამოხვეული ან მცირე ზომის შულოებად დახვეული. აბრეშუმის ძაფი შეირჩევა ფაქტურის გათვალისწინებით. დაგრეხილი აბრეშუმის ძაფის ხვეულების ჩრდილში მისი სხივოსნობა იკარგება, ხდება უფრო მქრქალი და ნაკლებ ბზინვარე. ნაქარგობას ეს რელიეფურობას მატებს, ხოლო შლილი, დაუგრეხავი აბრეშუმის ძაფი ატლასისებური სიპრიალით ხასიათდება (სურ: 5).



სურ: 5. შლილი აბრეშუმის ძაფი და აბრეშუმის ჭიის პარკი



სურ: 6. აბრეშუმისა და მულინეს ძაფები


ძველად ფერადი ძაფის სახვევად სპეციალური მრავალსახვევიანი კოჭები არსებობდა (სურ: 7).




სურ: 7. სახვევი კოჭი - „კოჭობი“

საქარგავად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ოქროსა და ვერცხლის თმა და, შესაბამისად, ოქრომკედი და ვერცხლმკედი.

ოქროს თმის მისაღებად ოქრომჭედლები გამოიყენებდნენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომელსაც ეწოდებოდა ადიდა (სურ: 8). დღეს საოქრომჭედლო საქმიანობაში ეგრეთ წოდებული „ვალცი“ გამოიყენება (სურ: 9).



სურ: 8. ადიდა სპეციალურ ფირფიტაზე გადახვეული ოქრომკედის ძაფი




სურ: 9. ლილვები და „ვალცი“

ადიდაში გამოყვანის შემდგომ ოქროს ან ვერცხლის „თმას“ (სურ:10) ატარებენ ლილვებში, ე.წ. „ცენზორში“, რომელიც მას მისცემს ბრტყელი სხეულის ფორმას.




სურ: 10 ვერცხლის, ოქროს


გაბრტყელებულ სხეპლას მიჯრით მჭიდროდ ახვევენ მკედს (შლილ აბრეშუმის ძაფს) ვერცხლის სხეპლის გადახვევისას მიიღება ვერცხლმკედი, ხოლო ოქროს შემთხვევაში - ოქრომკედი. (სურ: 11)



სურ: 11. ვერცხლმკედი და ოქრომკედი და ოქრომკედის სქემა


საქართველოში საქარგავ მასალად უძველეს დროიდან გამოიყენებოდა ეგრეთ წოდებული „ზეზი“ (ზეზი ბიბლიური სიტყვაა და ნიშნავს სიჭრელეს). ამ მასალით ქარგვისას ხდებოდა ფერადი აქცენტების წინ წამოწევა ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გვერდით (სურ: 12).





სურ: 12. ზეზის დამზადების სქემა

ზეზი არაერთფეროვანი და არაერთგვაროვანი მასალაა, ანუ აქ ფერად აბრეშუმის ძაფს შეეგრძობება ვერცხმლმკედი ან ვერცხლის თმა „სირმა“. ოსტატი ამ ძაფს თავად ამზადებს ქარგვის პროცესში და დომინირებს იმ ფერის აბრეშუმის ძაფი, რომელის მას კონკრეტულ შემთხვევაში სჭირდება (სურ: 13.)



სურ: 13. ზეზის დამზადების პროცესი

შედარებით გვიან საქართველოში ევროპიდან შემოვიდა ე. წ. „ხავერდულა“ ძაფი, რომელიც ქარგვისას აბრეშუმის ხავერდის-ხაოს ეფექტს იძლევა (სურ: 14).




სურ: 14. ხავერდულა ძაფი

დამხმარე მასალა - მქარგავს ნაქარგის სრულყოფილი სახის მისაცემად ესაჭიროება ეგრეთ წოდებული დამხმარე მასალები, რომლებშიც მოიაზრება ნაქარგობის გასამაგრებელი საშუალება - „წებოვანა“ (სურ: 15).




სურ: 15. წებოვანი ქსოვილი

ნაქარგის რელიეფურობისათვის ნაფენის საქარგი ბამბის ძაფი მოქარგული გამოსახულების მოსაკალმევად სხვადასხვა ზომის ეგრეთ წოდებული ყაითანი (ზონრები), მოქარგული სახეების შესამკობად სხვადასხვა ზომის ლითონის ფირფიტა: პეტალები, ფიფინები (სურ: 16). და კილიტები („ბლოსკები“) (სურ: 17.)



სურ: 16. ფიფინები-ლითონის ფირფიტები ზედ ნაჭდევი გამოსახულებებით.



სურ: 17. კილიტები - ლითონის ძალიან წვრილი ფირფიტები

ნაქარგობის შესამკობად გამოყენებულ მასალათა შორის აღსანიშნავია ძვიფასი და ნახევრადძვირფასი ქვები. ქვათაგან ძველად ძირითადად იხმარებოდა ხუთი ფერის ქვა: წითელი, მწვანე, თეთრი, ცისფერი და ყვითელი.

წითელი - იაგუნდი, ძოწი, ლალი ნამდვილი და ლალი ცრუფარიანა (ალმადინი და მარჯანი) (სურ: 18).



სურ: 18. ლალი და ძოწი

მწვანე - ზურმუხტი ნამდვილი, ქრიზოლითი და ამ ჯგუფის ხელოვნური ქვები (სურ: 19);



სურ: 19. ზურმუხტის ქვა

თეთრი - მარგალიტი (სხვადასხვა ზომისა და ფორმის) და გამჭვირვალე თეთრი ან მთის ბროლი. (სურ: 20)



სურ: 20. მარგალიტი და მთის ბროლი

ცისფერი - ფირუზი, იაგუნდი, საფირონი (სურ: 21)



სურ: 21. ფირუზი, საფირონი, იაგუნდი

ყვითელი - იაგუნდი, ტოპაზი, სარდიონი, რომელიც ყვითელში შერეული ყავისფრით გვხვდება (სურ: 22).



სურ: 22. ტოპაზი და სარდიონი

იმ შემთხვევაში, თუ მქარგავი ქარგავს სამოსს, რომელსაც თვითონვე კერავს, ესაჭიროება სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ღილი (სურ: 23).



სურ: 23. ღილები


ამ სამკაულებს ქსოვილზე ჩასამაგრებლად აქვს ნემსის წვერის დიამეტრზე გაკეთებული ნასვრეტები.

მქარგავს ნაქარგობის სრულყოფილი სახის მისაცემად ესაჭიროება სასარჩულე ქსოვილი, რომელსაც შეარჩევს მოქარგული ნაწარმის მიხედვით (სურ: 24).



სურ: 24. სასარჩულე ქსოვილი.

ხელსაწყოები - ქარგვის პროცესი, პირველ რიგში, უკავშირდება საქარგავ დაზგას - ქარგას. ქარგა შეიძლება იყოს ორი სახის მრგვალი და ოთხკუთხა (სურ: 25).



სურ: 25. ქარგა მრგვალი და ოთკუთხედი ფორმის


შედარებით დიდი ზომის ნაქარგობისათვის მზადდება სპეციალურად სადგამი საქარგავი დაზგები მოძრავი დაფით (სურ: 26).



სურ: 26. საქარგავი დაზგა

ქარგვის პროცესი იწყება ესკიზის დატანით მუშა ტილოზე, რისთვისაც მქარგავს სჭირდება ნახატის გადასაყვანი ქალაღი („კაპიროვკა“, კალკა).

ქარგვის პროცესში მქარგავი გამოიყენებს სხვადასხვა ზომის ნემსს. ნემსის ზომა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასალით სრულდება ნაქარგობა. ზომა იწყება ნულოვანი ეგრეთ წოდებული გახსნილყუნწიანი ნემსით და ზემოთ (სურ: 27).



სურ: 27. სანემსე და ნემსები

მქარგავი გამოიყენებს სამი სახის მაკრაკეტელს: ქსოვილის საჭრელი, ქარგვის პროცესში ძაფების საჭრელი და ეგრეთ წოდებული სარღვევი მაკრატელი (სურ: 28).



სურ: 28. მაკრატლები

საქარგავ დაზგაზე, მუშა ტილოზე მიწარის ქსოვილის დასამაგრებლად საჭიროა ჩვეულებრივი და ინგლისური ქინძისთავეები (სურ: 29).



სურ: 29. ჩვეულებრივი ქინძისთავი, ინგლისური ქინძისთავი და სათითე

უსაფრთხოების მიზნით მქარგავმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს ლითონის სათითე (სურ: 29).

ორმხრივი სათითით ქარგვის შემთხვევაში, ნაქარგის საბოლოო დამუშავების პროცესში გამოიყენება უთო (სასურველია ორთქლის) (სურ: 30).



სურ: 29. ძველი და თანამედროვე უთო

ხოლო ნამაგრი სათითით ქარგვის შემთხვევაში, ნაქარგი მუშავდება ზურგის მხრიდან გასატკეცი ეშვის ან ჯანდრის ხის საშუალებით (სურ 31).



სურ: 30. გასატკეცი ეშვები და ჯანდრის ხე



კითხვები თვითშემოწმებისათვის



1. რა სახეობის ძაფები გამოიყენება ქარგვისას?
2. რომელი ხელსაწყოთი ხდება ორმხრივი სითვის დამუშავება?
3. რომელი ხელსაწყოთი ხდება ნამაგრი სითვის დამუშავება?
4. რა არის ხაიათის ყუთი?
5. რა სახის მაკრატლები სჭირდება მქარგავს?
6. რა სახის ქარგები სჭირდება მქარგველს?
7. რით მაგრდება საქარგავ და ზგაზე-ქარგაზე მოსაქარგავი ქსოვილი?
8. რამდენი ფერის ქვა გამოიყენებოდა ნაქარგობის სამკაულად?
9. რა ეწოდება მოსაქარგავ ლითონის ფირფიტებს?
10. რომელ ქსოვილს იყენებენ ნაქარგი მიწარის გასამაგრებლად?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. ჯავახიშვილი ივ. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962.
2. მესხია შ. ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XIII სს). ტ. V თბილისი 1982.
3. ორბელიანი სს. ლექსიკონი ქართული . ტ I –II. თბ.1991.
4. Забелин И. Е. Домашний русских цариц. М.1901.
5. მელიქიშვილი ი. სადისერტაციო ნაშრომი - ქართული საეკლესიო ნაქარგობის საკითხის შესწავლისათვის. თავი I “ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა“. თბ. 2009.
6. ავტორთა ჯგუფი: ი. მელიქიშვილი, გ. ბარათაშვილი, მ. კეცხოველი, ე. ბერელაშვილი, ე. სულხანიშვილი. „ქართული ნაქარგობა“ თბ. 2011.

სითვით (ორმხრივი სითვით) ქარგვა

თავი III



შესავალი


მხატვრული ქარგვის ნიმუშები, იქნება ეს საერო თუ საეკლესიო დანიშნულების ნივთები, ძირითადად ორ პრინციპს ექვემდებარება: ერთი არის პრაქტიკულ-ესთეტიკური მნიშვნელობა და მეორე, საეკლესიო ნივთთა შემთხვევაში, მათი სიმბოლურ-სემანტიკური არსი.

იმ მასალის მიხედვით, რომელიც ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა და დღემდე შემოგვრჩა მუზეუმებში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ როგორც ნამდვილ ხელოვნების ნიმუშებზე და არა უბრალოდ ხელოსნურ ნაწარმზე. ეს ნიმუშები გვიჩვენებს ქართული მხატვრული ქარგულობის განვითარების გრძელ და საინტერესო გზას. ისინი, ამასთანავე, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შევქმნათ ნამდვილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რადგან ქართული ხელსაქმის კოლექციებში ხაზგასმით ჩანს ეროვნული ნაქარგობის თვითმყოფადობასა და გენეტიკურ გემოვნებაზე დაფუძნებული უნიკალურობა.

კონკრეტულად აბრეშუმით ნაქარგი ნიმუშები გამოირჩევა კავკასიის რეგიონის, რუსული და ასევე ევროპული მხატვრული ნაქარგობისაგან. ეს გამორჩეულობა იკითხება ფერთა გამის სისადავეს, ფორმათა დახვეწილობასა და მაღალ გემოვნებაში.

აქედან გამომდინარე, სასურველია ამ საქმის ხელახლა წამოწყება, რაც გულისხმობს პროფესიულ სასწავლებლებში ქარგვის ხელოვნების სწავლებას. ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაეფუძნოს მხატვრული ქარგვის ტრადიციების აღდგენა - განვითარებასა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

ამისათვის კი მომავალმა სპეციალისტმა უნდა იცოდეს ქარგვის ყველა სახეობის როგორც ტექნიკური ხერხი, ისე მხატვრულ-ესთეტიკური არსი. ყველა შემთხვევაში საბაზო სწავლების აუცილებელი კომპონენტია ქარგვის ის სახეობა, რომელსაც ორმხრივ სითვს ვუწოდებთ.



3.1.1. ორხმრივი სითვით ქარგვის ტექნოლოგიური პროცესი

აბრეშუმის ძაფით ქარგვას ზოგადად სითვით ქარგვა ეწოდება. ტერმინი სითვი კი გვირისტიტ გაკერვის შესატყვისია. სითვით ქარგვის დროს გამოყენებული ტექნიკური ხერხების განსაზღვრისას უფრო მისაღებია ვიხმართ ტერმინი ნაკერობა, რადგან ნემსი ყოველთვის საქარგავ ძაფთან ერთად გადის ქსოვილში, ქმნის ბმულადების მწკრივს, ეს უკანასკნელი კი - მქარგავისთვის სასურველ სახეებს, ანუ ნახჭებს (ნაქარგის სახე დატანილი ქსოვილზე).

აბრეშუმის ძაფით ქარგვისას გამოიყენება როგორც დაგრეხილი, ისე შლილი აბრეშუმი.

აბრეშუმის ძაფის შერჩევა ოსტატის მიერ ფაქტურის გათვალისწინებით ხდება. როგორც წესი, დაგრეხილი აბრეშუმის ძაფის ხვეულების ჩრდილში იკარგება მისი სხივოსნობა, ის უფრო მქრქალი და ნაკლებ ბზინვარე ხდება. მისი ეს თვისება ნაქარგობას გამომსახველობასა და რელიეფურობას მატებს (სურ: 1).



სურ: 1. დაგრეხილი აბრეშუმით ნაქარგი ნიმუში

შლილი, დაუგრეხავი აბრეშუმის ძაფი კი ხასიათდება ატლასისებური სიპრიალით, რაც ნაქარგ ზედაპირს ატლასის ეფექტს აძლევს და ამის გამო მას ატლასურს უწოდებენ (სურ: 2).



სურ: 2. ატლასურით ნაქარგის ნიმუში

სწორედ ამ თვისებათა გათვალისწინებით ირჩევს ოსტატი მისთვის სასურველი ფაქტორის შესაფერის აბრეშუმის ძაფს.

ნაქარგობის შექმნის პროცესი, რა თქმა უნდა, ქარგას უკავშირდება. ქარგაზე გადაჭიმული ქსოვილი უკვე მზადაა ქარგვის პროცესის დასაწყებად. სასურველი გამოსახულება საქარგავ სივრცეზე უკვე დატანილია.

ესკიზის დატანა, ანუ „დაბასმა,“ შეიძლება ფანქრით, გადასაყვანი ქალღმრთის, კალთის საშუალებით ან უშუალოდ ქსოვილზე დახატვით.

სამუშაოდ მომზადებულ საქარგავ სივრცეზე აბრეშუმის ძაფიანი ნემსი ვერტიკალურად გადის ქსოვილში და ჰორიზონტალურად ნაბიჯ-ნაბიჯ გადაადგილდება. მისი მოძრაობა შეიძლება იყოს ერთ მიმართულებით - წინ, წინ და უკან. ეს წარმოშობს ბმულადების მწკრივს და გვამღვებს ნაკერობის სახეობებს:

„წყალი“ - ორმხრივი სითვის სახეობა, როდესაც მქარგავი გამოსახულებას ქარგავს სივრცის სრული დაფარვით სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფის გამოყენებით (სურ: 3).



სურ: 3. საბუხარი ორხმრივი სითვით - „წყლის“ ტექნიკით ნაქარგი

„გვირისტულა“ - ნემსის წინ და უკან მოძრაობით შედგენილი ბმულადების მწკრივია, რომლითაც მიიღება გამოსახულება. ეს ნაკერობა მანქანით გატარებულ გვირისტს მიაგავს. ასეთი ხერხით იქარგებოდა და დღესაც იქარგება თუშური სამოსის დეტალები (სურ: 4).



სურ: 4. გვირისტულათი ნაქარგი თუში ქალის სამოსის დეტალი

„ირიბულა“ - ამ შემთხვევაში ოსტატი მიმართავს ხერხს, რომელიც ნაქარგობას გარკვეულ რელიეფურობას ანიჭებს. ამ რელიეფურობის მისაღწევად ირიბად განლაგებული ბმულადების მწკრივში, რელიეფის სიმაღლის სურვილიდან გამომდინარე - წვრილი, საშუალო სისქისა და მსხვილი ბაწრის ან ლითონის ჩხირების ჩართვა ხდება. ამ ტექნიკურ ხერხს „ბაწარნაყარი“ ან „ჩხირნაყარი ირიბულა“ ეწოდებოდა (სურ: 5).



სურ: 5. ბაწარნაყარი ირიბულათი ნაქარგობის ნიმუში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცულია ამ ჩხირების ერთი შეკვრა, რომელსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ ქარგვისას (სურ: 5).



სურ: 6. ლითონის ჩხირების კონა

„ყაისნაღური“ ქარგვისას ოსტატი ნემსს ორ ძაფს შუა გამოატარებს, გადაადგილებს და ჩაამაგრებს. ნაქარგობის ეს სახეობა ყაისნაღით ნაქსოვს წააგავს და სახელწოდებაც აქედან მოდის (სურ: 7).



სურ: 7. ყაისნალურით ნაქარგი სუნაზე დეტალი და შეიდიშის ბოლოზე

„ჭვირნარი,“ ანუ აჟურულად ქარგვა ქსოვილზე დატანილი სახეების ამოქარგვასა და შემდეგ მათ ამოკვეთას, ამოჭრას გულისხმობს. მას „მერიაშკაც“ უწოდებენ. ქარგვის ეს სახეობა გარკვეულწილად წააგავს „კილოურით“ ქარგვის ტექნიკას (სურ: 8).



სურ: 8. ქსოვილზე ამოჭრილი ნაქარგობა

„კილოური“ - ნემსით კონტურზე სახის, ანუ გამოსახულების ამოხვევის ტექნიკით დაფიქსირებაა, როდესაც ძაფით ყულფი კეთდება და მაგრდება. ამ ხერხით ძირითადად საკინძის შესაკრავი, ღილის კილოები, ანუ „ღილკილოები“ კეთდება და სახელწოდებაც აქედან მოდის. ტექნიკის ეს სახეობა გამოიყენება როგორც ორმხრივი, ისე ნამაგრი სითვით ქარგვისას (სურ: 9)



სურ: 9. კილოურის ნიმუში

„ხავერდულა“ - ნაქარგი ორმხრივი სითვით ქარგვის სახეობაა, რომელიც ხავერდულა ძაფებით იქარგება და საკმაოდ პოპულარული იყო XIX ს-ის საქართველოში. ეს მასალა ევროპიდან და რუსეთიდან შემოდის და ამავე ქვეყნების გავლენით იქარგებოდა. ასეთი ძაფით ნაქარგი ხავერდისებრ ხაოს იკეთებს და სახელწოდებაც აქედან მოდის (სურ: 10).



სურ: 10. ხავერდულათი ნაქარგი შუბლსაკრავები

ჩვენამდე მოღწეული ძველი ნაქარგობის ნიმუშებზე, რომლებიც ორხმრივი სითვით არის შესრულებული, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გარკვეული სახის სამკაულები (კილიტები, ფერადი მძივები, ფიფინები და პეტალები).

თანამედროვეობაში უფრო ხშირად გამოიყენება ორხმრივი სითვით ნაქარგი, სხვადასხვა სახის სამკაულებით (ბაფთა, მძივი და სხვ.) დამშვენებული (სურ 11).



სურ: 11



კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. როგორ იქმნება და გადააქვთ ესკიზი საქარგავ მიწარზე?
2. როგორ მოძრაობს ნემსი ორხმრივი სითვის ქარგვის დროს?
3. ჩამოთვალეთ ორხმრივი სითვით ქარგვის ტექნიკური ხერხები?
4. რით განსხვავდება ტექნიკური ხერხი „წყალი“ და „ირიბულა“?
5. რატომ ეწოდება „ყაისნალურა“ ნაქარგობის ამ ტექნიკურ ხერხს?
6. როგორ ხდება ორხმრივი სითვით ნაქარგის გამაგრება ზურგის მხრიდან?




➤ გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:

1. ივ. ჯავახიშვილი, „მასალები საწართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის II ტომი, ნაწილი II. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. თბილისი 1982.
2. სონღულაშვილი ირ. მასალები ნაქარგობის სახეების ქართული ტერმინოლოგიისათვის. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, ტ V თბ. 1999.
3. ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული . ტ I –II. თბ.1991.
4. მელიქიშვილი ი. სადისერტაციო ნაშრომი - ქართული საეკლესიო ნაქარგობის საკითხის შესწავლისათვის. თავი I „ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა“. თბ. 2009.
5. ავტორთა ჯგუფი: ი. მელიქიშვილი, გ. ბარათაშვილი, მ. კეცხოველი, ე. ბერელაშვილი, ე. სულხანიშვილი. „ქართული ნაქარგობა“ თბ. 2011.

ნამაგრი სითვით ქარგვა

თავი IV



შესავალი

ქართული ნაქარგობის ხანგძლივი ისტორიის განმავლობაში (უძველესი ნაქარგობის ნიმუში XII ს-ით თარიღდება) შექმნილი ნაქარგობის ნიმუშების უდიდესი ნაწილი ოქროსა და ვერცხლის თმის ან ოქრომკვდითა და ვერცხლმკვდითაა შესრულებული. ოქროქსოვილისაგან განსხვავებით, სახეები თუ კომპოზიციები ნამაგრი სითვით ქარგვისას უკვე მზა ქსოვილზე იქარგება.

ქსოვილები, ადგილობრივის გარდა, შემოტანილიც საკმაოდ პოპულარული იყო. ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ოქროქსოვილის სხვადასხვა სახეობა: დიბა, ფარჩა. ისინი ინტენსიურად მთელ საქართველოში XIV ს-დან შემოდის. მისი დამზადება-მოქსოვა, ცხადია, ოქროს ძაფს უკავშირდება. ქსოვილზე გამოყვანილი სახეები აბრეშუმის ძაფითაა ნაქსოვი. მიწარი ოქროსფერია, ქსელი აბრეშუმისა, ხოლო მისაქსელი, როგორც წესი, ოქროს ძაფისაა.

ნაქარგი ნიმუშები, რა თქმა უნდა, აბრეშუმის სხვა სახეობის ქსოვილზეც იქარგებოდა. (ძირითადად, ატლასი, იშვიათად, ყანაოზი და ხავერდი).

ქსოვილის ფერი ტრადიციულ ქარგვაში განისაზღვრებოდა კანონიკურ ფერთა სიმბოლიკით, ხოლო ერში გამოსაყენებელი სამოსისათვის, პრაქტიკულობიდან გამომდინარე, უფრო მუქი ფერის ქსოვილი გამოიყენებოდა.

ქსოვილის შერჩევას განაპირობებდა მეორე ფაქტორიც, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ურთიერთობები ქრისტიანულ სამყაროსთან (მაგ., XVI-XVII სს-ში ქსოვილები, ძირითადად, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა. მოგვიანებით, XVIII-XIX სს-ში კი - ევროპიდან და რუსეთიდან. ზოგჯერ ამავე ქვეყნებიდან შემოჰქონდათ მზა, დაქარგული სამოსი.

მესამე ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს თავად დამკვეთის ან შემსრულებლის (ისტორიული პირი, მომქარგველი, მოქარგვის ადგილი - დიდგვაროვნის სასახლე, ტაძარი ან მონასტერი) მატერიალური შესაძლებლობები და გემოვნება.

ყველა ეს ფაქტორი უკავშირდება თავად ნაქარგის შესრულების ტექნიკურ მხარეს, რაც განპირობებული იყო საქარგავი მასალის ხელმისაწვდომობითა და მქარგავის ოსტატობით.

4.1. ნამაგრი სითვით შესრულების სხვადასხვა მეთოდი

4.1.1. ნამაგრი სითვის ტექნიკური ხერხების დაუფლება

ქარგვის ტექნიკური ხერხი, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, თვითონ მიგვანიშნებს, რომ აქ არ ხდება კერვის ისეთი პროცესი, როგორც ორმხრივი სითვისთვისაა დამახასიათებელი. ნამაგრი სითვით ქარგვის შემთხვევაში, ერთი სახეობის ძაფი მეორე სახეობის ძაფით მაგრდება.

ქარგვის პროცესი აქაც ქარგას უკავშირდება და ქარგის სახეობას განსაზღვრავს მოსაქარგი სივრცის სიდიდე. პროცესის დაწყებამდე ამოსაქარგი გამოსახულება დააქვთ მიწარზე, რომელიც ქარგაზე უნდა გადაიჭიმოს. სახეების დატანის სხვადასხვა ხერხი არსებობს და ეს ისევე ხდება, როგორც ორმხრივი სითვით ქარგვის დროს.

დატანილი სახეები ერთდროულად ფიქსირდება მიწარსა და მუშა ტილოზე, მოსაქარგი ნაყშები თუ კომპოზიციები გამოჰყავთ წვრილი და მსხვილი ბმულადებით (ბმულადი ნემსის ერთი ამოყრა - ჩაყრა და გადაადგილება). (სურ: 1)



სურ:1. ქარგვის პროცესი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამოსაქარგავი სახე ან გამოსახულება იფარება ზამბის გრებილი ძაფის ნაფენით, რაც ქმნის რელიეფურ ფონს. რელიეფურობას განსაზღვრავს ძაფის სისქე და მქარგავის სურვილი გამოსახულების მიწარზე ამოზიდვისა. ნაფენის მომზადების შემდეგ იწყება ოქროს ან ვერცხლის თმის, შესაბამისად, ოქრომკედისა ან ვერცხლმკედის ჩამაგრება მისი შესაფერი აბრეშუმის ძაფით (სურ: 2).



სურ: 2. ნაფენზე ოქრომკედით ქარგვა

ბმულადების მწკრივი სხვადასხვაგვარი ხერხების გათვალისწინებით მოძრაობს და ქმნის ნაქარგობას.

მქარგავი ოსტატი, ვიდრე ქსოვილს ქარგაზე დაამაგრებს, მასზე დააქვს სასურველი გამოსახულება, მხოლოდ დანასველებ ქსოვილზე. ქსოვილი აუცილებლად უნდა დასველდეს, გაივლოს წყალში, რომ მისი დაქარგვის შემდეგ ის არ შედგეს. ეს განსაკუთრებით ახასიათებს ბუნებრივ ქსოვილებს, ამიტომ ქარგვისას ეს უნდა გაითვალისწინონ.

ძველად სახეთა დატანა ძირითადად ორი წესით ხდებოდა:

1. პირდაპირ ქსოვილზე (მიწარზე) იხატებოდა (ბასმით, მელნით, ფანქრით) მოსაქარგავი სახე ან კომპოზიცია (სურ: 3).



სურ: 3. ესკიზის შემდეგ ქარგვის პროცესი


2. თხელ ტყავსა ან ქალაღზე შესრულებული ნახატი იჩვრიტებოდა ნემსით კონტურზე (ძირითადად მახათით). მას დებდნენ მოსაქარგავ ქსოვილზე, შემდეგ მასზე გადაატარებდნენ ბადისებრ, მომცრო ტომარაში ჩაყრილ ნაცარს, რომელიც გადიოდა კონტურის ნაჩვრეტებში. მიწარიდან იღებდნენ ქალაღს ან თხელ ტყავს, რის შემდეგაც მასზე რჩებოდა ნაცრის კვალი. ამ მონახაზის განსამტკიცებლად უკვე ქარგაზე დამაგრებულ ქსოვილზე - მუშა ტილოზე მოსაქარგავ სახეებს ნემსითა და ძაფით „სვამდნენ“ (ამ შემთხვევაში ნემსი გადიოდა ორივე ქსოვილში). ამით ფიქსირდებოდა ნახატის კონტური და, ამასთანავე, მუშა ტილო სიმტკიცესა და სიმაგრეს მატებდა მიწარის ქსოვილს (სურ: 4).



სურ: 4.

პროცესი, რომელიც ფაქტობრივად ამზადებს საქარგავ ობიექტს ქარგვისათვის და იქმნება მხატვრული ქარგვის ნიმუშები, კოლექტიური შრომის შედეგია. მხატვარი, უმეტესწილად ხატმწერი, ტილოსა ან ქაღალდზე ასრულებს ძირითად კომპოზიციას, ხოლო მქარგავი ქარგავს.

ისტორიულად, ვინც ძირითად კომპოზიციას ქმნიდა, „სახეთა გამომყვანები“ ეწოდებოდათ (სურ: 5).




სურ: 5. კომპოზიცია საბუხარიდან „პრორისისა“

ძველად მცენარეული სახეებისა და ორნამენტის მომხატველებს „ТРАВШИКИ“ ეწოდებოდათ (სურ: 6).



სურ: 6. მცენარეული კომპოზიცია საბუხარიდან


ნაქარგ ნიმუშზე წარწერის დამწერებს „სიტყვათა დამწერი ეწოდებოდათ (სურ: 7).



სურ: 7.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, აქ მქარგავის შრომა გარკვეულწილად დიფირენცირებული იყო. ეს პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა. მისი ხანგძლივობა კი მოსაქარგავის სირთულით განისაზღვრებოდა.

პირველი პირობა, ნამაგრი სითვით ქარგვის დროს ისაა, რომ ძველად ნემსისა და ძაფის პარალელურად გამოიყენებოდა რკინის მაქოები („დუფითილა“) (სურ: 8).




სურ: 8. დუფითილა

ქარგვის პროცესში მათზე დახვეულ ოქრომკედსა და ვერცხლმკედს რკინის სიმბიმე აფიქსირებდა, მქარგველისათვის საჭირო მდგომარეობაში „იჭერდა ძაფს“, სანამ მას ოსტატი ამაგრებდა ბმულადებით. ოსტატი ნემსითა და ძაფით ჩამაგრების შემდეგ მას მოჭიმავდა მისთვის სასურველ მდგომარეობამდე.


ნამაგრი სითვით ქარგვისას, ძირითადად, ბმულადებით შექმნილი სწორი ხაზის მოძრაობით იქმნება სახეები. ბმულადების განლაგება სამ ძირითად პრინციპს ექვემდებარებოდა:

I - სწორი ხაზის მოძრაობა წინ და უკან (ლიანდაგური - 1; კალათური - 2; ლასტური და კილოური - 3) (სურ: 9).




სურ: 9.

II - სწორი ხაზის მოძრაობა ტეხილზე: (ტეხური - 1; წიწვური - 3; ნაკრტენი - 2) (სურ:10).




სურ: 10.

III - კუთხეების შეერთებით წარმოქმნილი ოთკუთხა ფორმები (სურ: 11).



სურ: 11.



სურ: 12. სქემაზე წარმოდგენილია ნამაგრი სითვის შემდეგი ტექნიკური ხერხები: კილოური 1; ტხური 2,6; ლიანდაგური 3,8; გათვალული რომბული 4; თევზიფხურა 5; ლასტური 9; დაფანჯული რომბული 7.

ძირითადი კომპოზიციები, რომლებიც ნამაგრი სითვის ტექნიკაში გვხვდება ოსტატის მუშაობის პროცესში, გარკვეულ ცვლილებას განიცდის. მიუხედავად მისი კანონზომიერი

ხასიათისა, ამ კომბინაციების გართულება, რამდენიმე ვარიანტის შერწყმა ან, პირიქით, თვით ქარგვისას ხდება.

ქარგვის ტექნიკური ხერხების სხვადასხვა სახეობის წარმოშობისა და მათი სახელწოდების შესახებ შესაძლებელია იდენტური, უფრო სწორად, მსგავსი სახეებისა და მათი სახელწოდებების გათვალისწინებით. ამ მხრივ, ბევრისმომცველია ქართული საერო ხელსაქმის ნიმუშებში (ნაქსოვი, ნაქარგი, ნაბეჭდი ქსოვილები) დაცული სახეების ტერმინები. პირველი, რაც ქართულ ნაქარგობაში გამოყენებული ტექნიკური ხერხების ტრადიციულობას განაპირობებს, ალბათ მაინც უძველეს საერო ხელსაქმესთანაა დაკავშირებული და ასევე ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგთან. კერძოდ, ის უკავშირდება უძველეს ქართულ კერამიკას (მოხატული, ამოკაწრული, ზედ რელიეფურად ამოზიდული), ოქრომჭედლობის უძველეს და ტიხრული მინანქრის ნიმუშებს (სურ: 13, 14).



სურ: 13. ქართული კერამიკული ნაწარმი




სურ: 14. ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უძველესი ნიმუში

ამ დარგების ოსტატები არა მარტო იდეურად, არამედ პრაქტიკულადაც მჭიდრო კავშირში არიან მქარგავებთან. სწორედ ოქრომჭედლების დახმარებითა და მათი ოსტატობით მზადდებოდა ის უძველესი საქარგავი მასალა, რომელსაც ნამაგრი სითვის დროს გამოიყენებდნენ მქარგავები (ოქროსა და ვერცხლის თმა, ოქრომკედი და ვერცხლმკედი, სპილენძისმკედი და ოქროს ან ვერცხლის გრეხილური და სხვადასხვა სახის ლითონის) სამკაულები ნაქარგობის შესამკობად.

საინტერესოა, ტექნიკური ხერხების წარმომავლობის თვალსაზრისით, ქართულ ტაძრებზე რელიეფური ქანდაკებების ორნამენტული დეკორი, სამოსის დრაპირება და მოჩარჩოება (სურ: 15).





სურ: 15. ქართული არქიტექტურული ნაგებობების რელიეფების ნიმუშები

ქარგვის ტექნიკური ხერხების წარმოშობასა და განვითარებას განაპირობებს მისი კავშირი ქსოვილის ქსოვასთან, რადგან ის ადრეულია ქარგვაზე. ბუნებრივია, რომ შემდგომ, როდესაც ხელსაქმის ეს სახეობა - ქარგვა გაჩნდა, ქსოვილზე არსებული სახეების გადმოტანა მოხდა ნაქარგობაში. მით უმეტეს, რომ მოგვიანებით ეს თითქმის კანონიკურიც ხდება.

ზემოთ მოხმობილ არქიტექტურულ ძეგლებზე გეომეტრიული სახეების გარკვეული წესით განლაგებით (პარალელური ხაზები, ტეხილები, ურთიერთშეპირისპირებული ხაზები) არა მარტო ორნამენტური დეკორი, არამედ კონკრეტული გამოსახულებებიცაა წარმოდგენილი - პერსონაჟთა სამოსი, მათი მოძრაობის ამსახველი პოზები. აქ ეს ხერხები უფრო ხისტია, რაც თითქოს ბოჭავს მოძრაობას.

ნაქარგობაში ეს ხისტი ხაზები, ოღონდ უკვე სხვა მასალით შესრულებული, გამოსახულებას დინამიკურს, მოძრავს ხდის, ანუ პერსონაჟებს, გარკვეული სტატიკურობა - სიბრტყობრიობის ნაცვლად, მეტი სიმსუბუქე და ჰაეროვნება ახასიათებს. ზოგჯერ ეს დინამიკა აბსოლუტურ სრულყოფას აღწევს და, შეიძლება ითქვას, ნაქარგობისათვის დამახასიათებელი სიბრტყობრიობიდან თავის დაღწევაც ხერხდება. ამის ბრწყინვალე მაგალითია ნაქარგობის უძველესი ნიმუში - საბუხართა წყვილი კაცხის მონასტრიდან (სურ: 16) ფორმის, სიბრტყეზე მოძრაობის სრულყოფილად გადმოსაცემად მქარგავი ოსტატი ტექნიკური ხერხების სხვადასხვა ვარიანტის ერთმანეთთან შეპირისპირების მეთოდს მიმართავს.



სურ: 16. საბუხართა წყვილი კაცხის მონასტრიდან

ამ მეთოდითვე აღწევს ფორმების განლაგებას სიბრტყეზე, რომელიც შეიძლება შევადაროთ ფერწერაში პლანების განლაგებას. აქ მქარგავმა სწორედ ასეთივე მეთოდის გამოყენებით შეძლო კომპოზიციაში ოთხი პლანის გადმოცემა და ამ ხერხით მიაღწია პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი დეტალების ხაზგასმას. მან მიიღო ოქროსა და ვერცხლის თმის ნამაგრი სითვით ქარგვისას თითქმის არარსებული - სივრცის, სიღრმის ეფექტი და, უდავოდ, შექმნა მაღალმხატვრული ქარგულობის ნიმუში.


ნამაგრი სითვით ქარგვისას კონკრეტული ხერხი კონკრეტულ ეფექტს იძლევა და ეს მიიღწევა ბმულადების ძალიან ახლოსა და ზუსტ ხაზზე განლაგებით.

ამ ხერხებზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქარგავ მიწარზე წინასწარ დალაგებული (ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად) ერთი სახეობის ძაფის დამაგრება ხდება მეორე სახეობის ძაფით. ამ ჩამაგრების პროცესში ბმულადების, უკვე დაკანონებული არსებული წესით, მწკრივის განლაგება ქმნის გარკვეულ სახეებს, ნახჭებს. ამ სახის ნაქარგობას უნდა ვუწოდოთ არა ნაკერობა, არამედ მოსითვა, ხოლო ხერხებს - სითვის სახეები. ტექნიკური ხერხების შესწავლამ გამოავლინა ის თავისებურებანი, რომლებიც უშუალოდ მასალაზე ვიზუალური და მხოლოდ მიკროსკოპული დაკვირვების შედეგად მივიღეთ.

ლიანდაგური სითვი - მიიღება ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ბმულადების მწკრივით. ტოვებს დალიანდაგებულის შთაბეჭდილებას, ოქრომკედი ან ვერცხლმკედი ნაფენის საშუალებით მიწარიდან რელიეფურადაა ამოზიდული (პარალელური



ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები, სამოსის დრაპირება, არქიტექტურული დეტალები).

ლიანდაგურით ქარგვა ისეთ ვერტიკალებსა და ჰორიზონტალებს ქმნის, რომელიც კომპოზიციაში პერსონაჟის მოძრაობას უსვამს ხაზს, რაც დაფიქსირებულია სამოსის დრაპირებით (სურ: 17).



სურ: 17. ლიანდაგური ნაქარგობის სქემა და ნიმუში

კილოური სითვი - ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი ყულფის მსგავსი ნაკერებია. ჩამაგრება ხდება ორი მხრიდან და იძლევა ღილ-კილოს ეფექტს. ამანვე განაპირობა მისი სახელწოდებაც. ამ ხერხით ქარგვისას რელიეფურობისათვის უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულია წვრილი, მსხვილი ბაწარი, დაგრებილი ქალაღი. ამ ტექნიკით იქარგება გამოსახულების კონტურები, წარწერები, მოძრაობის გამომხატველი შტრიხები, მცენარეული გამოსახულების ღეროები. კილოური კონტურის ხაზია, რომელიც გამოსახულებას ასრულებს(სურ: 18).



სურ: 18. სქემა კილოურისა, დეტალი ანგელოზის ფრთისა და წარწერის ნიმუში

კალათური - შედარებით ფართო მონასმით შესრულებული „ფუნჯის ეფექტია“. იგი სიბრტყეზე იშლება და თითქმის ყოველთვის ლიანდაგურსა ან ტეხურთან შეპირისპირებით ფორმის, მოცულობის საოცარ ეფექტს ქმნის.

კალათური - სიბრტყის გადმოცემის საშუალებაა და ხშირად ტეხურსა ან ლიანდაგურთან შეპირისპირებით რელიეფები გამოისახება.

კალათური სითვით ქარგვისას ბმულადები ისე ნაწილდება, რომ ჩასამაგრებელი ძაფის 4-5 წვერი ბმულადების ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებით ერთიმეორეზე გადატარებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, ზუსტად ისე, როგორც კალათის დაწვნისას. ამ ტექნიკით იქარგება სამოსის კალთის ბოლოები, წარწერის ფონი, არქიტექტურული ნაგებობის სიბრტყეები (სურ: 19).



სურ: 19. კალათურისა და ლასტურის სქემა და კალათურით ნაქარგის ნიმუში

ლასტური სითვი - თითქმის იმეორებს კალათურს, ოღონდ ამ შემთხვევაში ოქრომკედის ოთხ-ოთხი წვერი მაგრდება ტალღისებურად განლაგებული ბმულადების მწკრივით. თუ კალათურში სიმეტრია ზუსტია, აქ ბმულადების მწკრივი განლაგებულია ჭადრაკულად. აქ ბმულადები ტალღისებურად ლაგდება და სიმეტრია ნაკლებია (ნაქარგი კომპოზიციის ფონი, სამოსის მოძრავი კალთის ბოლოები) (სურ: 19).

ტეხური - ეს არის მოძრავი ტეხილი ხაზი, რომელიც სიბრტყეზე როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ მდებარეობაში გვხვდება. აქედან გამომდინარეობს მისი ვარიანტების - წიწვურისა და თევზიფხურის სახელწოდებაც. ბმულადების ტეხილით განლაგება საქარგავ სიბრტყეზე განაპირობებს ფორმისა და მოძრაობის სრულყოფას.


ამ შემთხვევაში ბმულადები ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად განლაგებულ ოქრომკედსა ან ვერცხლმკედზე ნაწილდება ტეხილი ხაზის მეშვეობით 2-2 წვერი ოქრომკედი მაგრდება ერთი ბმულადით. ტეხილის კუთხის სიდიდე დამოკიდებულია ბმულადების რაოდენობაზე, თითო ტეხილზე მუშაობს 5, 6, 8, 11-მდე ბმულადი. მათი სახელწოდებებიც ამის მიხედვით განისაზღვრება - ხუთბმულადიანი, ექვსბმულადიანი და ა.შ. ამ ტექნიკით იქარგება ნაქარგობის ფონი, სამოსის მოძრავი კალთები, შარავანდედის კონტურშიდა არე (სურ: 20). ამ ხერხით ძირითადად იქარგებოდა საქარგავი სიბრტყის დედაარე და ლიანდაგურთან შეპირისპირებით სამოსის კალთები. ეს არის მოძრავი ტეხილი, გამოსახულების, ფორმის, მოცულობისა და მოძრაობის ეფექტის ხაზგასმის საშუალება.



სურ: 20. სქემა ტეხურისა და დეტალი სამოსის დრაპირებისა

წიწვური - სითვით ქარგვისას ბმულადების ერთი მეორეზე „წაკიდებით“ წიწვიან ტოტსაა მიმსგავსებული. აქ ცალკუთხა ტეხური განლაგებულია ვერტიკალზე.

თევზიფხური - სითვი ცალკუთხა ტეხურის მწკრივები ერთიმეორეში ლაგდება. მას ხევსურულ ნაქარგობაში თევზისზურგა ეწოდება. ტეხური განლაგებულია ჰორიზონტალურად. ამ ხერხებით იქარგებოდა ფონი, სამოსის დეტალები (სურ: 21).



სურ: 21. წიწვური და თევზიფხურის სქემები და ნაქარგობის ნიმუში

რომბული და გათვალული რომბული - ტეხურთან მიმართებით სივრცისა და გამოსახულების ეფექტს გვაძლევს.

რომბული სითვის ტექნიკური ძირითადად ემყარება ოქრომკედზე ბმულადების რომბისებულად განლაგებას. ამგვარად განლაგებული რომბების მწკრივი ერთმანეთზე კუთხის წვერებით მიჯრითაა მიწყობილი. ეს ქმნის ნამაგრი სითვის ამ სახეობას. ამ ტექნიკით იქარგება დეკორი სამოსზე, ზოგადად - სამოსი, არქიტექტურულ ნაგებობათა შიდა ინტერიერი, იშვიათად - კომპოზიციის ფონი (სურ: 22).



სურ: 22. სქემა და დეტალი (რომბული)


გათვალული რომბულის - ტექნიკური ხერხი გარკვეულწილად გართულებული სახეობაა რომბული სითვისა. ნამაგრების განლაგება აქაც იმეორებს რომბის ფორმას და მას ემატება რომბის გულში ერთი ბმულადი, ამიტომ მას ეწოდება გათვალული. ამ ხერხით ქარგვისას ოსტატები ხშირად იყენებენ ქსოვილის ქსელისა და მისაქსელის უჯრედების გათვლის ვარიანტს. ხშირ შემთხვევაში რომბის გულში ბმულადი გაკეთებულია ფერადი აბრეშუმის ძაფით, რაც ნაქარგს ფერადოვნებას ანიჭებს. ნამაგრი სითვის ეს სახეობა ძირითადად დამახასიათებელია რუსული ნაქარგობისათვის, თან, უმეტეს შემთხვევაში, რომბულის გული ფერადოვანი აქცენტითაა გაკეთებული. ქართულ ნაქარგობაში ეს ხერხი ჩნდება გვიან (XVIII-XIX სს.). ამ ტექნიკით იქარგებოდა პერსონაჟთა სამოსის დეტალები ან ორნამენტული დეკორის შიდა არე (სურ: 23).



სურ: 23. სქემა და ნაქარგობის ნიმუში

ნაკრტენი - ხშირად ანგელოზთა ფრთებისა და ორნამენტული დეკორის ქარგვისას ოსტატი იყენებს „ნაკრტენის“ ტექნიკას, რომელიც ბუმბულის ღეროზე ძალიან წვრილი ბუსუსების განლაგებას მოგვაგონებს.

ტერმინი ნაკრტენი სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ქათმის ფრთის ბუმბული. ამ ხერხით ქარგვისას ბმულადების განლაგება ზუსტად იმეორებს ფრინველის ფრთაზე ღინღლის განლაგების მიმართულებას. ნაკრტენით ქარგვისას ორი ვარიანტი გვხვდება: ერთი, როდესაც ორი წვერი ვერცხლმკედი ან ოქრომკედი ორად იკეცება და შუაში ნაკეცზე ერთი ბმულადითა და ბოლოშიც თითო ბმულადით მაგრდება; მეორე ვარიანტი, როდესაც ოთხი წვერი ვერცხლმკედი ან ოქრომკედი ჩამაგრებულია მხოლოდ შუაში მოკეცვის ადგილზე. ამ ხერხით იქარგებოდა ანგელოზთა ფრთები, მცენარეთა ფოთლები, ყვავილის ფურცლები (სურ: 24)



სურ: 24. სქემა და ნაკრტენის ტექნიკით შესრულებული დეტალი

ზემოთ განხილული ხერხების საშუალებით ნამაგრი სითვის ქარგვისას, რელიეფურობის თვალსაზრისით, ნაქარგობის ორ ძირითად სახეობას ვიღებთ:

I - **სიპით** (მოყინული) ნაქარგი, როდესაც რელიეფი არ არის წარმოდგენილი. ნაქარგობა ტოვებს ნაჭედის შთაბეჭდილებას და ახასიათებს გრაფიკულობა. ამ დროს ოსტატი ძირითადად ხმარობს ოქროსა და ვერცხლის თმას ან ოქრომკედსა და ვერცხლმკედს, ძალიან მჭიდროდ, ფაქტობრივად, შეუიარაღებელი თვალისთვის მიუღწევად ბმულადებით ჩამაგრებას (სურ: 25).



სურ: 25. სიპით ნაქარგი საბუხართა წყვილი

II - რელიეფური სითვით ქარგვისას ოსტატი რელიეფურობას აღწევს ოქროსა და ვერცხლის თმის, ოქრომკედისა და ვერცხლმკედის ქვეშ, სამუშაო ტილოსა და მიწარის ქსოვილს შორის მისთვის სასურველი რელიეფის შესაბამისი ნაფენის დაქარგვით. ნაფენი შეიძლება იყოს ძაფის (დაგრეხილი ბამბის ძაფი სხვადასხვა სისქის), ბაწრის (ქალაღდის ბაწარი), ქალაღდის ან მუყაოსი. ამ ტექნიკური ხერხით მიიღება სხვადასხვა სისქის ნაფენით ნაქარგი, ანუ შესაბამისის რელიეფური ნაქარგობა (სურ: 26).




სურ: 26. დაბალი და მაღალი რელიეფით ნაქარგი ნიმუშები

რელიეფურობისა და ნაქარგობის გამომსახველობის გარდა, უკვე ზემოთ ნახსენები ხერხი, სამაგრი ძაფის მოშვება-მოჭიმვა აძლიერებს შუქ-ჩრდილის ეფექტს, რაც ნაქარგობას მოცულობითობას ანიჭებს.

ეფექტების საშუალებებს ნამაგრი სითვით ქარგვისას ემატება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მის ფერადოვნებას. ეს ეფექტი ორი ხერხით მიიღწევა - სამაგრად გამოყენებული ფერადი აბრეშუმის ძაფითა და ზეზით.

აბრეშუმის ძაფის ჩამაგრების ორი ხერხი არსებობს - **ხილული და შეფარვითი**. ხილული ჩამაგრებისას გამოყენებული აბრეშუმის ბმულადები მკვეთრად გამოიყოფა იმ ძაფისგან, რომელიც მაგრდება. გამომდინარე აქედან, ეს ხერხი ძირითადად რუსული და ევროპული ნაქარგობისთვისაა დამახასიათებელი (სურ: 27).



სურ: 27. რუსული ნაქარგობის ნიმუში, ხილული ბმულადებით ჩამაგრება

ასეთ შემთხვევაში ვიზუალური შთაბეჭდილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო ნამაგრი ბმულადების სხვადასხვა ხერხით განლაგება, არამედ სამაგრად გამოყენებული აბრეშუმის ძაფის, ბმულადების მასალის ხარისხი (მისი სისქე, ნაგრეხია ის თუ შლილი).

ერთწვერი, ანუ წვრილი აბრეშუმის ძაფით ჩამაგრებისას ნაქარგობა ნაკლებ ფერადოვანია და იძლევა სხვა ეფექტს, ვიდრე ორწვერი აბრეშუმის ძაფით ჩამაგრება. მით უმეტეს, როდესაც ეწოდება ორმაგი ბმულადებით ჩამაგრების ხერხი. აქ ორჯერ მეორდება ბმულადობის ნაბიჯი ოქრომკედზე და ოქროსფერ ფონზე ტოვებს ფერადით ნაქარგის შთაბეჭდილებას.

ქართული ნაქარგობის ტექნიკისათვის ნამაგრის სისადავეა დამახასიათებელი. ამას ოსტატი მხოლოდ ერთი საშუალებით მიაღწევს - შეფარვითი ქარგვით. ხილული ბმულადებისაგან განსხვავებით, აქ სამაგრად გამოყენებული აბრეშუმის ძაფი სრულიად შეესაბამება ჩასამაგრებელ მასალას - ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ოქროსა და ვერცხლის თმა ჩამაგრებულია მისივე შესაფერისი აბრეშუმის ძაფით. ეს ნამაგრები შეუიარაღებელი თვალით თითქმის შეუმჩნეველია. ასეთი ქარგვისას მიღებული ეფექტი ქართულ ნაქარგობას ლითონქანდაკების ნიმუშებს ამსგავსებს (სურ: 28).



სურ: 28. საბუხარი - შეფარვითი ბმულადებით ნაქარგი

ნაჭედის შუქ-ჩრდილების ეფექტს მქარგავი ნამაგრი სითვის გასხვავებული ხერხის ერთმანეთთან შეკირისპირებისა და საქარგავად გამოყენებული სხვადასხვაგვარი მასალის გვერდიგვერდ განლაგებისა და ჩამაგრების მეთოდით იღებს.

ფერადოვანი აქცენტებისათვის ქართულ მხატვრულ ნაქარგობაში ძირითადად გამოიყენება საქარგავი მასალა **ზეზი**, რომელსაც ოსტატი ქარგვის პროცესში თავად ამზადებს. მისთვის საჭირო ფერისათვის ოქროს ან ვერცხლის თმას, ოქრომკედს ან ვერცხლმკედს შეაგრებს იმ ფერის აბრეშუმს, რომლის დომინანტიც მას სურს (სურ 29).



სურ: 29. ზეზით ნაქარგობის ნიმუში

ამ შემთხვევაში, ხილული ბმულადებისაგან განსხვავებით, ზეზი იძლევა ფერადოვნებას და არა სიჭრელეს, რაც ნაქარგს თბილ, ზომიერ ფერს აძლევს.

ქართულ მხატვრულ ქარგულობაზე საუბრისას ასევე აღსანიშნავია ე.წ. კონტურის ხაზის, ანუ ნაქარგის ფორმის განმსაზღვრელი ხაზის შესრულების ტექნიკა. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ ხაზის ორი ვარიანტი არსებობს:

I - ხაზი დაფიქსირებულია ხილული ბმულადებით, ნაქარგობის ფონის - საპირისპირო კონტრასტული ფერის ძაფით. ზოგჯერ, ამ ხაზის გამომსახველობის გაზრდის მიზნით, დამატებით მას გასდევს ბაწარზე ნაქარგი ან მარგალიტის სხმული მძივი (სურ: 30).



სურ: 30. ნაქარგობის კონტურის ხაზი (ბმულადების მწკრივით, სხმული მარგალიტით და ბაწარზე ნაქარგით)

II - კონტურის ხაზი ამოდის ნაქარგობის მიწარიდან. ეს ხაზი მიიღება ქარგვის სხვადასხვა ხერხის შეპირისპირების ადგილას. ამის ნათელი მაგალითია ლელას საბუხარები - XVII ს-ის I მეოთხედი. საბუხართა ამ წყვილის ტექნიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოქრომკვედითა და ვერცხლმკვედით ქარგვისას ნაქარგობის წარწერის, სამოსის დრაპირების კონტურული ხაზი გამოიკვეთა ქვემოდან, ნაქარგობის შავი ფერის მიწარიდან. აქ ოსტატი არ იყენებს შავი ფერის ძაფის ბმულადებს. იგი კონტურის ხაზს გამოყოფს ოქროსფერი და ვერცხლისფერი ძაფის ჩამაგრებით. ამ ხერხით შავი ფერის მიწარზე გამოიყოფა დამაფიქსირებელი ხაზი (ანუ კონტური). ასეთი ხერხით ქარგვისას ფორმები უფრო მკვეთრად, რელიეფურად წარმოჩინდება, ხოლო როდესაც ჩამაგრება ხდება ოქროსა და ვერცხლის შესაფერის ძაფით, ოქრომკვედი და ვერცხლმკვედი ფერში არ „ტყდება“. ნაქარგი გვაგონებს ნაჭედ ხაზს და ეს შთაბეჭდილება უფრო ძლიერია, თუ მას ემატება სხმული მარგალიტის კონტური. ნაქარგობის ტექნიკის განხილვისას მნიშვნელოვანია საკითხები, რომლებიც ეხება ოქრომკედსა და ვერცხლმკვედთან ფერადოვანი აქცენტების გამოყენებას. სხეულის შიშველი დეტალები და სახე იქარგება ვერცხლმკვედის ზეხით, სახის ცალკეული ნაკვეთები - ტუჩი, წარბი და თმა - აბრეშუმის ფერადი ძაფით (სურ: 31).





სურ: 31. ბატონიშვილ ლელას მიერ მოქარგული საბუხარი

ქართველი ოსტატი ნამაგრი სითვით ქარგვისას ფორმისა და რელიეფურობის მისაღწევად საერთოდ არ მიმართავს შუქჩრდილის, ტონისა და ნახევარტონის მონაცვლეობას. კომპოზიციაში ნაქარგობის ფორმის ხაზგასმისა და რელიეფურობის ეფექტის შესაქმნელად კიდევ ერთ ხერხს მიმართავენ. ეს არის ორი ან მეტი სახეობის მასალის გამოყენება ერთ სიბრტყეზე, მაგ., ოქროს თმის გვერდით ვერცხლმკედის განლაგებითა და ჩამაგრებით მათი ზედაპირის ბზინვარება განსხვავებულია, რაც ქმნის ისეთივე ეფექტს, როგორსაც სხვადასხვა ხერხის შეპირისპირება. ეს არის საოცრად დახვეწილი, თავშეკავებული გამის ეფექტი (სურ: 32).





სურ: 32. საბუხარის ნიმუში

ნაჭრელით ნაქარგი - გამოიყენება უმეტესად ფონების გამყოფი „ხაზნარის“ ქარგვისას. გარკვეული ინტერვალების დაშორებებით აბრეშუმის ძაფით მაგრდება ვერცხლმკედი ან ოქრომკედი (მოგვაგონებს ჯოხის დაჭრელების პრინციპს). ორად მიკეცილი ოქრომკედი ან ვერცხლმკედი მაგრდება ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან. ეს ბმულადები ფარავს გარკვეულ მონაკვეთზე ფერადი აბრეშუმის ძაფს, შემდეგ აკეთებს „დიდ ნაბიჯს“ და ამ შუალედში ჩანს აბრეშუმის ძაფი (ყოველი 6 ბმულადის შემდეგ მოჩანს აბრეშუმის ძაფი, შემდეგ ისევ 6 ბმულადი და ა.შ) (სურ: 33).



სურ: 33. ნაჭრელით ნაქარგის ნიმუში

ბაწარზე ქარგვისას - გამოსახულების კონტურზე მაგრდება ბაწარი და ის იფარება ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ნამაგრებით.

მეორე ვარიანტით ოქრომკედის ან ვერცხლმკედის ორი ურთიერთპარალელური ბმულადების მწკრივი გასდევს უკვე ჩამაგრებულ ბაწარს და ორმაგ ბაწარზე ნაქარგის შთაბეჭდილებას ტოვებს (ეს ხერხი აერთიანებს კლერტულს, კალმურსა და ნაჭრელით ნაქარგს). ამავე ხერხში შეიძლება გაერთიანდეს სხმული მარგალიტის მძივით კონტურშემოყოლებული ნაქარგობის ნიმუშები. აქ ბაწარზე ნაქარგი შეცვლილია მარგალიტის წვრილი მძივების ჩამაგრებით (სურ: 34).



სურ: 34. ბაწარზე და სხმული მარგალიტით ნაქარგი ნიმუშები

ქარგვის პროცესის ბოლო ეტაპზე, ნაქარგობის სიმტკიცისა და ნაკერის სიმაგრის მიღწევის მიზნით, ოსტატი მიმართავდა უკვე მეორე ხერხს - დატკეცვას, ანუ გაჯანდვრას (სურ: 35)



სურ: 35. ეშვისა და ჯანდრის ხე

კარგად გაპრიალებული მრგვალი ხის ან ეშვის საშუალებით. დატკეცვა ხდებოდა ნაქარგობის ზურგის მხრიდან ეშვის ენერგიული გასმით. ეს პროცესი აფიქსირებდა ბმულადებს სამუშაო ტილოზე და ამავე დროს ხელს უწყობდა ჩამაგრებული ოქროს ან ვერცხლის ძაფების ბზინვას.

ქართული საეკლესიო ქარგულობის ტექნიკური ხერხების თეორიულმა და პრაქტიკულმა კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტექნიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი ნაქარგობის სტილისა და მხატვრულ ღირებულებათა განსაზღვრაში. მდიდარ და მრავალფეროვან ტრადიციული ქართული ქარგვისათვის მახასიათებელ ძირითად თავისებურებას, ეროვნული წიაღიდან ამოსულს, ხელსაქმის დღევანდელი ოსტატები თითქმის უცვლელად ტოვებენ, ახლად შექმნილს კი თავისებურ ელფერს სძენენ. სწორედ მათ მიერ შექმნილი ქარგვის ნიმუშები გარკვეული მხატვრული ღირებულებისაა და გამორჩეულია სხვა ხალხთა ხელსაქმის ნიმუშთაგან.



კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. ტექნიკურად რა ძირითადი მახასიათებელი აქვს ნამაგრ სითვის?
2. რა მასალით იქარგება ნამაგრი სითვის ტექნიკური ხერხები?
3. რა ეტაპებია საჭირო ნამაგრი სითვით ქარგვის დასაწყებად?
4. რით არის განპირობებული ნამაგრი სითვით ნაქარგის რელიეფურობა?
5. ჩამოთვალეთ ოქრომკედისა და ვერცხლმკედის ჩამაგრების ოთხი ძირითადი ხერხი?
6. რომელი ხერხი იძლევა კონტურის ხაზის ეფექტს ნამაგრი სითვით ნაქარგში?
7. რომელი ხერხი იძლევა მოძრაობის ეფექტს ნამაგრი სითვით ნაქარგში?
8. რა არის შეფარვითი და ხილული ბმულადები?
9. რა ეფექტისათვის გამოიყენება ნამაგრი სითვით ქარგვისას ზეზი?
10. რით განსხვავდება ქართული ნაქარგობის კოლორიტი რუსული და ევროპული ნაქარგობისაგან?
11. რას ნიშნავს ტერმინი „სიპით ნაქარგი“?
12. როგორი ნაფენი კეთდება მაღალი რელიეფურობის მისაღწევად?
13. რა მიზნით ხდება ნამაგრი სითვით ნაქარგის გატკეცვა, ანუ გაჯანდვრა ეშვით ან ჯანდრის ხით?
14. რამდენ ბმულადიანი არსებობს „ტეხურით“ ჩამაგრების ხერხი?



➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. სონლულაშვილი ირ. მასალები ნაქარგობის სახეების ქართული ტერმინოლოგიისათვის. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები ტ V თბ. 1999.
2. ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული . ტ I –II. თბ.1991.
3. მელიქიშვილი ი. სადისერტაციო ნაშრომი - ქართული საეკლესიო ნაქარგობის საკითხის შესწავლისათვის. თავი I „ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა“. თბ. 2009.
4. ავტორთა ჯგუფი: ი. მელიქიშვილი, გ. ბარათაშვილი, მ. კეცხოველი, ე. ბერელაშვილი, ე. სულხანიშვილი. „ქართული ნაქარგობა“ თბ. 2011.

ჯვრულით ქარგვა

თავი V




შესავალი

სახელმძღვანელოს ეს თავი ორმხრივი სითვით ქარგვის ერთ-ერთ სახეობას - ჯვრულით ქარგვას ეთმობა. ამ თავში მხატვრული ქარგვის უძველეს სახეობაზეა საუბარი. ჯვრულით იქარგებოდა და დღესაც იქარგება სქართველოში ყველაზე ძველი ეროვნული სამოსი, ჩვენი ქვეყნის ულამაზეს კუთხეში, ხევსურეთში.

ამ თავში განხილულია ქარგვის მეთოდები, ტექნიკური ხერხები და ის პროცესები, რომლებიც ჯვრული ნაქარგობის დროს უნდა გამოიყენოს მქარგველმა.

განხილულია კონკრეტული ნაქარგობის ნიმუშები, რომელთაც ახასიათებს ქართული ტრადიციული ფერთა გამა.

ჯვრულით ნაქარგ სამოსზე წარმოდგენილ ნაქარგობაში კარგად იკითხება ქარგვის ამ ხერხის ტრადიციულობა, მისი თვითმყოფადობა და გენეტიკური გემოვნება.



5.1.1. ჯვრულით ქარგვის ტრადიციები საქართველოში

უძველეს ნაქარგობის ნიმუშებში, როგორცაა ოქრომკედლითა და ვერცხლმკედლით ქარგვა და საეკლესიო ნაქარგობა, ამ ხერხს ოსტატები არ იყენებდნენ. ჯვრული ქარგვა უფრო საერო ნაქარგობის იმ ნიმუშებში იკიდებს ფეხს, რომელშიც მისი გამოყენება საყოფაცხოვრებო საგნებისა და საერო სამოსის შემკობა-გამშვენებას უკავშირდება. მისი ეს ხალხურობა ასახულია ფერთა გამასა და ორნამენტულ დეკორში.

ზოგადად, მხატვრული ქარგვის ეს სახეობა ხალხური ქარგვის მიმართულებას მიეკუთვნება. ეს ტექნიკა რომ არსებობის ხანგრძლივ პეროდს მოიცავს, მისი სიმარტივიდანაც ჩანს. ნაქარგობის ეს სახეობა სამ აუცილებელ კომპონენტს მოიცავს: ქსოვილი, რომელზეც იქარგება, კონკრეტული სახეობისაა. ამისთვის ძველად იყენებდნენ ბამბის ტილოსებური ხლართით ნაქსოვ ისეთ ქსოვილს, რომელშიც ქსელისა და მისაქსელის განლაგება კარგად ჩანდა და მათი საშუალებით თვლა შედარებით ადვილი იყო.

ტილოსებური ხლართით ნაქსოვი ქსოვილი, რომელსაც ხევეურეთში დღესაც „შილას“ უწოდებენ (სურ:1), შეცვალა შემოტანილმა კანვამ ან შალის ქსოვილმა (სურ:2.). მასალა, რომლითაც იქარგება, ასევე კონკრეტულია (აბრეშუმის, ბამბის, შალის და ე. წ. „მულინეს“ ძაფი) და ქარგვის მეთოდი, რომელიც თვლაზეა დაფუძნებული (სურ: 3, 4).

ჯვრული ტექნიკით ნაქარგს ხევსურულ დიალექტში შეესატყვისება ტერმინი „ნაჭრელა“, რომელიც ხალხურ ლექსშიცაა ასახული:
„დაკვეხნებაზე ნუ იყვას ლამფა არ მინდა ქალსაო, თოლ-პირის სინათლეზედა დავხკერავ ნაჭრელასაო.“

ქარგვის ეს ერთ-ერთი უძველესი სახეობა დღესდღეობით საკმაოდ პოპულარულია და მრავალი ქალბატონი ფლობს მის ტექნიკას.



სურ: 1. ხევსურული ტოლის ნიმუში



სურ: 2. კანვის ქსოვილი




სურ: 3. შალის, აბრეშუმისა და ბამბის ძაფები



სურ: 4. „მულინეს“ ძაფი

5.1.2. ჯვრულით ქარგვის ტექნიკური ხერხები

ერთი შეხედვით, ჯვრული ტექნიკით ქარგვა თითქოს ადვილი გვეჩვენება, სწორ ხაზზე ან გარკვეული ერთი მიმართულებით განლაგებული ჯვრებით ქარგვა (სურ: 5), მაგრამ ქარგვის ამ სახეობას გარკვეული სირთულეები აქვს და თუ მქარგველმა კარგად არ იცის ჯვრული ნაქარგობისთვის დამახასიათებელი ყველა დეტალი, მაშინ შედარებით რთული ორნამენტული დეკორის შექმნა საკმაოდ ძნელი იქნება მქარგავისათვის.



სურ: 5. ერთ ხაზზე განლაგებული ჯვრები

ჯვრული ქარგვა თვლასა და სიზუსტეზეა დამოკიდებული, ამიტომ ამ ხერხით ქარგვისას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საჭიროა, ისეთი ქსოვილი შეირჩეს, რომელზეც ქსელი და მისაქსელი კარგად ჩანს და თვლა შედარებით ადვილია.

საქარგავი მასალის მომზადებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ქსოვილი, უწვერო (უფრო სწორად ბლავგწვერიანი) ნემსი და ძაფები შერჩეული ფერების მიხედვით. აუცილებელია სათითე, პატარა მაკრატელი, ქარგა ტრადიციული და ჩარჩო, ქსოვილის გადასაჭიმად.

ქარგვა იწყება წინასწარ მომზადებული ესკიზის მიხედვით, მაგრამ არიან ოსტატები, რომლებიც ესკიზის გარეშე საკუთარი შემოქმედებითი ფანტაზიით ქარგავენ და ქმნიან შედეგებს (სურ: 6).




სურ: 6. ნაქარგი ფარდაგი (ავტ. ლ. ანიაშვილი)

ქარგვის პროცესის დაწყებამდე ოსტატს სქემა-ესკიზი დააქვს მოსაქარგავი ქსოვილის მიწარზე, რომლის მიხედვით იქმნება ნაქარგობა (სურ: 7).



სურ: 7.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯვრულით ქარგვისას მოსაქარგავი ქსოვილი უნდა გადაიჭიმოს ქარგაზე, რომელიც უნდა შეირჩეს ნაქარგობის ზომის მიხედვით. თუ მოსაქარგავი სივრცე დიდია, მქარგველს შეუძლია გამოიყენოს საქარგავი ჩარჩო. ხირად ბევრი მქარგველი ჯვრულით ქარგვისას ქარგას არ ხმარობს და საქარგავი ხელში უჭირავს და ისე ქარგავს (სურ: 8).




სურ: 8. ლ. ანიშვილი - ქარგისა და ჩარჩოს გარეშე ქარგვის პროცესი

ქარგვის პროცესში ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ ნაქარგის კარგ პიროზე ბმულადები სწორხაზოვნად უნდა იყოს განლაგებული, რათა უზუსტობამ არ გააფუჭოს ნაქარგის იერსახე.

ჯვრულით ქარგვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ძაფიანი ნემსის მოძრაობის მიმართულებას:


1. მიმართულება მიდის მარცხნიდან მარჯვნივ (სურ: 9)



სურ: 9.

2. მიმართულება მიდის მარჯვნიდან მარცხნივ (სურ: 9).
3. მიმართულება მიდის ზემოდან ქვემოთ
4. მიმართულება მიდის ქვემოდან ზემოთ(სურ: 10).


გასათვალისწინებელია ის, რომ ნემსზე აგებული ძაფის კუდის სიგრძე მოხრილი ნაწილიანად არ უნდა სცილდებოდეს იდაყვს. ამასთან დაკავშირებით არსებობს გამოთქმა: „გრძელი კუდი, ზარმაცი გოგო“. რადგან გრძლად აგებული ძაფი ძნელად მოსახმარია, ადვილად იბურდება.



სურ: 10.


ასეთი მოძრაობებით მიიღება სხვადასხვა სახის ტექნიკური ხერხები, რომლებიც ქმნის ჯვრულით ნაქარგ ხელოვნების ნიმუშებს.

1. ტეხილი (სურ: 11).




სურ: 11.

2. ორ რიგად განლაგებული ტეხილი (სურ: 12).




სურ: 12.

3. რელიეფურად ნაქარგი(სურ: 13).




სურ: 13.

4. ქათმის ან ჩიტის ფეხა (სურ: 14).




სურ: 14.

5. ვარდულის ტექნიკა (სურ: 15).



სურ: 15

6. ვარსკვლავის სახეები (სურ: 16)



სურ: 16.

ჯვრული ქარგვის ზემოთ ჩამოთვლილი ხერხების გამოყენება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს მოსაქარგავი ნაყში ან გამოსახულება.

გასათვალისწინებელია, ის რომ ქსოვილი ქარგვის პროცესში ხელში ხშირად არ უნდა ვატრიალოთ. ამ დროს ნაქარგი შეიძლება გამრუდდეს, დაიბრიცოს და ზურგის მხრიდანაც არ გამოვა სუფთა და სწორი ხაზები.

ძირითადად ამ ტექნიკით ქარგვისას, რა თქმა უნდა, გამოიყენება ჯვარი, მაგრამ ხშირად მქარგველი ოსტატები იყენებენ ტექნიკური ხერხების კომბინაციებს. ამ შემთხვევაშიც ქარგვის პროცესი ემყარება თვლას.

მნიშვნელოვანია ნაქარგის ხარისხისათვის სწორად შეირჩეს ძაფები. რაც უფრო მაღალია საქარგავი მასალის ხარისხი, მით მაღალი დონისაა ნაქარგი.

ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ფერთა გამის შერჩევაა. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორმხრივი სითვით ქარგვის ქართული ტრადიციები და არ დავარღვიოთ დამახასიათებელი სადა, რბილი, დამჯდარი ფერების კოლორიტი.

ამ ტექნიკით ნაქარგი ქართული ეროვნული სამოსი, მისი დეტალები თუ საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორცაა: სამაჯურები, მანდილები, ქუდეები, თავსაკრავები, თათები, წინდები, საწვივეები, ანუ ჩახსაკრავები, ქისები, ბალიშისა და მუთაქის პირები (სურ: 17, 18, 19, 20, 21, 22). სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები გამოირჩევა სწორედ კოლორიტის თავისებურებით.



სურ: 17. ნაქარგობის ნიმუში



სურ: 18. ხევსურული ქუდი



სურ: 19. ხევსური მამაკაცის პერანგის გულისპირი და საბეჭური



სურ: 20. ხევსური მამაკაცის პერანგის გულისპირი და საბეჭური




სურ: 21. ხევსურული ქოქლო




სურ: 22. გათანამედროვეებული ხევსურული ნაქარგობით შესრულებული ელეგი


ფერთა გამა, რომელიც ჯვრულ ნაქარგობაშია წარმოდგენილი, მიიღება ასევე ტრადიციული ღებვის ტექნოლოგიით. დღემდეა შემორჩენილი ბუნებრივ ფერთა მიღების წესები. ის ორნამენტული დეკორი და უძველესი ფორმები, რომლებიც დღესაც გამოიყენება ქართულ ჯვრულ ნაქარგობაში, თითქმის უცვლელადაა დამკვიდრებული. შემორჩენილია მათი ძველი სახელწოდებებიც და გხვდება საქართველოს მთიანეთის ნაქარგობაში (სურ: 23, 24, 25).



სურ: 23. ხევსურული ორნამენტი



სურ: 24. ხევსურული ორნამენტი



სურ: 25. ხევსურული ორნამენტი

ხევსურებს ფერთა შესატყვისობასთან დაკავშირებით აქვთ ასეთი ხალხური გამოთქმა: „ისრემც გახდები ქალაო, თეთრი გქნა ყვითელსთანაო“

„ნაჭრელის,“ ანუ დეკორის ფორმის ფერის საკითხს გარკვეული კანონზომიერებით უდგებიან ხევსურული სამოსის ქარგვის დროს. ამით ხაზგასმულია, რამდენად შეუსაბამოა ხევსურულ კოლორიტში თეთრისა და ყვითლის კომბინაცია. ჯვრულით ნაქარგ კომპოზიციებში ასევე გათვალისწინებულია მიწარის, ანუ ფონისა და მასზე დასატანი სახეების ფერთა უთიერთმიმართება.

1. თუ „ნაჭრელს“ ფონად აღებული აქვს მუქი შინდისფერი (ძირითადად ასეთი იყო ხევსურული სამოსის ფონი), მაშინ კონტური იქარგებოდა შავი ძაფით, ხოლო დანარჩენი ორნამენტი ივსებოდა ლურჯით, მწვანით, წითლით. ფერებით ნაჭრელის გასაცოცხლებლად ურთავდნენ წითლისა და ყვითლის ელემენტებს (სურ: 26).



სურ: 26.

2. თუ ნაჭრელის ფონად აღებული იყო შავი, მაშინ ორნამენტის კონტური იქარგებოდა შინდისფერით ან ლურჯით, დანარჩენი იმავე ფერებით, როგორც პირველ ვარიანტშია მოცემული (სურ: 27).



სურ: 27

3. მუქი ლურჯი ფერის ფონის შემთხვევაში, კონტური იქარგებოდა შინდისფერით ან შავით, დანარჩენი - ტრადიციულ ფერებში.
4. თუ ფონი თეთრია, მაშინ სულ სხვა ვარიანტს არჩევდა ოსტატი. ეს ოსტატის გემოვნებაზეა დამოკიდებული. თეთრი ფერის ფონი იშვიათად იხმარებოდა, მაგრამ როდესაც იქარგება ასეთ ფონზე (მაგ, ხელთათმანი, ხელსახოცი), აქ ტრადიციულ ფერებში უპირატესია მწვანე - სისვი, ლურჯი, წითელი, შინდისფერი.

5.1.3. ჯვრულით ნაქარგის შემკობა

ხევისურული ჯვრული ქარგვისთვის დამახასიათებელი დეტალია მძივების ჩართვის მეთოდი ნაქარგობაში. ქარგულობის მძივებით გაწყობის (შემკობის) უმაღლესი კულტურა დღემდე შემორჩა მთის მოსახლეობას. ეს განსაკუთრებით კარგად არის ასახული ხევისურულ სამოსზე მამაკაცისა თუ ქალის ჩაცმლობაში (სურ: 28).



სურ: 28. მძივებით შემკული ნაქარგობა

შესამკობად ასევე ინტენსიურად გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ლითონის სამკაულები და ფულები. ასევე ხმარობენ ღილეებს, ძირითადად - თეთრი ფერისას (სურ: 29).



სურ: 29. ლითონისა და მძივებით გაწყობილი სამოსი

საინტერესო ტრადიციაა ერთგვარ სამკაულადა და საკუთარი გრძნობის გადმოსაცემად იმ ადმიანის მიმართ, ვისთვისაც იქმნებოდა ნაქარგი სამოსი, მქარგველის მიერ ზეჭის არეში საკუთარი თმის პატარა ნაწილის ჩატანება (სურ: 30).



სურ: 30.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანვის გამოყენება საქარგავ ქსოვილად ხევსურულ ნაქარგობაში ადრე არ გვხვდება. იქარგებოდა და იკერებოდა შინნაქსოვი „შილა“ (ბამბის ქსოვილი) და ტოლი (შალის ქსოვილი), რომელიც ჯვრული ქარგვისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს მოიცავს. თანამედროვეობაში უკვე იქაც გამოიყენებენ კანვას, ტილოს, შალსა და ჯვალოს.



კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რა მასალაა საჭირო ჯვრულით ქარგვის დროს?
2. რამდენი მიმართულებით მოძრაობს ძაფიანი ნემსი ჯვრულით ქარგვისას?
3. როგორია ჯვრულით ქარგვის ტრადიციები საქართველოში?
4. საქართველოს რომელ კუთხეშია ძირითადად ამ სახეობით ქარგვის ტრადიცია?
5. რა სახელწოდებებით გვხვდება ხევისურულ ნაქარგობაში ჯვრულით ქარგვის ტექნიკური ხერხები?
6. რა მასალას იყენებდნენ ხევისურები ჯვრულით ქარგვისას?
7. როგორ ხდება ფერთა შეხამება ხევისურულ ნაქარგობაში?
8. ნაქარგობის შესამკობად რა და რა მასალას იყენებდნენ ძველად და ახლა?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. გიორგი ჩიტაია შრომები, II ტომი, „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. თბილისი 2000.
2. ივ. ჯავახიშვილი „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის,“ II ტომი, ნაწილი II. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. თბილისი 1982.
3. М. Барипова. «Узоры вышивки крестом» 1984.
4. М. Маннова. «Вышивки» 1982.
5. М. Маннова «Вышивки» 1975.
6. http://zlataya.info/publ/n_uch/vidy/krest_polukrest_petit/23-1-0-84
7. <http://masteriua.ru/CROSS/shovs/2050.html>
8. <http://mobiser.ru/tehnika-vyshivki-krestom/>

მძივით ქარგვა და ქსოვა
თავი VI



შესავალი


სახელმძღვანელოს ამ თავში საუბარია მძივით ქარგვის შესახებ, ნაქარგობის ამ სახეობის ტრადიციებსა და ისტორიაზე.

აქვე ცალკე თავადაა გამოტანილი მძივით ქარგვის უძველეს ტრადიციებთან დაკავშირებული მარგალიტით ქარგვის საკითხი. ეს თემა სტუდენტებს დაეხმარება სრულყოფილად წარმოიდგინონ მძივით ქარგვის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა.

აღსანიშნავია, რომ მარგალიტით ქარგვის უძველესი ტრადიციები საქართველოში ქართულ საეკლესიო ნაქარგობასთანაა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარგალიტით ქარგვისას უფრო სწორი იქნება ტერმინი „მძიური ქარგვა“. ე.ი. აქ იგულისხმება მძივით ქარგვის ტექნიკა და არა მასალა, ანუ მინის ფერადი მძივი.

ცალკეა გამოყოფილი ფერადი მინის მძივებით ქარგვის ტექნიკური ხერხებისა და სახეობების საკითხი.

ასევე განხილულია მძივით ქსოვის მეთოდები და თავისებურებანი.



6.1. მძივით ქარგვა

6.1.1. სამუშაო ადგილისა და მასალის მომზადება საქარგავად

ქარგვის პროცესში მქარგველს ესაჭიროება ფერადი აბრეშუმის ძაფი, წვრილი ძუა, ნემსები, ძალიან წვრილი - ნულოვანი, ყაისნალი, საქარგავი დაზგა და ესკიზის მოსამზადებელი ინვენტარი (სურ: 1),




სურ: 1.

ასევე, მულინესა და კაპრონის ძაფი. საქარგავი ძაფი უნდა შეესაბამებოდეს მიწარის ფერს, რომ მძივის ჩამაგრებისას არ გამოჩნდეს ბმულალები.

თუ იქარგება ტყავზე, ჯერ მას ხვრეტენ მახათით და შემდეგ მუშაობს მქარგავი ჩვეულებრივი ნემსით. თუ ნაქსოვი უნდა გავაწყოთ მძივით, მაშინ გვჭირდება გლუვთავიანი ნემსი.

მასალათა შორის აუცილებელია მოვამზადოთ პატარა მაკრატელი ძაფის მოსაჭრელად, დიდი მახათი და ესკიზისათვის საჭირო მასალა (სურ: 2).



სურ: 2

მძივით ქარგვის პროცესის დაწყების წინ, მაგიდაზე წინასწარ განლაგებული უნდა იყოს ფერადი მინის მძივები, სასურველია გამჭვირვალე პატარა კონტეინერებში, რომ ჩანდეს მისი ფერი, ზომა და ფაქტურა (სურ: 3). თუ მაგიდა არ არის მაუდგადაკრული, მაშინ მასზე უნდა დაიფინოს მაუდის ან ხავერდის ქსოვილი და ძველი ტრადიციის მიხედვით ზედ გაიშალოს მძივები. სასურველია შეირჩეს შავი ფერის ქსოვილი. ძირითადად ეს პროცესი სრულდება შავ ხავერდზე. მქარგავი ასე ახარისხებს საქარგავ მასალას ზომის, ფორმისა და ფერის მიხედვით.



სურ: 3. სხვადასხვა ფერისა და ფორმის ბისერი

გაშლილი და დახარისხებული მძივი ნემსიანი ძაფის ჩხვლეტით აიგება ბამბის ან აბრეშუმის ძაფზე. შეიძლება მძივის ასაგებად გამოვიყენოთ წვრილი ძუაც (სურ: 4). შემდეგ ალაგებენ სასურველი ფორმით ძაფზე აცმულ მძივს მოსაქარგავ სივრცეზე და ამარგებენ ბმულადებით ქსოვილზე.



სურ: 4.

ქარგვის პროცესის დაწყებამდე საჭიროა მომზადდეს მოსაქარგავი კომპოზიციის ან გამოსახულების ესკიზი (სურ: 5, 6). ესკიზისათვის საჭიროა: სახატავი ფურცელი (ზოგიერთი ოსტატი იყენებს მილიმეტრიანას, „მილიმეტროვკა“), რაზეც დააქვს სასურველი ნახატი, ფანქარი, ფანქრის სათლელი, საშლელი. ესკიზის მიხედვით უკვე ქსოვილზე ხდება ქარგვის პროცესის დაწყება.



სურ: 5. მილიმეტრიანაზე შესრულებული ესკიზი



სურ: 6. ქალაღზე ფანქრით შესრულებული ესკიზი

მძიური ქარგვის დროს მქარგველი იყენებს, ნემსსა და ყაისნაღს (სურ: 7), იმის მიხედვით, თუ რას ქარგავს. ქსოვილზე მძივის დამაგრებისას იყენებენ ნემსს, ხოლო ცალკე ნივთის შექმნისას - ნემსსა და ყაისნაღს.



სურ: 7.

მძივი, რომელსაც ქარგვის დაწყების წინ ვამზადებთ, შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერისა: 12 ნომრიდან 6-ის ჩათვლით. მსხვილი და წვრილი, ფორმით: მრგვალი, ოვალური, ცილინდრული, გლუვი და დაწახნაგებული (სურ: 8).



სურ: 8.

როგორც მძივი, ქსოვილებიც შეიძლება სხვადასხვა იყოს ფერისა და ფაქტურის მიხედვით. მოქარგვა შეიძლება ნებისმიერი სახის ქსოვილზე, რომელშიც გადის ნემსი, იყენებენ კანვასაც.

საქარგავად ქსოვილი უნდა მომზადდეს შემდეგნაირად. წინასწარ დასველდეს, გავაშროთ კარგად, გავაუთოვოთ, რომ არ ჰქონდეს ნაკეცი და გადავჭიმოთ ჩარჩოსა ან ქარგაზე. გადაჭიმული ქსოვილი არ მოიხვეწება და არ დაკარგავს ფორმას ჩარჩოდან მოხსნის შემდეგ, თუ მას ისე გადავჭიმავთ, როგორცაა წესი.

ქსოვილის გადაჭიმვისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ არ დავჭიმოთ ძალიან, რათამოქარგულის ჩარჩოდან ან ქარგადან მოხსნის შემდეგ ნაქარგმა არ განიცადოს

6.1.2. მარგალიტით ქარგვა

ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის ერთ-ერთი საინტერესო სფეროა მძივით ქარგვა და ქსოვა. ამ ტექნიკით შესრულებული ნივთების საკმაოდ მდიდარი კოლექციებია დაცული საქართველოს სხვადასხვა მუზეუმის ფონდებში.

უძველესი დროიდან ფერადი ქვებითა და სხვადასხვა სახის სამკაულით ნაქარგობის შემკობა-გამშვენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტრადიციულ საქმიანობად ითვლებოდა. ძველად მძიური ქარგვის ნიმუშები მხოლოდ მარგალიტით იქმნებოდა და ძალიან თავშეკავებულად ფორმდებოდა სხვა სახის ბუნებრივი ქვებითა და ფერწერული მინაქრის მედალიონებით. უძველესი დროიდან ამ ხელსაქმისათვის ნამდვილი, ბუნებრივი ქვები გამოიყენებოდა. მარგალიტს მინის მძივი „ბისერი“ გვიან, XIX საუკუნეში, ჩაენაცვლა.

ზოგადად, მარგალიტისა და მინის მძივის ქარგვაში გამოყენება საქართველოში გვიანი შუა საუკუნეების ნაქარგობისთვისაა დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ შედარებით ადრეული ხანის ნაქარგობის ნიმუშებში ე.წ. პასტის მძივებზე გვხვდება (სურ: 9).



სურ: 9. პასტის მძივები (არქეოლოგიური მასალა)

ჩვენს წინაპარ ოსტატებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ მძიური ქარგვის შემთხვევაში მარგალიტის მიმართ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ეს საქარგავი მასალა ინტენსიურად გამოიყენება ქართულ მხატვრულ ქარგულობაში. მარგალიტს თითქმის ყველა ზომისა და ფორმისას იყენებდნენ ძველი ოსტატები.

საქართველოში მარგალიტის გამოჩენა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ხანას უკავშირდება, ხოლო რაც შეეხება მინის მძივს - „ბისერს,“ ამ მასალას ქარგვაში დასავლეთ ევროპასა და რუსეთთან კავშირის შემდგომ ვხვდებით.

ევროპაში არ იყო არც ერთი ქვეყანა ისეთი მდიდარი მდინარეებითა და ტბებით, როგორც რუსეთი. აქედან გამომდინარე, ის მარგალიტის მოპოვებით ერთ-ერთი მნიშველოვანი ქვეყანა იყო. ამან გარკვეულწილად განაპირობა მარგალიტის სიუხვე რუსულ მხატვრულ ნაქარგობაში.

მარგალიტის, როგორც ბუნებრივი ქვის, ფერთა გრადაცია ასეთია: ქათქათა თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი და შავი. საუკეთესოა: სწორი ფორმის, მსხვილი და სუფთა თეთრი ფერის მარგალიტი (სურ:10).



სურ: 10. მარგალიტის ნიმუშები

მარგალიტს, როგორც შემამკობელის სხვადასავა ხერხით იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

1. ის გამოიყენება როგორც სხვა ქვის შემამკობელი. რომელიმე ძვირფასი ქვა ზის მის მოჩარჩოებაში (სურ: 11).

პასტის მძივი ასევე ფერადია.
ის მზადდება მინერალების
ანაფხევი, ანაქლიბისაგან.



სურ: 11. ძვირფასი ქვებით გაწყობილი მძიური ნაქარგობის ნიმუში

- ინდივიდუალური ჩამაგრებით, სათითაოდ დამაგრებული მარგალიტი გასდევს გამოსახულების კონტურს (სურ: 12).



სურ: 12.

- სხმული მძივის სახით კონტურზე მოსავლებად ან მთელი სივრცის შესავსებად გამოიყენება სხმული მარგალიტი (სურ: 13).



სურ: 13. სხმული მარგალიტით ნაქარგი

ძველი ტრადიციის მიხედვით, ვიდრე ქარგვას დაიწყებდნენ, მარგალიტებს გაშლიდნენ შავი ფერის ქსოვილზე, ძირითადად ხავერდზე, ახარისხებდნენ ზომის, ფორმისა და ფერის მიხედვით. ქარგვის პროცესში მქარგველი შეარჩევდა სასურველი ფორმის, ზომისა და ფერის ნიმუშებს.

მარგალიტით ქარგვისათვის გაშლილ და დახარისხებულ მარგალიტებს ნემსიანი ძაფის ჩხვლეტით ააგებენ ბამბის ან აბრეშუმის ძაფზე. ასე აცმულ მარგალიტს შემდეგ ალაგებენ სასურველი ფორმით და ამაგრებენ ბმულადებით ქსოვილზე. ჩამაგრება ძაფზე აცმული მარგალიტისა ხდება 2 ან 3 მარგალიტის მონაცვლეობით. ეს პროცესი დამოკიდებულია მარგალიტის ზომაზეც.

ხშირად ხდებოდა კომბინირება ნამაგრი სითვით ნაქარგისა და ნაფენიან საფუძველზე განლაგებული მძივისა, რაც იძლეოდა არა მარტო სხვადასხვა სიმაღლის რელიეფს, არამედ შუქ-ჩრდილის ეფექტს და საოცარ მხატვრულ გამომსახველობას ანიჭებდა ნაქარგს (სურ: 14).



სურ: 14. ნაქარგობის ნიმუში

სხვადასხვა სიმაღლის რელიეფი, ოქროსფერ ფონზე, მარგალიტის სიქათქათე, ძვირფასი ქვების ფერთა გრადაციით ნაქარგი საოცარ ფერადოვნებას იძენდა და მას ხშირად საიუველირო ნაკეთობას ამსგავსებდა.

საინტერესოა თავად სხვადასხვა ზომის მარგალიტის გამოყენება რელიეფის ეფექტის მისაღწევად. ქარგვის ამ მეთოდით მიიღწეოდა ფორმის მოცულობითობისა და მხატვრული გამომსახველობითობის საოცარი შედეგი (სურ: 15).



სურ: 15. საბუხარი

6.1.3. მინის მძივებით ქარგვა

მინის მძივების - „ბისერის,, ჩამაგრება, ისევე ხდება, როგორც მარგალიტისა. საქარგავი მასალიდან გამომდინარე, მას „მძივით ქარგვა“ ეწოდება.

მძივებით ქარგვისას შეიძლება როგორც ინდივიდუალური, ანუ თითო მძივის, ისე სხმული მძივის ჩამაგრება გარკვეული ინტერვალით.

სხმული მძივით ქარგვის დროს ნემსით ქსოვილზე მათი ჩამაგრება ხდება, როგორც მარგალიტის ქარგვისას, ყოველ მეორე ან მესამე მძივზე. ასეთ შემთხვევაში მძივი წინასწარ არის ასხმული ფერის მიხედვით და ისე იქარგება.

ნემსით ცალკე ნივთის შექმნისას მძივს, რომელიც გვჭირდება მუშაობისას, წინასწარ არ ვასხამთ. მიყვებით მძივის ასხმას თანმიმდევრობით და თანდათანობით ძაფს მძივშივე ვამაგრებთ ფერადოვნებისა და ფორმის მიხედვით. თავად მძივით ქარგვის ტექნიკისათვის მქარგველი იყენებს უკვე შეკერილი წინამავალი წრის განსხვავებული ფერის მძივებს. ეს მეთოდი მქარგველს ეხმარება ჩამაგრებასა და კოლორიტის მიღებაში. იმდენად, რამდენადაც, სხმული მძივისაგან განსხვავებით, ის თითო ჩასამაგრებელი მძივი შეიძლება სხვადასხვა ფერის იყოს (სურ:16).



სურ: 16. მძივით ნაქარგის ნიმუში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასურველი გამოსახულების ან ნახჭის (დეკორი) დატანა ქსოვილზე ხდება ჩვეულებრივად ესკიზის საშუალებით, რომელიც სრულდება ცარცით ან საღებავით, შემდეგ ამ ესკიზის კონტურზე ან, თუ საჭიროა, მთელ სივრცეზე იქარგება მძივით.

ძველად ესკიზის დასატანად ქსოვილზე ქართულ სინამდვილეში კარგად მუშაობდა და აქტიურად გამოიყენებოდა ბასმა.

6.1.4. მძივით ქარგვის სახეობები

ბასმა მცენარეული საღებავია, რომელსაც ძველად მელნად იყენებდნენ. ნაქარგობაში მის გამოყენებას დაბასმასაც უწოდებდნენ.

მძივით ქარგვის სხვადასხვა სახეობა არსებობს, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ძაფზე ასხმული მძივისა და ძაფიანი ნემსის მოძრაობა. ამ ხერხებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება :


მძივით ქარგვის თავისუფალი ფორმა, როდესაც მქარგველი არ არის შეზღუდული, მძივიცა და ნემსიც მოძრაობს როგორც მქარგველს სურს, შეიძლება ნებისმიერი გამოსახულებისა თუ კომპოზიციის მოქარგვა კონტურზე ან მთლიანად საქარგავი

სივრცის დაფარვა (სურ: 17).




სურ: 17.

ერთმხრივი ნაკერობით ჩამაგრება, ანუ ნაკერი წინ ნემსით. ამ შემთხვევაში ნემსიან ძაფზე ვაგებთ თითო მძივს და ვამაგრებთ ბმულადით (სურ: 18).




სურ: 18.

გვირისტული ნაკერობით ჩამაგრება - აქ ყოველ ბმულადაზე მაგრდება თითო მძივი, სწორი ხაზის მისაღწევად მძივები მიჯრით, მჭიდროდაა განლაგებული, მარგამ, ამასთანავე, არ უნდა იყოს მოჭიმული ბმულადი, რომ მძივები არ ჩაიჭედოს ნაქარგში. ნაქარგის ხაზი უნდა გასწორდეს სამაგრი ბმულადების ძაფის მოჭიმვით (სურ: 19).



სურ: 19.

ღეროდ განლაგებული მძივების ჩამაგრება - ამ მეთოდით ქარგვისას სხმული მძივები მაგრდება ყოველი მეორე მძივის შემდეგ. ნაქარგი გამოდის თავისუფალი და მსუბუქი. (სურ: 20).



სურ: 20.

მძივის თაღოვანი ჩამაგრება - ამ შემთხვევაში ძაფზე ასხმული მძივები მაგრდება ყოველი მეოთხე ან მეხუთე მძივის შემდეგ. ნაქარგი გამოდის უფრო თავისუფალი, ნაკლებ მჭიდროდაა განლაგებული მძივები და თაღის ფორმას მოგვაგონებს. ის ტექნიკურად ახლოსაა ღეროვან ჩამაგრებასთან (სურ: 21).



სურ: 21.

არ უნდა ავუროთ
ყაისნალით ქსოვა, რომლის
დროსაც სხმული მძივით
ჩვეულებრივ იქსოვება
ყაისნალით.

მძივის ყაისნალური ჩამაგრება. ამ ტექნიკის გამოყენებისას ყოველი ბმულადი გადის წინა ბმულადის შიგნით. ნემსიანი ძაფი მოძრაობს ისე, როგორც ყაისნალით ქსოვისას. კეთდება ყულფი და მაგრდება მძივი.

მძივით ქარგვის ერთ-ერთი ხერხია ე. წ. აჟურული ქარგვა, როდესაც მძივით ნაქარგი მაქმანს მოგვაგონებს. აქ ძირითადად მძივი დამაგრებულია ნაფენზე, რომელსაც

ორივე მხარეს გასდევს ან გრეხილური (ოქროს ან ვერცხლის თმა) ან ძალიან წვრილი ძეწკვი (სურ: 22).



სურ: 22.

6.2.1. მძივით ქსოვის ტექნოლოგიური პროცესი

მძიური ქარგვის ტექნიკასთან ერთად, საინტერესოა მძივით ქსოვა, რომელიც ძირითადად ყაისნალით სრულდება, უშუალოდ სხმული მძივით, ყაისნალით იქმნება კომპოზიცია თუ ორნამენტული დეკორი.

მძივით ქსოვისას საჭირო მასალა და ხელსაწყოები უნდა შევარჩიოთ წინასწარ გათვალისწინებული მოსაქსოვი ნივთის მიხედვით. მძივი შეირჩევა ზომისა და ფორმის მიხედვით. სასურველია მძივები იყოს მსხვილი ნასვრეტებით, ნემსები მძივის ასაცმელადა და ჩასამაგრებლად უნდა შევარჩიოთ მძივის ნასვრეტის გათვალისწინებით და რადგან მას ნაქსოვზეც ვამაგრებთ, ნემსი უნდა იყოს ბლაგვწვერიანი. ყაისნალი გვჭირდება მოკლე და გრძელი, ასევე ბლაგვი წვერით. აუცილებელია საქსოვი ჩხირები.

ნართის ძაფის (შალისა და ბამბის) შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძაფი იყოს გლუვი, ნაკლებ ბუსუსიანი.

ძაფი ადვილად უნდა გადიოდეს მძივის ნასვრეტში. მძივით ქსოვისას სასურველია შევარჩიოთ ბამბის ძაფი, ე. წ. „მერსირებული“. თუ ნაქსოვი გაიწყობა მძივით, მაშინ მოქსოვილი მიწარი უნდა იყოს თხელი, ფერში განსხვავებული, რომ მასზე კარგად გამოჩნდეს მძივი, რომლითაც ძირითადად გამოყვანილია სახეები (სურ: 23).



სურ: 23.

ამ შემთხვევაშიც აუცილებელია წინასწარ შეიქმნას მოსაქსოვი ნივთის ესკიზი და იმის მიხედვით ავასხათ ძაფზე ნემსით ყველა ის მძივი, რომლებიც მოსაქარგავად გვჭირდება. წინასწარვე უნდა განისაზღვროს მძივების ფერთა თანმიმდევრობაც.

მძივით ქსოვა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეობებს შორის ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა, რომელიც მოითხოვს არა მარტო მძიური, არამედ ჩხირებით ქსოვის ტექნიკის ფლობასაც. ეს სახეობა საკმაოდ რთული და ამავე დროს შრომატევადია. სრულდება ორმაგი შრომა, იქსოვება ჩხირებითა და შემდეგ ხდება მასზე მძივის ჩამაგრება (სურ: 24).



სურ: 24.

მძივით ქარგვისა და ქსოვისას სასურველია მინის მძივის ფერდამჭერიანობის შესამოწმებლად მძივი დავასველოთ, შევახვიოთ თეთრ ქსოვილში და გადავახვიოთ, გავაჩეროთ ცოტა ხანს. თუ ქსოვილზე

მძივით ყაისნალით ქსოვისას, თუ გვინდა წვრილი კუწუბების გამოყვანა, მაშინ მძივი იგება 30 – 50 სმ-ის სიგრძის ძაფზე. აქედან გამოვყოფთ ერთ ცალ მძივს, ყაისნალით ამოვიყვანთ თვალს და ვამაგრებთ 4 ან 5 მძივს ჰაეროვანი ყულფით. ეს მეორდება ყოველი ახალი კუწუბის გაკეთებისას. (სურ: 25).

ერთ-ერთი სახეობა მძიური ქსოვისა არის უკვე მოქსოვილი ნივთის გაწყობა მძივით, როდესაც ნაქსოვში

ხდება ფერადი მძივების ჩაქსოვა ან ჩამაგრება (სურ: 26).



სურ: 25.



სურ: 26.

მძივების ნაქსოვში ჩამაგრება
ხდება თვალის უკუღმა ქსოვისას.
„ბისერი“ მაფზე იგება ქვემოდან
ზემოთ და ყოველი ახალი რიგი
იქსოვება მარცხნიდან მარჯვნივ.



სურ: 27. მძივით ნაქსოვი სამაჯურების ნიმუში

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რა მასალას იყენებდნენ მძიური ქარგვისთვის უძველესი დროიდან?
2. როგორ უნდა მოვაშაადოთ სამუშაო კუთხე და მასალა ქარგვის დაწყების წინ?
3. რა ადგილი უკავია მძიურით ნაქარგში მარგალიტს?
4. მარგალიტის რამდენი სახეობა არსებობს?
5. რა და რა სახით ხდება მარგალიტის ჩამაგრება მოსაქარგავ სივრცეზე?
6. ჩამოთვალე მძიური ქარგვის სახეობები.
7. რა უნდა გავითვალისწინოთ მძიური ქარგვისთვის მასალისა და ხელსაწყოების შერჩევას?
8. როგორია მძივით ყაისნალით ქსოვის მეთოდი?
9. რა სამუშაო იარაღებია საჭირო დამატებით მძივით ქსოვისას?
10. რა უნდა გავითვალისწინოთ მძივით ყაისნალური ქსოვისას?



➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ივ. ჯავახიშვილი „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. ქსოვა, ლეზვა, ქარგვა. ტ. II. ნაწილი II. თბ. 1982
2. Марина Ляукина. Бисер. Техника Приемы Изделия. М. 2007
3. Н. Л. Ликсо. „Большая энциклопедия бисера“ М. 2014
4. <http://www.liveinternet.ru/>
5. <http://tyani-na-sebya.ru/novosti/nachinayushhim-rukodelnitsam>
6. http://vishivashka.ru/tehnika/vyshivka_kryuchkom.php
7. <http://www.needlenthread.com/2015/10/glorious-goldwork-and-pearls.html>
8. http://modnica.com/article_info.php/articles_id/300
9. http://vishivashka.ru/vyshivka_biserom/tehniki.php

კვანძური და ქსოვილის ლენტური ქარგვა

თავი VII




შესავალი

მქარგავის პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო მოდულია „კვანძური და ქსოვილის ლენტური ქარგვა“. მოდულში მოცემულია სწავლის შედეგები, რომელთა შესწავლისას დაგეხმარებათ სახელმძღვანელოს მე-7 თავი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში და არა მარტო აქ, მქარგავის პროფესია ქალის სავალდებულო საქმიანობა იყო. კვანძური ქარგვა მე-18 ს-ში შემოსული ქარგვის სახეობაა, რომელიც „როკოკოთია“ ცნობილი.

საქართველოში ქსოვილის ლენტური ქარგვა მე-20 ს-ის მიწურულს გაჩნდა. ბოლო წლებში შრომის ბაზარზე მნიშვნელოვნად მოთხოვნადი ხდება ლენტური ტექნიკით შესრულებული ნაქარგობები.

სახელმძღვანელოს ამ თავში წარმოდგენილია კვანძური (როკოკოს) და ქსოვილის ლენტური ტექნოლოგიით შესრულებული ქარგვის მეთოდები. თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარებათ პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში.




7.1. კვანძური ქარგვა (როკოკო)

7.1.1. კვანძური (როკოკოს) ტექნოლოგიით ქარგვა


კვანძური (როკოკოს) ტექნოლოგიით ნაქარგობის შესასრულებლად გამოიყენება თითქმის ყველა ტიპის ქსოვილი, რომლებიც შეესაბამება ძაფის სეხეს. მაგალითად: თხელ ქსოვილზე იქარგება წვრილი ძაფებით, როგორცაა მულინა და აბრეშუმი, ხოლო სქელ ქსოვილზე იქარგება შედარებით მსხვილით. როდესაც მოსაქარგავად ვირჩევთ ტრიკოტაჟულ ქსოვილს, მაშინ უმჯობესია მასზე ზურგის მხრიდან წებოვანი ქსოვილის მიმაგრება, რათა ქარგვის დროს მოძრაობით ხელი არ შეგვიშალოს.

კვანძური ქარგვისას ნემსი გამოიყენება შედარებით მსხვილი და პარატა ყუნწით.

კვანძური (როკოკოს) ღილაკი „петля“ - ა) ქსოვილის ზედაპირის მხარეს ამოსწიეთ ძაფი A წერტილში; ბ) ნემსი ამოუყარეთ ქსოვილს B წერტილში და გამოუყარეთ A-ში; გ) მოატრიალეთ ქსოვილი და ნემსზე მოახვიეთ რამდენიმეჯერ ძაფი, დახვეული ძაფი თითებით დაიჭირეთ და ნემსი გააძვრინეთ მათ შორის (სურ:1). ე) ჩაამაგრეთ ღილაკი (როკოკო) B წერტილში (სურ:2).




სურ: 1.




სურ: 2.


კლასიკური ვარდი - კვანძური ქარგვის ყველაზე გავრცელებული მცენარეული ორნამენტის ნაწილია, რომელიც შედგება რამდენიმე დახვეული ბმულადისაგან და ქმნის კლასიკური ვარდის ფორმას. სურათებში (3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15) ნაჩვენებია როკოკოს კლასიკური ვარდის ქარგვის ეტაპები.




სურ: 3.




სურ: 4.




სურ: 5.




სურ: 6.




სურ: 7.




სურ: 8.




სურ: 9.




სურ: 10.




სურ: 12.



სურ: 13.




სურ: 14.



სურ: 15.

კვანძური ტექნიკით (როკოკოს) კომპოზიციის ქარგვა - პირველ ეტაპზე ვირჩევთ ან ვქმნით ესკიზს კვანძური (როკოკო) ნაქარგობისათვის (სურ: 16). შერჩეული ესკიზი გადაგვაქვს მოსაქარგავ ქსოვილზე, ესკიზის მიხედვით ვირჩევთ საქარგავ ძაფს ფერის/ხარისხის მიხედვით და ვქარგავთ ტექნოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით (სურ: 17, 18, 19, 20, 21).



სურ: 16. კვანძური ნაქარგობის ესკიზი (კომპოზიცია)



სურ: 17. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით შესრულებული ნაქარგობა



სურ: 18. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით შესრულებული ნაქარგობა



სურ: 19. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით შესრულებული ნაქარგობა - სამოსელი პირველის ნამუშევარი (ფაფანაკი)



სურ: 20. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით შესრულებული ნაქარგობა



სურ: 21. კვანძური (როკოკო) ტექნოლოგიით შესრულებული კომპოზიცია

7.2.1. ქსოვილის ლენტური ტექნოლოგიით ქარგვა

ქსოვილის ლენტური ქარგვა - ერთერთი საინტერესო ხელსაქმეა, რომელიც ქსოვილზე მოცულობით ფორმებს ქმნის.


ქარგვის დაწყების წინ მნიშვნელოვანია სწორად შევარჩიოთ საქარგავი ხელსაწყოები, მასალა, განათება და კომფორტულად მოვაწყოთ სამუშაო ადგილი (უსაფრთხოებისა და ერგონომიკური ნორმების დაცვით).

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ქსოვილის ლენტურ ქარგვაზე, მაშინვე წარმოგვიდგება აბრეშუმის ქსოვილისაგან დამზადებული ლენტები, რომლებსაც იყენებდნენ ძველი დროიდან. თანამედროვე ეპოქაში გამოიყენება უკვე არა მარტო აბრეშუმის ლენტები, არამედ ყველა იმ ნატურალური და ხელოვნური ქსოვილისაგან დამზადებული ლენტები, რომლებიც დიდი არჩევანით არის წარმოდგენილი ბაზარზე (სურ: 22).



სურ: 22. ქსოვილის ლენტები


ქსოვილის ლენტური ქარგვისას გამოიყენება დიდი ზომის ნემსი, რომელსაც ექნება დიდი ყუნწი, რომელშიც თავისუფლად გატარდება ლენტი (სურ: 23). ხოლო ქსოვილის ლენტის ჩასამაგრებლად გამოიყენება ჩვეულებრივი პატარა ზომის საქარგავი ნემსი.



სურ: 23.

ლენტური ქარგვისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ქსოვილი: - ბამბის, თეთრეულის, აბრეშუმისა და შალის. ქსოვილს ვირჩევთ ესკიზისა და ნაწარმის შესაბამისად.

ქარგვის დაწყების წინ ქარგაზე გადავჭიმოთ ქსოვილი, გადავიტანოთ ესკიზი (კომპოზიცია), ავილოთ შერჩეული ქსოვილის ლენტი დაახლოებით 50/70სმ სიგრძის, შემდეგ გავუყაროთ ნემსის ყუნწში, ლენტის ბოლო გადავკვანძოთ (სურ: 24) და ესკიზის მიხედვით შევუდგეთ ქარგვას.



სურ: 24. ლენტის კვანძი


ლენტური ქარგვის დროს იყენებენ სხვადასხვა სახის გვირისტებსა თუ ბმულადებს. ხშირ შემთხვევაში ქსოვილის ლენტური ნაქარგობის კომპოზიციაში გამოიყენებულია სხვადასხვა ქარგვის მეთოდი და განსხვავებული სახისა თუ ფერის ლენტები.

არსებობს რამდენიმე წესი ლენტური ქარგვისას:


ა) არ არის რეკომენდებული, ბმულადები რომ ძალიან მოიჭიმოს, რადგან ველარ მივიღებთ მოცულობით ფორმას;

ბ) ქარგვის დროს მეორე თავისუფალი ხელით საჭიროა ლენტის დაჭერა, რომ ცუდად არ დაიხვიოს.


გაგაცნობთ ძირითადი ბმულადების სახეობებს, რომლებიც გამოიყენება ლენტური ქარგვის დროს (სურ: 25-37).




სურ: 25. სახევარი ბმულადი ჩამაგრებით




სურ: 26. მარყუქები წრიულად




სურ: 27. ბმულადები ზიგზაგური ჩამაგრებით




სურ: 28. ჯაჭვური გვირისტი




სურ: 29. სწორი ბმულადი




სურ: 30. ამოწეული და გადაგრეხილი ბმულადი




სურ: 31. ფრანგული კვანძი




სურ: 32. ბადე გვირისტი




სურ: 33. ვარდი ჩახვეული ლენტით




სურ: 34. მოცულობითი ფორმის ვარდის კოკორი



სურ: 35. ყვავილის ფორმა



სურ: 36. ბაფთის ფორმა




სურ: 37. ფოთლის ფორმის ბმულადები

უმჯობესია ქარგვის დაწყების წინ გავრეცხოთ ქსოვილი და შემდეგ დავამუშაოთ თბურ-დანამვითი წესით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქსოვილი ფორმას არ შეიცვლის. ქსოვილზე ვეცადოთ ესკიზი ისე გადავიტანოთ, რომ ლაქები არ ქაჩნდეს (სურ: 38).




სურ: 38.

ესკიზის გადატანის შემდეგ ვიწყებთ ქარგვას (სურ: 39, 40).



სურ: 39. მოცულობითი ვარდი და ენბელა



სურ: 40. ტიტა

ლენტური ნაქარგობით შეიძლება შევქმნათ სხვადასხვა ფერწერული ნამუშევარი (სურ: 41).



სურ: 41.



სურ: 42.



სურ: 43



სურ: 44

კითხვები თვითშემოწმებისათვის

15. კვანძური ნაქარგობა როგორი ძაფით იქარგება თხელ ქსოვლზე?
16. რის მიხედვით ვირჩევთ ნაქარგობაში ფერთა გამას?
17. საჭიროა თუ არა ქარგვის დაწყების წინ ქსოვილის გარეცხვა?
18. ლენტური ქარგვის დროს საჭიროა თუ არა, რომ ბმულადები მოიჭიმოს?
19. ლენტური ნაქარგობა არის თუ არა მოცულობითი ფორმის?



➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. С.Ю. Рашупкина. « вышивка шелковыми лентами»
2. от А до Я. Техника «рококо»
3. школа рукоделия. Вышивка шелковыми лентами.
4. Д. Брэдфорд. Коллекция вышивки.
5. <http://www.liveinternet.ru/users/5110143/rubric/4627000/>



შიბით ქარგვა და ქსოვა
თავი VIII




შესავალი

სახელმძღვანელოს ეს თავი ქართული მხატვრული ქარგვის ერთ-ერთ უძველეს სახეობას - „შიბით ქარგვასა და ქსოვას“ ეთმობა. ამ თავში წარმოდგენილია შიბით ქარგვის სახეობების აღწერა-დახასიათება და ქარგვის მეთოდები.

განხილულია ქარგვისა და ქსოვის ამ მეთოდის თავისებურებანი და მოტანილია თვალსაჩინოებისათვის სამუზეუმო ექსპონატების ფოტომასალა.

თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარებათ პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში.



8.1.1. შიბით ქარგვის ტრადიციები საქართველოში

შიბით ქარგვას საქართველოს მთის რეგიონში მისდევდნენ. იგი ქართული მხატვრული ქარგვის მრავალფეროვან გალერეაში ერთ-ერთ უძველეს სახეობას წარმოადგენს. სიტყვა „შიბი“ ერთმანეთში გრეხილს გულისხმობს, ანუ ვიზუალურად ის ნაწნავისა და გრეხილის შთაბეჭდილებას ტოვებს (სურ: 1).



სურ: 1.

ნაქარგობის ამ სახეობაზე ლიტერატურა ძალიან მწირია. ამდენად, მასზე წარმოდგენას თავად ნაქარგი ნიმუშები და იმ ოსტატთა ცოდნა-გამოცდილება გვიქმნის, რომელბიც ნაქარგობის ამ სახეობას ფლობენ. ამ ტექნიკით ძირითადად საქართველოს მთიან რეგიონებში ქარგავენ (ხევსურთი, ფშავი, ჰერეთ- თიანეთი).

ამ ტექნიკას დღესაც იყენებენ ხევსურეთში ქარგვა-ქსოვისას. საქართველოს ბარში ის ნაკერობის სახეობადაც ითვლება. შიბით კერავდნენ ტომრის, ხურჯინების, აბგებისა და საცაოების კიდეებს (სურ: 2).



სურ: 2. ხურჯინი და მაფრაშა შიბის ტექნიკით ნაქარგი

ხურჯინებისა და მაფრაშების დაშიზვისას, გარდა კიდების, გვერდების შიბით შეკერვისა და დაქარგვისა, იქარგებოდა მათი პირის კიდები და შესაკრავი სპეციალური ზონრები, რომლებიც წააგავს ნაწნავის დაწვნას.

მასიურად ქარგულობაში შიბს ხევსური ქალები იყებნებდნენ სამოსის ქარგვისას(სურ: 3). ხევსური ქალის თავსაბურავის ელემენტი - მანდილი, ასევე იმკობოდა შიბის ტექნიკით. მისი გამშვენება ხდებოდა ხშირად უკვე მოქარგულ ფონზე ან იქარგებოდა ორივე კალთა შიბით (სურ: 4).



სურ: 3.ხევსურულ სადიაცოზე შიბით ქარგვის ნიმუშები



სურ: 4. ხევსურული მანდილი


შიბით იქარგებოდა ტოლით ნაკერი პაჭიჭები და ასევე ნაქსოვი წინდები. ტოლით ნაკერი პაჭიჭების დაქარგვისას შიბით შემოუყვებოდა მასზე დაკერებულ ნაფთულებს და ასევე მთლიანად იფარებოდა მისი ზედაპირი (სურ: 5).



სურ: 5. ხევსურული პაჭიჭები

შიბით ქარგვის დაწყების წინ საჭიროა, როგორც ყველა შემთხვევაში, მოვამზადოთ საქარგავი მასალა და ხელსაწყოები.

როგორც სხვა შემთხვევაში, ამჟამადც მქარგავი სამუშაოს იწყებს მასალის შერჩევით. აქ იგულისხმება ძაფის შერჩევა (ფერადი შალის ან აბრეშუნმის ძაფები), ნემსი მსხვილი ყუნწით, თუ დაშიბვა შალის ძაფით ხდება და ჩვეულებრივი ნემსი, როცა ქსოვილზე იშიბება. ასევე საჭიროა მაკრატელი და სარღვევი კაუჭი (სურ: 6).




სურ: 6.

ტექნიკურად ის თითქოს ჯვრულ ქარგვას მოგვაგონებს, მაგრამ ძაფიანი ნემსი აქ სწორ ხაზზე ირიბად განლაგებული ბმულადებით მოძრაობს.


შიბით ქარგვისას ამოქარგვა სრულდება შალის ან ტილოს ქსოვილზე და იმის მიხედვით, თუ როგორ არის განლაგებული ბმულადები, გამოარჩევენ მის სხვადასხვა სახეობას. საინტერესოა, რომ შიბით ქარგვის დროს, ჯვრულისაგან განსხვავებით, თვლა არ არის საჭირო ე.წ. „დესთების“ (ანუ თვლების), ეს იშვიათ შემთხვევაში ხდება. დაშიბვა უფრო მქარგავის ინტუიციასა და გამოცდილებაზეა დამყარებული. ძაფიანი ნემსის მოძრაობა განაპირობებს შიბის სხვადასხვა სახეობას.

1. ჩოხის შიბა კეთდება ასე: მარჯვნიდან მარცხნით ძაფიანი ნემსის ამოყრით (სურ: 7.)



სურ: 7.


2. ასეთივე მოძრაობით, ოღონდ ორმაგად გაკეთებულ შიბას, ჩოხის ორმაგ შიბას უწოდებენ. ჩოხის შიბა უფრო ბრტყელი და ნაკლებ ამობურცულია (სურ: 8).



სურ: 8. ორმაგი შიბა

ამ ორი ხერხით ქარგვისას ირიბად განლაგებული ბმულადები ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრით არის განლაგებული, ანუ „განემსვა“ ხდება მჭიდროდ.

3. ტომრის შიბაი უფრო ნაკლებად მოჭიმულია, რომ ნაქარგი ამობურცული და რელიეფური გამოჩნდეს (სურ: 9)



სურ: 9. ტომრის შიბაი

8.1.2. შიბით ქსოვა

შიბის ტექნიკას იყენებდნენ არა მარტო ქარგვის, არამედ ქსოვის დროსაც. ქსოვაშიც მას გალამაზების, ანუ ნაქარგის ფუნქცია აკისრია. დაშიბვა უკვე მოქსოვილ ნაწარმზე ხდება მაფიანი ნემსით და არა ჩაქსოვით. შიბით ალამაზებდნენ პაჭიჭებს, ხევსურულ თათებს, თუშურ ჩითებს, ინგილოურ, მესხურ, თუშურ, ფშაურ, აჭარულ წინდებს.



სურ: 10. ხევსურული ნაქსოვი პაჭიჭები

თუშურ ჩითებსაც შიბის წესით ექარგებოდა ქუსლის ან წვერის ნაწილი და იშიბებოდა მისი ყელის კიდე (სურ: 11).



სურ: 11. თუმური შითები

შიბის ტექნიკას ასევე იყენებდნენ ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ქსოვისას. ფარდაგის დასაწყისი და დასასრული აუცილებლად შიბის ტექნიკით სრულდებოდა. ფარდაგებში ამ ტექნიკას „ზილსაც“ უწოდებდნენ (სურ: 12).



სურ: 12.

შიბით ქარგვა ძირითადად ტოლზე სრულდება ხევისურეთში. საქმე ისაა, რომ შიბით ქარგვას, ჯვრული ნაქარგობისაგან განსხვავებით, თვლა არ სჭირდება და როგორც ბატონი გ. ჩიტაია ბრძანებს, მქარგავს „თვალის ხაზი უნდა ჰქონდეს,“ რომ შიბით ნაქარგ-ნაკერი სწორი და ლამაზი გამოვიდეს.

არც შიბით ქარგვისას და არც ქსოვისას ახალი ნივთი არ იქმნება, ანუ ქარგვის ამ ხერხით უკვე შექმნილის (მოქარგული ან მოქსოვილი) გალამაზება და დასრულება ხდება.

სწორედ ამიტომ, ფარდაგების თავ-ბოლოები აუცილებლად ფარდაგული შიბით სრულდება. ქარგვის ეს სახეობა არც ისე ხშირად გამოიყენება დღევანდელ ოსტათა მიერ. ამდენად, შიბით ქარგვისა და ქსოვის ტექნიკის დაუფლება ხელს შეუწყობს ნაქარგობის ამ უძველესი ხერხის პოპულარიზაციასა და მის დამკვიდრებას ხალხურ რეწვაში.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

- 1. რას ნიშნავს შიბით ქარგვა?*
- 2. რა მასალა და ხელსაწყოებია საჭირო შიბით ქარგვისას?*
- 3. შიბით ქარგვის რა და რა სახეობა არსებობს?*
- 4. რა ნივთები იმკობოდა შიბით?*

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. ჩიტაია გიორგი, შრომები II ტომი, „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. თბილისი 2000.

2. ჯავახიშვილი ივ. „მასალები საწართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის“ II ტომი, ნაწილი II. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. თბილისი 1982.



მანქანური ქარგვა

თავი IX




შესავალი

მხატვრული ქარგვის სახელმძღვანელოს ამ თავში განხილულია მოკლედ საკერავი და საქარგავი მანქანების წარმოშობისა და განვითარების ისტორია, თანამედროვეობაში საქარგავი მანქანების წარმოებისა და მათი გამოყენების საკითხები.

ამავე თავში განხილულია მანქანური ქარგვის ორი სახეობა: საყოფაცხოვრებო და საწარმოო მანქანებით ქარგვა, ასევე მანქანური ქარგვის პროცესში მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

მანქანით ქარგვისას ოსტატი უნდა ითვალისწინებდეს ორ მთავარ რამეს: ერთი - ზუსტად გააკონტროლოს „პროგრამული უზრუნვეყოფა,“ ანუ ის, თუ როგორ სრულდება ესკიზი ქარგვისას. მეორე - სწორად შეარჩიოს საქარგავი მასალა და ხელსაწყოები. ორივე შემთხვევაში დაიცვას უსაფრთხოების ყველა ნორმა.

თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რომლებიც პროფესიული განათლების სასწავლებლების სტუდენტებს დაეხმარება თეორიული ცოდნის ათვისებასა და მის პრაქტიკულად გამოყენებაში.



9.1.1. საქარგავი მანქანის შესახებ მოკლე ისტორიული ცნობები

მანქანური ქარგვის შესწავლის საქმესთან დაკავშირებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ზოგადად საკერავი მანქანების შექმნისა და მათი განვითარების ისტორია. საქარგავი მანქანების შექმნა და წარმოება საკერავი მანქანების განვითარება- წარმოებასთან არის დაკავშირებული.

საკერავი მანქანების გამოგონებ ისტორია XVIII ს-ში კარლ დრესის სახელს უკავშირდება. პირველი საკერავი მანქანა ზუსტად იმეორებდა ხელით გვირისტის კეთების მეთოდს.

1830 წელს ბარტელემონემ მიიღო პატენტი და გახსნა მსოფლიოში პირველი საკერავი მანქანების ავტომატიზებული ფაბრიკა(სურ: 1).


1845 წელს აშშ-ში ელის ხოუმ გამოიგონა მაქოს საშუალებით მანქანური კერვის მექანიზმი და მოპოვებული პატენტით დაიწყო ასეთი მანქანების წარმოება. ეს მანქანები წუთში 300 მარყუჟს აკეთებდა (სურ: 2).



სურ: 1. პირველი ვერტიკალური კერვის ნემსი 1830 წ.

1850 წლიდან უკვე არსებობს მანქანა ვერტიკალური ნემსითა და კბილანებიანი თათით, ქსოვილის გადაადგილების მექანიზმით.

ყოველი ახალი მოდელის გამოგონების შემდეგ თანდათან იხვეწებოდა და რთულდებოდა ეს მანქანები, ხდებოდა უფრო სწრაფი და სპეციალიზებული.



სურ: 2. 1845 წ.-ს ელიას ხოუს მიერ გამოგონებული საკერავი მანქანა

შეიქმნა საკერავი მანქანები, რომლებიც იყო მექანიკური და ასევე ელექტრომექანიკური. XX ს-ში უკვე ჩნდება მანქანები მიკროპროცესორებით ე. წ. კომპიუტერული მართვის მანქანები, რომელთა რიგში ჩადგა საქარგავი მანქანები (სურ: 3).



სურ: 3. მიკროპროცესორიანი საკერავ - საქარგავი მანქანა

ცალკე საქარგავი მანქანის გამოგონებამდე საქარგავად საკერავ მანქანებს იყენებდნენ. სახლის პირობებში ასეთი მანქანების გამოყენება XX ს-ის შუა პერიოდიდან იწყება. თავდაპირველად გამოიყენებოდა საკერავი მანქანის ზიგზაგი გვირისტი, რომელიც მოითხოვდა გარკვეულ ოსტატობასა და საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა.

9.1.2. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქარგავი მანქანები და ნაქარგობის კომპიუტერული დამუშავება

სამრეწველო დანიშნულების საკერავი მანქანის მექანიზმის გამოყენების პირველი მცდელობისას (ეს ის პერიოდია, როდესაც კომპიუტერები „პერფო ბარათებით“ მუშაობდა) გამოიყენებოდა „პერფო-ბარათები“, რომელთა დამუშავება საკმაოდ რთული იყო და დიდ დროსა და გამოცდილებას მოითხოვდა.

კომპიუტერული ტექნიკის დახვეწასთან ერთად, დაიხვეწა საკერავ-საქარგავი მანქანები საყოფაცხოვრებო დანიშნულებითა და ასევე შეიქმნა დიდი ზომისა და სისწრაფის სამრეწველო საქარგავი მანქანები (სურ: 4).



სურ: 4. სამრეწველო საქარგავი მანქანები

თანამედროვე საქარგავი მანქანები კომპიუტერული სისტემისაა, რომლებიც მუშაობს საქარგავი კომპიუტერული უზრუნველყოფის საშუალებით. მათი შესაძლებლობები განუსაზღვრელია დიზაინის, ფორმის, ზომის, ფერისა და მასალის მიხედვით (სურ: 5).



სურ: 5. სამრეწველო საქარგავი მანქანის კომპიუტერული სისტემები

თანამედროვე სამრეწველო საქარგავი მანქანის სისწრაფე საშუალოდ 1000 – 1100 ჩარტყმაა წუთში. ყველაზე ცნობილი საყოფაცხოვრებო საკერავ-საქარგავი მანქანების მწარმოებელი კომპანიები, როგორებიცაა „Bernina“, „Pfaff“, „Husqvarna“ ცდილობენ თავიანთი პროდუქციის ხარისხის, სისწრაფისა და სიზუსტის გაზრდას, ასევე იოლი სამუშაო პროცესის შექმნას. მათი მიზანია საყოფაცხოვრებო მანქანების ხარისხი მიუახლოვონ სამრეწველო მანქანებისას ქარგვის სისწრაფისა და არეალის მიხედვით (სურ: 6).



სურ: 6. საყოფაცხოვრებო საქარგავი მანქანა

ეს მანქანები თავისი შესაძლებლობებით თითქმის უტოლდება სამრეწველოს. აქაც მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფა. ოღონდ მისი მუშაობის პროცესში უფრო აქტიურად ერთვება მქარგავი. მაფების ცვლა ფერების მიხედვით ხელით ან ნახევრად ავტომატურად ხდება. როგორც სამრეწველო, ასევე საყოფაცხოვრებო მანქანებთან მუშაობისას გასათვალისწინებელია, მათი მუშაობის სისწრაფე და მქარგავმა აუცილებლად უნდა გამოიჩინოს დიდი ყურადღება, დაკვირვება და სრულად დაიცვას უსაფრთხოების ყველა ნორმა.

9.1.3. პროგრამული მანქანით ქარგვა

ქარგვის საწყის ეტაპზე ხდება საქარგავი მასალის შერჩევა და სწორად განსაზღვრა. შერჩეული ფერთა გამა, მაფის ხარისხი და მისი ფაქტურა, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ესკიზზე მოცემულ გამოსახულებას.

ხელსაწყობათაგან მქარგველს მანქანასთან მუშაობისას ესაჭიროება მხოლოდ მაკრატელი და ამოსარღვევი კაუჭი, თუ რაიმე ჩასასწორებელი გახდა.

იქიდან გამომდინარე, თუ რა არის მოსაქარგავი, ზუსტად უნდა შეირჩეს საქარგავი მასალა: ქსოვილი, ძაფი და მოსაქარგავი მიწარის ქვეშ გამოსადები სამაგრი ქსოვილი. ძირითადად გამოიყენება უქსოვადი მასალა, გახამებული ტილო, ავალონი თხელი ცელოფნის ფაქტურის მქონე მასალა, რომელიც იოლად იხსნება ნაქარგიდან და დნება წყალში.

რელიეფურობის თვალსაზრისით, ნაფენად მანქანაზე ქარგვისას შეიძლება სხვა ფაქტურის ქსოვილის გამოყენებაც, რომელიც უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ როგორი ნაქარგობაა შესასრულებელი (მაღალი თუ დაბალი რელიეფით) (სურ: 7).



სურ: 7. რელიეფური ქარგვის ნიმუში - გარდამოხსნა

ბოლო თაობის საქარგავი მანქანების მეშვეობით შესაძლებელია ქარგვის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა სხმული მძივით ქარგვა, კილიტებითა და აპლიკაციით ქსოვილის გაწყობა (ასეთ ოპერაციებს ასრულებს საქარგავი მანქანები: „Bernina 830“, „Bernina880“). ყველა შემთხვევაში, საყოფაცხოვრებოა თუ საწარმოო საქარგავი მანქანა, მქარგველი წინასწარ ადგენს ამოსაქარგავი კომპოზიციის, ორნამენტული დეკორისა თუ რაიმე გამოსახულების ჩანახატს. ის მუშავდება საქარგავ რეჟიმში კომპიუტერის მეშვეობით (სურ: 8).





სურ: 8. საქარგავი ესკიზის კომპიუტერული დამუშავება

კომპიუტერში იტვირთება „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომლის დახმარებით მუშავდება ესკიზი.

ესკიზის შექმნის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი ნაქარგობაა შესაქმნელი, შეირჩევა შესაბამისი საქარგავი მასალა: ქსოვილი, ძაფი და სამაგრი ქსოვილი. მოსაქარგავი თემის „ნაქარგად გადაქცევამდე“ მქარგველმა უნდა გააწყოს მანქანა, რაც გულისხმობს მოსაქარგავი



სურ: 9. სამაგრი ქსოვილის დაფენა და გადაჭიმვა

მიწარის ქვეშ სამაგრი ქსოვილის დაფენას, მის ქარგაზე გადაჭიმვას (სურ: 9) და საჭირო ძაფების შერჩევას. ძაფის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ნომერი, ქსოვილის სახეობა და ესკიზის შესატყვისი ფერთა გამა. მნიშვნელოვანია საქარგავი მანქანის კოჭებზე ძაფის სწორად განლაგება. ამ მანქანებზე ერთნაირი დატვირთვით მუშაობს, როგორც აბრეშუმის ყველა სახეობის, ასევე - ლითონის („მეტალიკი“) ძაფები (სურ: 10).



სურ: 10. აბრეშუმისა და ლითონის („მეტალიკი“) საქარგავი ძაფები

დამუშავებული ესკიზი, რომელიც ჩაწერილია საქარგავი მანქანის მეხსიერებაში - „ჩიპზე“ გადადის საქარგავ მანქანაში. ამის შემდეგ საქარგავი მანქანის ქარგაზე გადაიჭიმება ქსოვილი სპეციალური მოსაქარგავი მიწარის „გასამაგრებელ“ ქსოვილთან (უქსოვადი მასალა, გახამებული ტილო, ავალონი) ერთად და მანქანა იწყებს ქარგვას (სურ: 11).



სურ: 11. საწარმოო მანქანაზე ქარგვის პროცესი

აღსანიშნავია, რომ მანქანაზე ქარგვისას, თუ ეს პროცესი სრულდება საყოფაცხოვრებო საქარგავი მანქანით, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაქარგობის ტიპი უფრო შეზღუდულია, ზომისა და კომპოზიციის სირთულიდან გამომდინარე. რაც შეეხება სამრეწველო საქარგავ მანქანებს, თანამედროვე მანქანების პროგრამული უზრუნველყოფა, ფაქტობრივად, შეუზღუდავია და ამიტომ მასზე იქარგება ყველაზე სირთულის ნივთები.

სხვადასხვა საქარგავი მასალის (ქსოვილი, ძაფი), გამოსახულებისა თუ კომპოზიციის ნაქარგი (სურ: 12).



სურ: 12. საყოფაცხოვრებო მანქანაზე ქარგვის პროცესი

როგორც ვნახეთ მანქანური ქარგვის თანამედროვე ტექნოლოგია საკმაოდ დიდი დიაპაზონისა და შესაძლებლობების მატარებელია (სურ: 13). აქედან გამომდინარე, მათთან მუშაობის პროცესში საჭიროა გარკვეული ცოდნა, სისწრაფე და რაც აუცილებლად დასაცავია, უსაფრთხოება.



სურ: 13 მანქანით შესრულებული ნაქარგობა

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. როდის და სად გამოიგონეს პირველი საკერავი მანქანა?
2. რომელი მანქანით ქარგავდნენ საქარგავი მანქანის გამოგონებამდე?
3. რა და რა ტიპის საქარგავი მანქანები არსებობს?
4. ჩამოთვალე ყველაზე მაღალი ხარისხის საქარგავი მანქანების მწარმოებელი ფირმები.
5. ქარგვის დაწყების წინ რა სახის სამუშაოს ასრულებს მქარგავი?
6. რას გულისხმობს ტერმინი „პროგრამული უზრუნველყოფა“?
7. რა ხელსაწყოებია საჭირო საქარგავ მანქანასთან მუშაობისას?
8. რა და რა სახის მასალა გამოიყენება საქარგავად?
9. რა სახის ქსოვილს იყენებს ნაქარგის სამაგრად?
10. რა უმთავრესი პირობის დაცვაა საჭირო კომპიუტერულ საქარგავ მანქანასთან მუშაობისას?



➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.alfa74.ru/do-it-yourself/213/245/istoriya-shvejnoj-mashinki/>

2. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A8%D0%B2%D0%B5%D0%B9%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D0%BC%D0%B0%D1%88%D0%B8%D0%BD%D0%B0

3. http://sewtime.ru/catalog/sewing_and_knitting_equipment/embroidery_machines_bernina/sewing_embroidery_machine_bernina_830/

საქარგავი მასალის ლეზვა

თავი X



შესავალი

სახელმძღვანელოს ამ თავში - „საქარგავი მასალის ღებვა“ განხილულია ის მასალები და ხელსაწყოები, რომლებიც ხალხური ტრადიციებით ღებვის პროცესისთვისაა საჭირო. განხილულია სამღებრო ხელსაწყოებისა და საშუალებების დანიშნულება, მათი გამოყენების მეთოდები და ასევე მითითებულია ღებვის პროცესში მათი გამოყენებისას უსაფრთხოების დაცვის ნორმები.

აღწერილია ღებვის პროცესის ძირითადი ეტაპები (ოთხი ეტაპი). განხილულია თითოეული ეტაპი ცალკე-ცალკე, ტექსტი გამდიდრებულია ვიზუალური მასლით.

ღებვის პროცესის სრულყოფილი დახასიათებისათვის ამ თავში საუბარია ბუნებრივი საღებავებზე, მათი მიღების მეთოდებსა და იმ მდიდარ ფერთა გამაზე, რომელსაც ისინი გვამღევს. აქვე განხილულია საკითხები ღებვისას გამოყენებული ფერდამჭერი საშუალებების გამოყენებასა და უსაფრთხოებაზე.

ამავე თავში წარმოდგენილია ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ქართული ტრადიციული ღებვის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას მოიცავს.

თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშემოწმებისათვის, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარება პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში.



10.1.1. სამღებრო სამუშაოსათვის საჭირო გარემოს, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა

სამღებრო საქმიანობას ოჯახში, ისე როგორც ყველა სახის ნედლეულის მომზადებასა და შექმნას, უძველესი დროიდან ქალი ასრულებდა. ქალი ამზადებდა იმ საჭირო მასალას, რომელიც ოჯახის წევრების შემოსვა-დახურვასა და საოჯახო ნივთების გამშვენებასთან იყო დაკავშირებული.

თავისთავად ცხადია, სამოსი და მისი აქსესუარები, რომლებიც ოჯახებში იქმნებოდა, ასაკის გათვალისწინებით გარკვეულ ფერადოვნებას მოითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ უძველესი დროიდან ქსოვილის ღებვა-მოხატვა ქართული ტრადიციული ხელოვნების აუცილებელი ელემენტი იყო.

მქარგველი ოსტატები თვითონ ქმნიდნენ მათთვის სასურველი ფერის ქსოვილსა თუ ძაფს, იყენებდნენ იმ ბუნებრივ საღებავებს, რომლებსაც აგროვებდნენ და შემგეგ ხარშავდნენ.

თავისებური იყო და არის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ღებვის ტექნოლოგიური პროცესი. ის ძირითადად განისაზღვრებოდა ქსოვილისა თუ ძაფის სახეობითა და ფაქტურით. ყველა ოსტატის მიზანი იყო, რომ ძაფი არ გაუფერულებულიყო დროთა განმავლობაში. ამიტომ, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი წინაპრები ფერის სიმტკიცეს. ძაფის ფერს ამაგრებდნენ ძმრით, მარილით, რკინის წიდიტ და სხვა.

ქსოვილის ღებვისას იყენებდნენ ფიზიკური დამუშავების მეთოდსაც. ამისათვის სპეციალური ხელსაწყო, ე. წ. „საჟეპი უროები“ (ზემო რაჭა), ანუ „თოხმახები“ (ქართლი) იხმარებოდა. გატკეცვის პროცესი ქსოვილის შეღებვის შემდგომ ეტაპს უკავშირდებოდა. სპეციალურ დაზგასა ან მდინარეზე, სიპ ქვაზე, დაფენილი ძაფის შულოს ან ქსოვილს „გატკეცდნენ“, ანუ „გაათოხმახებდნენ“. ამ წესით შეღებილი ქსოვილი ან ძაფი გამძლე იყო და დიდხანს ინარჩუნებდა ფერს.

ძველი დროიდან ქსოვილის ან ძაფის შეღებვისათვის ზაფხულში არჩევდნენ ნახევრად გადახურულ ფარდულს, სადაც ცეცხლზე იხარშებოდა საღებავი და იქვე იღებებოდა. თუ შეღებულ ძაფს ან ქსოვილს ესაჭიროებოდა ჩრდილში გაშრობა, მაშინ იქვე ფარდულში ფენდნენ ხარხაზე, ხოლო თუ საჭირო იყო მზეზე გაშრობა, მაშინ გაჰქონდათ გარეთ.

კავკასიაში ღებვის მაღალ კულტურაზე ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტეც (ძვ. წ. აღ. Vს) მიუთითებს: „ადამიანთა მრავალი სხვადასვხა ტომი ცხოვრობს კავკასიის მთებში და მთელი ეს ხალხი იკვებება გარეული მცენარეებით. ამბობენ, რომ ამ ხეებს ფოთლები თავისებური მოყვანილობისა აქვს. ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს. ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად. თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილია მასში. „

უსაფრთხოებისათვის:
ნატრიუმის სულფატი საშიში
ქიმიკატია, ამიტომ უნდა
კარგად გვახსოვდეს, რომ ჯერ
ვასხამთ ჭურჭელში წყალს და
შემდეგ კაუსტიკურ სოდას და
არა პირიქით.

თანამედროვეობაში ლებვის პროცესის სწავლებისათვის საჭიროა გამოიყოს ცალკე ერთი ოთახი, სადაც განთავსებული იქნება ყველა ის სამღებრო ხელსაწყო და საშუალებები, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

იმისათვის, რომ დაიწყოს ლებვის პროცესი, საჭიროა მოვამზადოთ ლებვისათვის საჭირო ხელსაწყოები: საღებავის მოსახარში, სასურველია სპილენძის ან თუჯის, თუ არა - მაშინ მომინაქრებული ქვაბი, ხის ბრტყელი კოვზი (ე. წ. ლაფერა, იგივე ჩოგანი), ხის მაშა შეღებილი ქსოვილის ან ძაფის ამოსაღებად,

ტეპერატურის საზომი სპეციალური თერმომეტრი და ინდიკატორი, ფერის აქტივობის შესამოწმებლად.

მღებავს მზად უნდა ჰქონდეს ასევე მარილი, შაბი, ნატრიუმის სულფატი, რომელიც ხელს უწყობს მჟავისა და ტუტის კომბინაციას, რომლის გარეშე შეღებილი ქსოვილი თუ ნართი არ იქნება ხარისხიანი. აღსანიშნავია, ერთ-ერთი მათგანის გამოყენების შემთხვევაში (მარტო მჟავა ან მარტო ტუტე) ფერი იღვენთება, ე. ი. ბოჭკოსა და საღებავს შორის ფერმჭერი ვერ ჩადგება და მასალა არ შეიღებება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ ფერმჭერად გვევლინება ნატრიუმის სულფატი, რომელსაც ქვაბში სოდასთან ერთად ვყრით.

ჩვენი წინაპრები ძველად ლებვისათვის ჭურჭელს საგუდაგულოდ არჩევდნენ. იყებებდნენ თუჯისა და კარგად მოკალულ სპილენძის ქვაბებს (სურ: 1), ასევე ქვევრებს.



სურ: 1. სპილენძისა და თუჯის ქვაბი

დღეს შესაღებად ხალხურ რეწვაში თუჯის, მომინაქრებულ დიდ ქვაბებსა და ვედროებს იყენებენ (სურ: 2).



სურ: 2. მომინანქრებული დიდი ქვაბი შაბით

აქვე წინასწარ უნდა მოვიმარაგოთ დასადედი, ანუ საღებავის დამჭერუნარიანობის გასაძლიერებელი საშუალებები. დღეს ამისათვის ბუნებრივ საღებავებში ლებვისას იყენებენ ნატრიუმის სულფატსა (კაუსტიკური სოდა) და შაბს (სურ: 2). ძველ დროში „დადედვისათვის“ იყენებდნენ ნაცარტუტას, ფურის შარდს, შაბს და დოს, ასევე - ორთქლით დამუშავების მეთოდს. ლებვის პროცესი ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენებით ტრადიციულად რამდენიმე ეტაპად იყოფოდა და დღესაც ხალხურ რეწვაში ეს ხერხები კვლავ არის შემორჩენილი.

10.1.2. ლებვის პროცესის ძირითადი ეტაპები

I ეტაპი ძაფის (აბრეშუმი , ბამბა, შალი) ან ქსოვილის შესაღებად მომზადებას უკავშირდება

ეს პროცესი გულისმობს ძაფის ლებვისას ბაწრის შესაღებად მომზადებას. ძაფის გორგლებს 200 – 300 გრამიან შულოებად ამოახვევენ. ამ შულოს ორ - სამ ადგილას შეკრავენ, ძაფი რომ არ აიბურდოს და ბოლოში უტოვებენ პატარა ბაწარს ისე, რომ ეს ძაფი გამოიყენონ ხელმოსაკიდადა და შეღებვის შემდეგ შულოს „ამოხსნა“ ამ ხელმოსაკიდიდან დაიწყოს (სურ: 3).

საღებავად გამოყენებული მცენარეები ორ კატეგორიად შეიძლება გავყოთ:

1. მცენარეები, რომლებიც თავად შეიცავს საღებავ პიგმენტს და უშუალოდ ეს პიგმენტი ლებავს ქსოვილს;
2. მცენარეები, რომლებიც დამოუკიდებელ საღებავს არ წარმოადგენს და ამზადებს, აუმჯობესებს შეღებვის ხარისხს; მისი ეს თვისება საღებავს მყარს, უფრო მდგრადს ხდის. ზოგიერთი მათგანი ცვლის ტონს, რაც აისახება ფერის გამკრთალებასა ან გამუქებაში.



სურ: 3. შეღებილი შულოები

შეღების წინ ძაფს აუცილებლად ასველებენ ან წყალში ტოვებენ ერთი დამის განმავლობაში. ეს წყალი არის წინასწარ გაზავებული ერთ კგ. ნართისთვის 15ლ. წყალი, შიგ ჩაყრილი ერთი სუფრის კოვზი კაუსტიკური სოდით. თუ ქიმიურ საღებავებში იღებება ქსოვილი ან ნართი, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია პროცედურის ჩატარება. მცენარეებში ღებვისას ბაწარს არ ასველებენ, რადგან მას მცენარეებთან ერთად მშრალსავე ალაგებენ ფენებად და შემდეგ ასხამენ წყალს. შეღების წინ ძაფის გარეცხვა არაა საჭირო, მაგრამ ქსოვილის შეღების შემთხვევაში, ის აუცილებლად უნდა გაეწიოს წყალში.

შესაღები მასალის მომზადება ასევე გულისხმობს „დადედას“, ანუ მასში ფერის დამჭერუნარიანობის გაძლიერებას. ჩვენი წინაპრები ამისათვის იყენებდნენ შაბს, შინდის მჟავას, დოს, ფურის შარდს, რკინის წიდას (ლითონის სადნობ ქურაში ნადული რკინისა და ნახშირის გამონაყოფი მასა), გრდემლზე ნაცემი რკინის „ნაფერთალს“ (ფერფლი) და ნაცარტუტას (ძალიან წმინდა საცერში გატარებული ნადული ნაცარი). ნაცარტუტაში დადედას საინგილოში „დატიტბვას“ უწოდებდნენ. ქართლსა და კახეთში ამავე ტერმინით ბროწეულის ქერქში დადედას გულისხმობდნენ. საქართველოში „ნაცარტუტის“, ანუ ნაცარწმენდილის დასამზადებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ თელის, ჯაგრცხილის, რცხილის, მუხის და სხვათა ნაცარს.

სამღებროდან ამოღებულ ძაფს გაცრილ არყის ხის ნაცარსაც მოაყრიან მცირე ოდენობით, აურდაურვევენ და თბილად გადააფარებენ. გარდა აღნიშნულისა ,იცინ შესაღები ძაფის წყლიან ნაცარტუტაში გავლებაც. ნაცარტუტას შემდეგნაირად ამზადებენ: წყალს წამოადულებენ, შიგ სამტკიც საცერში გაცრილ

ნაცრის გამოყენებას ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა, ბევრი ნაცარი ძაფს წვაავს,

ნაცარს ჩაყრიან, კარგად მოურევინ და გააჩერებენ. კარგად რომ დაილექება, მის სუფთა ნაწილს გადაწურავენ და ამ ხსნარში გაივლება შეღებილი მასალა.

ფერის გამაგრების მიზნით, შესაღებ მასალას კლდის მარილს ან შაბში გამოხარშავენ, ცოტა ჟანგის დამატება ან ჟანგიან ქვაბში შეღებვა ფერის სიმკვეთრესა და მდგრადობას უწყობს ხელს, ამასთანავე იღებს მუქ შავ ფერს.

თანამედროვეობაში ფერის დამჭერუნარიანობის გასამტკიცებლად გამოყენებული საშუალებების შესამოწმებლად გამოიყენება სპეციალური ინდიკატორები, რომლებსაც თავიანთი ნიშნულები აქვს და ამით განისაზღვრება ფერის სიმკვეთრე (სურ: 4).



სურ: 4. ინდიკატორით აქტივობის შემოწმება

ინდიკატორით სასურველი შედეგის მიღების შემდეგ წინასწარ მომზადებულ გასამაგრებელ საშუალებაში ქსოვილს ან ძაფს ჩაუშვებენ და აჩერებენ რამდენიმე საათს, შეიძლება რამდენიმე დღესაც (სურ: 5).



სურ: 5. შესაღები ძაფის შულოს ჩაშვება დასადედად (კაუსტიკურ სოდაში)

II ეტაპი საღებავის მომზადება და ლებვის დაწყება

დადედვის პროცესის დასრულების შემდეგ შესაღებ მასალას ვიღებთ ჭურჭლიდან, ვწურავთ კარგად, აუცილებლად სპეციალური ხელთათმანით! (სურ: 6)



სურ: 6. ძაფის ამოღება დასადედი მასიდან

რაც შეეხება ლებვას, თითქმის ყველა შემთხვევაში ის დაკავშირებულია დუღილის პროცესთან.



სურ: 7. ინდიგოს ჩაყრა წყალში, გამზადებული მასალის ცეცხლზე შემოდგმა

საინტერესოა თავად საღებავის მომზადება (სურ: 7), რომელიც ყველა შემთხვევაში მცენარეულ წარმონაქმნს უკავშირდება. იხარშება: ხის გული, კანი, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი, ბალახეული - აუცილებლად გამხმარი, მაგრამ არის მცენარე, რომელიც არ უნდა გახმეს და ნედლი მოდუღდეს, ეს არის რძიანა, ყვითელი ფერის მისაღებად.

ბუნებრივი საღებავის საშუალებების შერჩევა წელიწადის სხვადასხვა დროს განსხვავებულია. ზაფხულში გამოიყენება ახალი, ხოლო ზამთარში გამხმარი მცენარეები. ეს

გასათვალისწინებელია ბუნებრივი საღებავების მომზადებისათვის მცენარეების შეგროვებისა და შერჩევისას.

ზოგადად, საღებავები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. საღებავები, რომლებიც ადგილობრივია, ანუ კონკრეტულ კუთხესა და რეგიონში მოიპოვება და შემოტანილი საღებავები. ამ შემთხვევაში მცენარეული საღებავები შეიძლება სხვადასხვა კუთხიდანა და ქვეყნიდან შემოდიოდეს.

III ეტაპი შეღებვის შემდგომი გამაგრების მეთოდები

როგორც წესი, შეღებვის შემდეგ ყველა შემთხვევაში შესაღები მასალა რჩება სამღებრო საშუალებაში და იქ ცივდება. არის შემთხვევები, როდესაც ხდება შეღებილი მასის ცხელი საღებავიდან ამოღება და იმავე ჭურწელში ოთქლზე გაჩერება.


ეს არის ე. წ. „დაქნვის“ მეთოდი, როდესაც შეღებილი ქსოვილის ან ძაფის სამღებროს თავზე დანიავება ხდება და თან რამდენიმეჯერ სამღებროში მისი ჩაბრუნება და ამოღება. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს სასურველი ფერის მიღებამდე.

აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ღებვა წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება, უპირატესობა მაინც ზაფხულის თვეებს ენიჭება. გაზაფხულსა და ზაფხულში მზის აქტივობა, განსაკუთრებით მთაში, უფრო ძლიერია და დადებით გავლენას ახდენს ღებვაზე. მზის ულტრაიისფერი სხივები დადებითად მოქმედებს ფერის სიმკვეთრესა და გამძლეობაზე. „ძველმა ქალებმა“ კარგად იცოდნენ, რომ „ცხვებურა მზე“ (თუშეთი) როგორ მოქმედებდა შეღებვის პროცესზე. ისინი შესაღებად კარგ, მზიან დღეს არჩევდნენ, რადგან ხალხური წარმოდგენით, „სიცივე ფერსა სწვავს და ფერი ბნაგვე“ (სიმკვეთრემოკლებული) გამოდის.

IV ეტაპი მოიცავს შეღებილი მასალის გავლება - გაშრობის პროცედურას

მცენარეულ საღებავებში შეღებილი ნართი ან ქსოვილი ჯერ შრება მზეზე, მერე ივლება გამდინარე წყალში და შრება ჩრდილში ან მზეზე. გავლებისას უნდა გავითვალისწინოთ, ის რომ მთლიანდ გავიდეს ფერის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება გადავიდეს და დარჩეს სამღებროს „მტკიცე“ ნაწილი.

აქ საინტერესოა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც ფერის გატკეცვა, ანუ საბოლოო გამაგრება ჰქვია. ამ თავის შესავალ ნაწილში ამასთან დაკავშირებითაა აღნიშნული და გატკეცვის, ანუ „გათოხმახების“ შესახებაცაა საუბარი (სურ: 19).



სურ: 19. საჟები უროები ანუ თოხმახები

ეს პროცესი კიდევ უფრო აძლიერებს ფერის დამჭერუნარიანობას და ქსოვილი უფრო დიდხანს უნარჩუნებს ფერს. მნიშვნელოვანია შეღებილი ნართის გაშრობის დროც. ნართისა თუ ქსოვილის გაშრობისას გასათვალისწინებელია მისი სახეობა. შალის ძაფებს ბუნებრივ საღებავებში შეღებვისას ძირითადად მაინც მზეზე გაშრობა უხდება. მზის ულტრაიისფერი სხივები ფერის აქტივობას აძლიერებს, ის უფრო მკვეთრი ხდება და შეღებილი მასალა უფრო ბზინვარე გამოდის.

რაც შეეხება აბრეშუმს, მას ძლიერი მზე არ უყვარს. გაშრობისას გასათვალისწინებელია საღებავის სახეობა. ბუნებრივი საღებავის ის ჯგუფი, რომელიც ჰაერზე ადვილად იჟანგება, არ არის რეკომენდებული ძლიერი მზის გულზე გაშრეს, მას უფრო ჩრდილი უყვარს. ხოლო საღებავთა ის ჯგუფი, რომელიც მზის აქტივობას მოითხოვს, სასურველია გაშრეს მზეზე.

იდიგოსა და ენდროში ღებვა

ბუნებრივ სარეზავებში შეღებვა გულისხმობს ორ ტექნოლოგიურ პროცესს - დადევას, ანუ წინასწარ ფერის დამჭერუნარიანობის გაძლიერებასა და შეღებვას.

შავი და ზოგადად მუქი ფერის საღებავების გარდა ინტენსიურად გვხვდება სხვადასხვა ფერთა გამა.

თუმცა და ზოგადად მთაში გავრცელებული ფერია წენგო, რომელშიც მოიაზრება წენგოს სხვადასხვა ტონალობა: ყავისფერი (თავშავასა და ხახვის ფურცელი), ღვიძლისფერი (წენგოს საღებავის ღია ტონი), წითელი სახვადასხვა ტონალობის: მუქ მოწითალო ფერს ღვიძლისფერს უწოდებენ).



სურ: 13. მცენარე ინდიგო

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დღესდღეობით ბუნებრივი საღებავი, რომელიც რამდენიმე ტონალობის ლურჯს გვაძლევს, არის ინდიგო (სურ: 13).

ინდიგოს ფხვნილი ძალიან ადვილად იჟანგება ჟანგბადთან შეერთებისას, ამიტომ, როგორც კი გამოვიყენებთ ფხვნილს, მაშინვე სწრაფად უნდა დავახუროთ თავი ჭურჭელს.

ინდიგოში შეღებვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საღებავის ჩაყრამდე ქვაბში არავითარ შემთხვევაში წყლის ტემპერატურა 60 გრადუსს არ უნდა ასცილდეს. ამ წყალში იყრება კაუსტიკური სოდა, ინდიკატორით იზომება ფერის დამჭერუნარიანობა, რომელიც დაახლოებით უნდა იყოს 11 ერთეული და შემდეგ მასში ვყრით საღებავ ფხვნილს - 2 სავსე სუფრის კოვზი 10 ლ. წყალზე.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ. წყალში ჩაყრილი ინდიგო ფსკერისკენ მიდის, ილექება, ამიტომ კარგად უნდა ვურიოთ 5 წუთის

განმავლობაში.

აღსანიშნავია ერთი რამ ღებვის პროცესში, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ინდიგოს საღებავებს. ეს არის წყალში გახსნილი საღებავის ზედაპირზე ძალიან თხელი აპკის წარმოქმნა (სურ:14), რომელმაც შეიძლება, თუ ფრთხილად არ ჩავუშვებთ ქსოვილს სამღებროში, წარმოქმნას ლაქები. ამიტომ ქსოვილის ან ძაფის ჩაშვება საღებავში ხდება ჭურჭლის კიდეზე, ხის ლაფერის დახმარებით ძალიან ნელა.

არის კიდევ ერთი მეთოდი, როდესაც შეიძლება ამ აპკის მოშორება. წყლის ზედაპირზე ვაფენთ საშრობ ქაღალდს, რომელიც ამ აპკს შეიწოვს.



სურ: 14. ინდიგოს საღებავის ზედაპირზე წარმოქმნილი აპკი

ქსოვილის ან ძაფის ღებვის პროცესის დასრულების შემდეგ, ამოღებისას დავინახავთ, რომ აქვს მომწვანო და მოყვითალო ფერი, რომელიც როგორც კი შევა ჟანგბადთან ურთიერთობაში, ანუ როდესაც ამოვიღებთ საღებავიდან ქსოვილს ან ძაფს, ჩვენ თვალწინ ის თანდათან იცვლის ფერს და ხდება მუქი ლურჯი (სურ: 15).



სურ: 15. ინდიგოში შეღებილი შალის ძაფი

ბუნებრივი საღებავებიდან ასევე ყველაზე პოპულარულია მცენარე ენდრო (სურ: 16), რომელიც, იმის მიხედვით თუ მის რა ნაწილს ვიყენებთ, ღებავს რამდენიმე ტონში. ენდროს ფესვების გული გვამღევს ყვეთელ საღებავს. კანი ე. წ. ღვიძლისფერს, ანუ ყავისფერს, ხოლო მთლიანად ფესვი - ყველასათვის ცნობილს წითელს - ენდროს ფერს.



სურ: 16. მცენარე ენდრო და მისი ფესვები

ენდროში შესაღებვისას ფერმჭერად გამოიყენება შაბი და ღვინის ქვა, ანუ კრემატატორი. როგორც ყველა შემთხვევაში, აქაც ერთი ღამე ვტოვებთ შაბიან წყალში ქსოვილს ან ძაფს. დასადედი სითხე მზადდება ასე: 10 ლიტრ წყალში ვყრით 80 გრ. შაბს და 6-პროცენტის ღვინის ქვას, ანუ კრემატატორს. ეს ორივე მასალა ეხმარება საღებავს, რომ დადგეს სუფთა წითელი ფერი. 60-დან 80 გრადუსამდე გაცხელებულ წყალში (სურ: 17) ჩავუშვებთ მასას და ვადუღებთ ერთი საათი. ამ წყალშივე ვაცივებთ, 24 საათის შენდევ ამოვწურავთ ფერდამჭრი მასიდან შესაღებ მასას და სუფთა წყალში ვყრით ენდროს. 400 გრ. ძაფზე 550 გრ. ენდრო, კარგად უნდა მოვურიოთ და გავაცხელებთ 75 გრადუსამდე. ამ საღებავში ნელ-ნელა ჩავუშვებთ შესაღებ მასალას და ვადუღებთ ერთ საათს (სურ: 18). ღებვის პროცესის დამთავრების შემდეგ საღებავში ვტოვებთ ქსოვილს ან ნართს და გაცივების შემდგომ შეიძლება დავტოვოთ 10 დღეც კი, ფერი რომ უფრო მუქი მივიღოთ.



სურ: 17. წყლის ტემპერატურის შემოწმება



სურ: 18. საღებავის მოდულება და მოდულებულ საღებავში ნართის ჩაშვება

ყველა შემთხვევაში, ღებვის პროცესში უნდა გამოვიყენოთ ტემპერატურის საზომი ხელსაწყო.

ენდრო სასურველია, რომ იყოს შვიდი წლის მუქი, ანუ ენდროს ფერი საღებავის მისაღებად.

10.1.3. ბუნებრივი საღებავების ძირითადი ჯგუფები

ბუნებრივი საღებავების შეგროვება - მომზადება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ჩვენი ფლორის მახასიათებლებიდან გამომდინარე, მთისა და ბარის მოსახლეობის სამღებროების ფერთა გამა ტრადიციული და ინდივიდუალურია.

მთის მოსახლეობისათვის ძირითადად მუქი ფერის საღებავებია დამახასიათებელი: შავი, მუქი ლურჯი ან „მუქი წნგო“. ღებავენ ნართს, ნაქსოვ ქსოვილს და მატყლსაც.

ამ ფერების მისაღებად იყენებენ მცენარეებს: დეკა, კრაზანა (სურ:8), თავშავა, კაკლის წნგო (სურ: 9), თრიმლის ფოთოლი, ლაფანი (სურ: 10) და სხვა.



სურ: 8. კრაზანა და დეკა



სურ: 9. თავშავა და კაკლის წნგო

ამ მცენარეებით ძირითადად მიიღება მუქი ლურჯი, შავი და ყავისფერი ფერის საღებავები. რაც შეეხება დეკას, მისი ღერო და ფოთლები იძლევა მომწვანო-მოლურჯო საღებავს, ხოლო

ყვავილი - ღია ვარდისფერსა და იასამნისფერს. მცენარეები, ლაფანი და თრიმლის ფოთოლი, მოყვითალო და ღია (სალათისფერი) მწვანე ფერს იძლევა.



სურ: 10. ლაფანი და თრიმლი

სამღებროში შესაღები მასალის ჩაშვებამდე ანადუღარ საღებავს აგრილებენ, ათავისუფლებენ ნარჩენებისაგან და შემდეგ მასში ათავსებენ შესაღებად ქსოვილსა თუ ძაფს. მომზადებულ საღებავში ძაფს უშვებენ აუცილებლად წინასწარ დასველებულს.

საღებავ საშუალებათა შორის დიდი გამოყენება ჰქონდა მღიერებს, ანუ ლიქენებს (სურ: 11), რომლებიც მცენარეთა სამყაროს ერთ-ერთ სიმბიოზურად (სოკო, წყალმცენარე) მცხოვრებ გარკვეულ დიდ ჯგუფს წარმოადგენს.



სურ. 11. მღიერა, იგივე ლიქენა მცენარის კანზე

ლიქენები ხშირად სახლდებიან უნაყოფო ადგილებზე; მათი დაღუპვის შედეგად რჩება ორგანული ნივთიერებები, რომლებზეც სხვა მცენარეებს შეუძლიათ დასახლება. ჩრდილოეთში ბუჩქისებრი ლიქენები ირმის საკვებია. ზოგიერთი ლიქენები სამკურნალოდ გამოიყენება (სისხლის წნევის ამწევი, პერისტალტიკის გამამღიერებელი, ანტიბიოტიკებისა და ვიტამინების შემცველი), ზოგს სამღებრო საქმესა და პარფიუმერიაშიც ხმარობენ, ზოგიერთისაგან ლაკმუსს ამზადებენ.

მღიერები სამი ტიპისაა: ქაფისებრი, ფოთლოვანი, ანუ ფირფიტისებრი და ბუჩქისებრი. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ღებვის საქმეში ყოფილა ქაფისებრი მღიერები.

ზოგიერთ სღებავ საშუალებას სჭირდებოდა ღებვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს დუღილის გარეშე ღებვას. ე. წ. „ცივი სევადა“ (ასე ღებავდნენ ჩვენი წინაპრები) ქსოვილს ან ძაფს წინასწარ დაყენებულ საღებავიან ქვევრში (სურ: 12.) უშვებდნენ და ტოვებდნენ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში. საინტერესოა, რომ უკვე შეღებილ ქსოვილსა თუ ძაფს ქვევრის პირზე გადებულ ხარისაზე ჰკიდებდნენ და ასე ტოვებდნენ, ვიდრე კარგად არ დაიწრიტებოდა.

ხალხური გადმოცემით, ქვევრი თავდახურული უნდა ყოფილიყო, რომ „მთვარესა და ვარსკვლავებს შიგ არ ჩაეხედა“ და ქსოვილი არ აჭრელებულიყო.



სურ: 12. ქვევრი

ასე ღებავდნენ ლილაში ქვევრის გამოყენებით. წენგოში, კი შესაღებ მასალასა და წენგოს ერთად დებდნენ დიდ სპილენძის გობში და დგამდნენ „მზის გულზე“. დროდადრო შესაღებ მასალას ატრიალებდნენ ხის ჩოგანით.

თიხის ჭურჭლის გამოყენების მეთოდს, ანუ ქვევრში დადღვის უძველეს ტრადიციებს, ინდოეთში დღესაც იყენებენ. მზის გულზე საღებავებით სავსე ქვევრებში ათავსებენ ქსოვილს ან ძაფს, აჩერებენ რამდენიმე დღეს, შიგადაშიგ ატრიალებენ შესაღებ მასას, შემდეგ ამოიღებენ და ამრობენ (სურ: 13).



სურ: 13. თიხის ქვევრებში დადღვის მეთოდი ინდოეთში

სამღებრო საქმიანობაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ თანამედროვეობაში აქტიურად გავრცელებულ ქიმიურ საღებავებსა და მათი გამოყენების ავკარგიანობის საკითხს.

ქიმიურ საღებავებს ხშირად ბუნებრივი ფერის გამუქებისთვისაც იყენებდნენ ადრე და დღესაც. ხალხურ მღებრობაში გავრცელებული იყო და არის ფერის ეფექტის გასაძლიერებლად მცენარეულ საღებავში ხელოვნური საღებავის მცირე ოდენობით დამატება.

ასეთ შემთხვევაში მცენარეული საღებავი ფერის მდგრადობის გარანტია, ხოლო დანამატი - აქტიური ტონის მიღებისა. მცენარეულ საღებავებთან ერთად ქიმიური საღებავების შერევას მიმართავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც, მაგალითად, ქვემო ქართლში შავად შეღებისათვის კაკლის ფოთოლს დიდხანს ხარშავდნენ და ამატებდნენ შავ ქიმიურ საღებავსაც.

ხელოვნური საღებავების, ე. წ. ანილინის ჯგუფის საღებავების მიღების შემდეგ, სამწუხაროდ, ბუნებრივი საღებავები დავიწყებას მიეცა. თანდათანობით იკარგება, მაგრამ დღეს ძალიან ბევრი ოსტატი და ხელოვანი ცდილობს ამ უძველესი ტრადიციის აღდგენას. სახელმძღვანელოს ამ თავში დიდი ნაწილი სწორედ ბუნებრივ საღებავებში ღებვის ტექნოლოგიას დავუთმეთ და ეს სწორედ ამ მიზანს ემსახურება (სურ: 14).



სურ: 14. ქიმიური საღებავები

თავისთავად ცხადია, რომ ხელოვნური საღებავის უპირატესობა მხოლოდ ის არის, რომ უფრო იაფი ჯდება და მასში შეღებვის პროცესიც ბევრად იოლია. მაგრამ მას დიდი ნაკლი აქვს ის, რომ არამდგრადია, არაჯანსაღი და ფერთა გამა აბსოლუტურად შეუსაბამოა ქართულ გენეტიკურ გემოვნებასთან.

მცენარეული წარმოშობის საღებავი ნივთიერებები უფრო მყარია, გამძლე და უხუნადი. ამის მაგალითებია: არაერთი საუკუნის წინანდელი ხევსურული, თუშური და ფშაური სამოსი, ფარდაგები, ხურჯინები, უამრავი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქსოვილი თუ ნაქარგობა და ა.შ., რომლებიც დღესაც ისე გამოიყურება, როგორც უწინ.

უმთავრესი და მნიშვნელოვანია ამ საღებავების სრული ეკოლოგიური სისუფთავე. ბუნებრივი საღებავები არ იწვევს კანის გაღიზიანებას, ალერგიას და ჯანმრთელობის გაუარესებას. ასეთი საღებავით შეღებილ ტანსაცმელს სამკურნალო დანიშნულებაც კი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ბუნებრივი საღებავები ჩაანაცვლა ქიმიურმა, პედეგოგებმა და მოსწავლეებმა ყველენაირად უნდა ეცადონ ამ ტრადიციის აღდგენა-დამკვიდრებაში იაქტიურონ. ყველა სტუდენტს შეუძლია არდადეგების დროს შეაგროვოს სამღებრო საშუალებები, რომლებითაც უმდიდრესია საქართველოს ყველა კუთხე, ხოლო სწავლის პერიოდში პედაგოგის დახმავრებით მოხარშოს ეს საღებავი და შეღებოს.

არ იქნება ცუდი გაიხსნას ქალაქებში, რა თქმა უნდა სახელმწიფოს ხელშეწყობით, ტრადიციული ქართული სამღებროები, რომლებითაც უმდიდრესი იყო საქართველო და ასე მოხდეს ამ საქმის რეაბილიტაცია.

შეიძლება გაშენდეს საღებავი მცენარეების პლანტაციები, ან თუ ეს დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული, მოსახლეობას მიეცეს უფლება, ჩააბარონ ეს მცენარეები. ამით მათ მოტივაცია გაეზრდებათ, შეეწყობათ ხელი მატერიალური თვალსაზრისით. ეს ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებასაც შეუწყობს ხელს და, რა თქმა უნდა, ჩვენი ჯანმრთელობა არ დადგება საფრთხის წინაშე. გვეცოდინება, რისგან შეღებილ სამოსს, თეთრეულსა თუ სხვა ნივთს ვიყენებთ.

საბედნიეროდ, ხალხური რეწვის ოსტატების მიერ ძიება და ახალ-ახალი სამღებრო საშუალებების გამოცდა ხალხურ მღებრობაში დღესაც არ წყდება.

10.1.4. ღებვის სხვადასხვა წესი საქართველოში

ეთნოგრაფიული მასალა

ღებვის ეთნოგრაფიულ მეთოდებზე საუბრისას ერთ-ერთი მეთოდი, ე.წ. ცივი წესით ღებვაა საინტერესო. ეს მეთოდი გულისხმობს მოჩითვას საჩითავებით, ანუ საბეჭდავებით. ცივი წესით ღებვაში იგულისხმება ასევე ე.წ. „ცივი კუბური,“ ანუ „ნეგატიური“ წესით ქსოვილის ღებვა.

ასეთი მეთოდის გამოყენებისას ნახატის რეზერვაცია ქსოვილზე საჩითავი ყალიბის მეშვეობით ხდებოდა, ცხიმნარევი სანთლის დაღვენთით. ასეთი წესით მხოლოდ ლურჯი სუფრები იჩითებოდა.

ასე ნაბეჭდი სუფრები, ბამბის ქსოვილის სუფრებისაგან განსხვავებით, სელისა უფრო ძველია, მათზე ნახატი ბუნდოვანი და ღია ფერისაა, ხოლო ბამბის ქსოვილის სუფრებზე მიწარი ინტენსიური ლურჯია და ნახატი კაშკაშა თეთრია და ნათელი. აღსანიშნავია, რომ ამ სუფრებს, გარდა წმინდა პრაქტიკულისა, რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. ისინი ძირითადად საქორწილო ნადიმისა და საეკლესიო დღესასწაულების დროს იშლებოდა.

ბაწარს თუში ქალები „კვერკვერად“ - ჭრელად ლებავდნენ, ამისთვის ბაწარის შულოს გარკვეული ინტერვალებით დაკვანძავენ ან ძაფს ალაგ-ალაგ მჭიდროდ გადაახვევენ და სამღებროში ჩააგდებენ. ლებვისას დაკვანძულ ადგილებში სამღებრო ვერ ატანს და შულო ჭრელად იღებება, ასე შეღებილ ძაფს წინდების გასაჭრელებლად იყენებდნენ. „კვერკვერა“ ძაფისაგან ნაქსოვს „ჯავარი“ ჰქვია.

ჩვენი წინაპრები გამხმარ, ფეხზე მდგომ თელას ან რცხილას წვაგდნენ. ის იღვენთებოდა და მისი ნაღვენთი თელას წიდად იწოდებოდა.

ბაწარს თუში ქალები „კვერკვერად“ - ჭრელად ლებავდნენ, ამისთვის ბაწარის შულოს გარკვეული ინტერვალებით დაკვანძავენ ან ძაფს ალაგ-ალაგ მჭიდროდ გადაახვევენ და სამღებროში ჩააგდებდნენ. ლებვისას დაკვანძულ ადგილებში სამღებრო ვერ ატანს და შულო ჭრელად იღებება. ასე შეღებილ ძაფს წინდების გასაჭრელებლად იყენებდნენ. „კვერკვერა“ ძაფისაგან ნაქსოვს „ჯავარი“ ჰქვია

ბუნებრივი საღებავების ფერთა გამა

უძველესი დროიდან ლებვის ხელხური წესებით მრავალი ფერის მიღება იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა. ამ წესების გამოყენება დღესაც შესაძლებელია, თუ კი გვეცოდინება ბუნებრივი საღებავის საშუალებით რა დარა ფერის მიღება შეიძლება.

შინდისფერი მიიღება შინდის მჟავაში (შინდის კურკის ნადული) შეღებვით;

წითელი ენდროს საღებავით (ენდროს ძირების კანი, ღერო, ღეროს შიგთავსი - გული იძლევა სხვადასხვა ტონალობასა და ფერს) მიიღება ვარდისფერიდან ინტენსიურ წითლამდე;

ნარინჯისფერი მიიღება თრიმლის (ხის) გულში

ლებვისას;

ყვითელი იღებება რძიანასა და თავყვითელაში;

ოქროსფერი მიიღება რძიანასა და თავყვითელაში შეღებვისას, ოქროსფერს იღებს თეთრი აბრეშუმის ძაფი ფურის შარდსა ან აბრეშუმის ჭიის პარკის ნახარში დადევით;

ლურჯი ფერით იღებება კაკლის წენგოსა და თელას წიდაში. მასში შეღებილი, შემდეგ შეიძლება რკინით დაიძანგოს. რაც მოგვცემს მუქ შავ ფერს;

მწვანე ფერს ყვითლად შეღებილის ლილაში გატარებით იღებდნენ;

სოსანისფერი, ანუ წითელშერეული იისფერი, სოსანის ყვავილში შეღებვით მიიღება;

შავი ფერის საღებავის მიღების რამდენიმე ვარიანტი არსებობს: შავად იღებება ჟანგორაში;

ჟანგორა მიიღება კაკლის ფოთლისა და შავთავას ნახაშით ან კაკლის წენგოთი და თავშავათი. მასში შეღებვისას ბაწარს წინასწარ ახურებენ და შემდეგ ჟანგორაში ყრიან

ბროწეულის კანსა და ხის ქერქს წინასწარ ადუღებენ შიგ და-ამაგრებენ შაბით

ის მიიღება ბროწეულის კანის ნახარშით (ტიტიბში შეღებვით), ხალხურად ამ მეთოდს დატიტბვას უწოდებენ.

„ღვიძლისფერი,“ ანუ მუქი ენდროსფერი მიიღება

მოდულებულ კაკლის წენგოში დადევდით (ანუ შესაღებ მასას ნადულში რამდენიმე დღე აჩერებენ);

მუქი მწვანე მიიღება ხეშავის კურკის ნახარშით.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რა ხელსაწყო-ინვენტარია საჭირო ღებვის პროცესის დაწყებისათვის?
2. რა მეთოდით ხდება შესაღები მასის მომზადება?
3. რას გულისხმობს ე.წ. ინდიკატორის გამოყენება?
4. რა ტემპერატურას არ უნდა ასცდეს საღებავი ინდიგოში ღებვისას?
5. ჩამოთვალეთ მცენარეები, რომლებსაც გამოიყენებენ ღებვაში?
6. რას ნიშნავს „ცივი წესით“ ღებვა?
7. რას უწოდებენ თუშები „კვერკვერა“ ღებვას?
8. ჩამოთვალეთ ფერდამჭერი საშუალებები?



➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ჯავახიშვილი ივ. „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. ტ. II. ნაწილი II. თბ. 1982.
2. მოლოდინი ლ. „ღებვის ხალხური წესები ქვემო ქართლში, ქვემო ქართლი“ თბ. 1990.
3. აზიკური ნ. „მატყლის ღებვის ტრადიცია თუშეთში“ თბ. 1999.

ქართული ტრადიციული ქარგვა

თავი XI



შესავალი

მხატვრული ქარგვის სახელმძღვანელოს ეს ნაწილი შედგება ორი თავისა და ოთხი ქვეთავისაგან.

პირველი თავი ეთმობა ტრადიციული ქარგვით გამშვენებული სამოსის წარმოშობის ისტორიულ საკითხებს, მოიცავს ზოგად აღწერას, მოცემულია თეორიული ანალიზი.

ქართული ტრადიციული ნაქარგობისათვის საჭირო მასალის, ხელსაწყოებისა და გარემოს შერჩევის საკითხს შეგიძლიათ გაეცნოთ მეორე თავში, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა და აღწერა.

მეორე თავში განხილულია სასულერო პირთა და ნივთთა სამოსის ფერისა და ფორმის, მათზე ამოსაქარგავი კომპოზიციებისა თუ ორნამენტული დეკორის კანონისა და სიმბოლიკის საკითხები.

აქვე განვიხილავთ ქართულ ტრადიციულ ქარგვას, რომელშიც მოიაზრება საეკლესიო და საერო ნაქარგობა. ასევე გავეცნობით მხატვრული ქარგვის იმ ძირითად კანონიკას, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა უძველესი დროიდან ქართული ტრადიციული საეკლესიო თუ საერო ნაქარგობის ნიმუშები, იმ ტექნიკურ ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება ამ სამოსის შემკობა-გამშვენებისას.

ძირითადად ეს ტექნიკური ხერხები ნამაგრი სიტვით ქარგვისას გამოიყენება. რომელსაც სპეციალურად დამზადებული საქარგავი მასალით ასრულებდნენ ჩვენი წინაპრები.

თემის ამ თვალსაზრისით წარმოჩენა მნიშვნელოვანია, რადგან ტრადიციული ქარგვის ხერხებისა და მეთოდების სრულად ფლობა სტუდენტს მისცემს საშუალებას, კონკრეტულ შემთხვევაში სწორად შეარჩიოს საქარგავი მასალა, მიუსადაგოს ტექნიკური ხერხები ქარგვის პროცესში და, რაც მთავარია, დაიცვას ის კანონიკა, რომელიც ქარგვის ამ სახეობისთვისაა აუცილებელი.

ამან განაპირობა ტექნიკაზე საუბრის პარალელურად ფართოდ და სიღრმისეულად წარმოგვეჩინა სიმბოლიკის საკითხები საღვთისმსახურო სამოსთან მიმართებით.

11.1.1. ქართული ტრადიციული ქარგვის ნიმუშების წარმოშობის ისტორია

ქართული მხატვრული ქარგვის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტრადიციული ქარგვა, ანუ სასულიერო პირთა და ღვთისმსახურების დროს საჭირო ნივთთა სამოსის ქარგვა-გამშვენება.

აუცილებელია საღვთისმსახურო სამოსის შეკერვისა თუ მასზე გამოსახულებათა ამოქარგვისას ზუსტად იქნას გათვალისწინებული გამოსახული კომპოზიციისა თუ ცალკეული დეტალის სიმბოლურ-სემანტიკური არსი. რადგან ძირითადი და მთავარი ესაა ამ თემასთან მიმართებით, აქედან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით, რომ შევხვით თავად ამ სამოსის წარმოშობის, შექმნისა და განვითარების ისტორიას. განვიხილოთ ის საკითხები, რომელთა ცოდნის გარეშე ვერ შეიქმნება სრულყოფილი ტრადიციული ქარგვის ნიმუში.

ისტორიულად ღვთისმსახურთა სამოსის წარმოშობა - განვითარება უძველეს ხანას უკავშირდება. რაც შეეხება ქართულ ძეგლებს, ქრონოლოგიური დიაპაზონი ამ ძეგლებისა XII–XIX საუკუნეებს მოიცავს.

ტრადიციული ქარგვით შესრულებული ნაქარგობის უძველესი ნიმუში XII ს-ით თარიღდება (სურ: 1). ეს არის სასულიერო პირის სამოსის დეტალი საბუხარები კაცხის მონასტრიდან.



სურ: 1. საბუხარები კაცხის მონასტრიდან XIII ს.

საბუხარი სასულიერო პირის ყველა იერარქიის მსახურთა აუცილებელი სამოსია. ეს არის მაჯაზე დასამაგრებელი დეტალი სამოსისა, იმ თოკების სიმბოლო, რომლითაც მაცხოვარს შეპყრობისას დაუბორკეს ხელები.

მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენამდე მოღწეულ ნივთთა შორის ეს ერთ - ერთი საუკეთესო ნაქარგობის ნიმუშია.

ამ უძველესი ნაქარგობიდან ნათლად ჩანს, რომ ქარგვის რთული ტექნიკისა და მაღალმხატვრულ ემოციებსთან ერთად, ამ ეპოქის „ხელოსან“-„მკერვალნი“ კარგად იცნობდნენ ქრისტიანული იკონოგრაფიის კანონიკას. მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს ახასიათებს თვითმყოფადობა და თავისებურებები, რითაც ქართული ხელოვნების სხვა დარგთა ძეგლებისაგან გამოირჩევა.

ნაქარგობის ნიმუშები, რომლებმაც, ჟამთა სიავის მიუხედავად, ჩვენამდე მოაღწია, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ფლობდნენ ჩვენი წინაპრები არა მარტო ქარგვის ურთულეს ტექნიკურ ხერხებს, არამედ იმ კანონიკას, რომელსაც ეს ნაქარგობა ექვემდებარებოდა უწინაც და დღესაც.

ეს ნიმუშები ტოლს არ უდებს მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული სხვა დარგის ხელოვნების ძეგლებს (ქართული არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები - ჭედურობა, მინანქარი).

მქარგველი კომპოზიციის აგებისას ემორჩილება ზოგადად ქრისტიანულ კანონიკას, მაგრამ, ამასთანავე, ეყრდნობა ადგილობრივ ტრადიციებს. მრავალგვარი ტექნიკური ხერხითა და არსებული ტრადიციებით ქარგვა იმ თავისებურებების განმსაზღვრელია, რითაც ქართული ნაქარგობა ხასიათდება. ქართველი ოსტატები ითვალისწინებდნენ კომპოზიციის აგების იმ პრინციპებს, რომლებიც ხატწერის იკონოგრაფიული კანონიკიდან გამომდინარეობს და ემყარება კომპოზიციაში სიმეტრიულობასა და მასათა გაწონასწორებას, მნიშვნელოვანისა და მთავარი თემის, სიმბოლური მინიშნებების წინ წამოწევას.

იმისათვის, რომ სტუდენტმა სწორად შეარჩიოს მასალა და ამოსაქარგავი კომპოზიცია და შეუსაბამოს მას ტექნიკური ხერხები, აუცილებელია მან იცოდეს განმარტება თითოეული ნივთისა, კონკრეტულად ა საღვთისმსახურო სამოსისა.

სამოსი, რომელიც ღმერთმა ძველი აღთქმის მღვდელმთავარ აარონსა და მის შთამომავლობას დაუწესა, სხვა ადამიანთაგან მათ გამორჩეულობას უსვამდა ხაზს.

ამავე პრინციპიდან გამომდინარე, ახალი აღთქმის ეკლესიამ მსახურთათვის დააწესა სამოსი, რომლის წარმოშობა მოციქულთა ცხოვრების ხანას უკავშირდება (სურ: 2).



სურ: 2. ძველი აღთქმის მღვდელმთავრის აარონის სამოსი

დეტალები სამოსისა, რომლითაც ეკლესიის მსახურნი იმოსებიან ძველი აღთქმიდან გადმოვიდა, მაგრამ დაიტვირთა ახალი აღთქმის სიმბოლოებით.

დროთა განმავლობაში როგორც სამოსი, ისე მისი დეტალები, ფორმისა და ფერადოვანი გამის მხრივ, გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ არა რელიგიური თვალსაზრისით. სასულიერო პირის სამოსის ტარებისას გათვალისწინებულია ორი ძირითადი ფაქტორი: ღვთისმსახურთა იერარქია და საეკლესიო მსახურებისა თუ ქრისტიანული დღესასწაულის რაობა.

აქედან გამომდინარე, ამ სამოსთა შემქმნელმა, მათმა მომქარგველმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ის კანონიკა, რომლის საფუძველზეც იქმნება იგი.



სურ: 3. დიაკვნის, მღვდლისა და მღვდელმთავრის სრული შესამოსელი

იმისათვის, რომ სტუდენტმა სწორად შეარჩიოს მასალა და ამოსაქარგი კომპოზიცია და შეუსაბამოს მას ტექნიკური ხერხები, აუცილებელია მან იცოდეს განმარტება თითოეული ნივთისა, კონკრეტულად აქ იგულისხმება საღვთისმსახურო სამოსი (სურ: 3).

ღვთისმსახურის მიერ ნებისმიერი საიდუმლოს აღსრულებისას გამოყენებული საგნითა თუ სამოსით ხაზგასმულია მაცხოვრის თანდასწრება.

სამოსი, რომლითაც მაცხოვარი გამოსახება, განსაზღვრავს მის იკონოგრაფიას, ხოლო სამოსი, რომლითაც ეკლესიის მსახური იმოსება, თავად განასახიერებს მაცხოვარს დედამიწაზე.

ისე, როგორც მართლმადიდებლური ტაძარი და მის წიაღში განთავსებული ყოველი ნივთი, კედლებზე წარმოდგენილი ფრესკები ექვემდებარება კანონიკას, ასევე სასულიერო პირთა სამოსი, მისი ყოველი დეტალი და ამოქარგული ორნემენტული დეკორი თუ სახიერი გამოსახულება, წესისა და რიგის მიხედვითაა გაწყობილი. სასულიერო პირის სამოსსა თუ საღვთისმსახურო ნივთიზე დაკონკრეტებულია, თუ სად რა უნდა ამოიქარგოს.

11.1.2. საღვთისმსახურო სამოსი და მისი სიმბოლიკა

სასულიერო პირთა იერარქიის სამი ხარისხის სამოსის, მათი ტარებისა და შემოსვის წესი განსაზღვრულია საეკლესიო დადგენილებებით. შემოსვისას დადგენილია ხარისხის გათვალისწინებით მათი რაოდენობა.

დიაკვანი იმოსება სამ, მღვდელი ხუთსა და მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი შვიდი სახის სამოსში.

ყველა იერარქიის მსახურთათვის აუცილებელი სამოსია - სადიაკვნო სტიქარი, კვართი, ანუ „ფესუედი სამოსი“ (სურ. 4).

ესაა სწორკალთებიანი, კოჭებამდე დაშვებული სამოსი, გრძელი, მაჯასთან შევიწროვებული მკლავებით, რომლებიც „ხლათებით“ (ზონრები) ბოლოვდება. ეს ზონრები შემოსვისას მჭიდროდ ეხვევა მაჯაზე. ისინი იმ თოკის სიმბოლოა, რომლითაც მაცხოვარს გეთსამანიის ბაღში შეპყრობისას ხელები დაუბოროკეს. სტიქარს გულისპირი ვერტიკალურად აქვს ჩაჭრილი, ხოლო კისრის ხაზი სწორადაა გაჭრილი.



სურ: 4. სადიაკვნო სტიქარი - კვართი

მის უძველეს ფერად მიჩნეულია თეთრი. მოგვიანოთ უკვე გვხვდება ფერადი აბრეშუმის ქსოვილი.

სტიქარი, ანუ ხსნის სამოსი, ბერძნულად „σχιζαριον“ საეკლესიო სამოსთაგან ყველაზე ძველია. შემდეგი ხარისხის სამოსია სამღვდლო სტიქარი (სურ: 5), რომელიც ასევე აჭრილია ერთ მთლიან თარგზე, აქვს ოთხი კალთა და გვერდები გაკერილი, იღლის ხაზი გაჭრილი.



სურ: 5. სამღვდლო სტიქარი

მისი ოთხი კალთა გაშლილ მდგომარეობაში ჯვრის ოთხი მკლავის სიმბოლოა, ხოლო შუაგულში (თავის ამოსაყოფი ჭრილი) სწორი კისრის ხაზითა და გულისპირზე ჩაჭრილით თარგში ბარძიშს, წმინდა ზიარების ჭურჭელს მოგვაგონებს (სურ. 6).



სურ: 6. სამღვდლო სტიქარი და სამხარე XVIII ს.

მასში შემოსილი მსახური წარმოგვიდგება, როგორც „ჭურჭელი,“ საიდანაც უფლის სიყვარული და სიბრძნე გადმოედინება..

სადიაკვნო სტიქარისაგან განსხვავებით, სამღვდლო სტიქარი ტრადიციულად ოქროქსოვილისაა, ხშირად ფერადი ქვებითაა მოოჭვილი. ის ღვთისადმი სულიერი სიხარულის სიმბოლოა.

შემდგომი ხარისხის სამოსი საკოსია, რომელიც განასახიერებს კვართს, რომლითაც მაცხოვარი წამებისას შემოსეს (სურ: 7, 8).



სურ: 7. საკოსი

საკოსი, ბერძნულად „σχιαιον“, ტომარას ნიშნავს. ის სუფთა, შეუბღალავი სინდისის სიმბოლოა. მას ასევე ეწოდება „უკერველი სამოსი“.



სურ: 8. საკოსი XVIIIს

ეს სამოსიც ერთი მთლიანი თარგითაა აჭრილი, გვერდებზე გაუკერავი, ორივე მხარეს დაუყვება სპეციალური ზანზალაკებიანი ღილები, რომლებიც მოძრაობისას ხმას გამოსცემს. ეს ხმა „უფლის გამოცხადების“ სიმბოლოა. ეს დეტალი აარონის ეფოდის შემადგენელი ნაწილი იყო.

ძველად საკოსები იკერებოდა ქსოვილისაგან, რომელსაც ბისონს უწოდებდნენ, ამან განაპირობა, რომ მას ხშირად ბისონადაც მოიხსენიებენ.

სამღვდელმთავრო საკოსი და ფელონი მსახურების დროს ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. ხოლო ზოგადად ფელონი სამღვდლო სამოსის აუცილებელი ნაწილია (სურ: 9).



სურ: 9. სამღვდლო ფელონი

ეს უსახელო ზედა სამოსია, რომელიც მთელ სხეულს ფარავს. ფელონის თარგი წრეზეა აჭრილი და ღვთაებრივი ძალისა და მაცხოვრის მარადიულობის, სიმრთელისა და ურღვეველობის სიმბოლია.

მისი უძველესი ფორმა ღვთისმსახურს შემოსვისას კისრიდან ფეხებამდე უფარავდა მთელ სხეულს (სურ: 10). ასეთი სახის ფელონი დღესაც იმოსებიან საბერძნეთის ღვთისმსახურნი.



სურ: 10. ფელონის ძველი ფორმა

ფელონი სიმბოლოა ქლამიდისა, რომელიც ჯვარცმის წინ მაცხოვარს დაცინვის მიზნით წამოასხეს. მისი სახელწოდება "φελονιον" მოდის სიტყვის ძირიდან "φενεζε", რაც ნიშნავს უსასრულსა და მარადიულს.




სურ: 11. ფელონი XVIII ს.

ჩვენამდე მოღწეული სამღვდლო ფელონების საბეჭურები, როგორც წესი, ოქრომკედითა და ვერცხლმკედით, ნამაგრი სითვის ტექნიკით ნაქარგი, კომპოციციებითა და ორნამენტული დეკორითაა გაწყობილი (სურ: 11).

11.1.3. ფერისა და ფორმის სიმბოლიკა ტრადიციულ ქარგვაში

საეკლესიო პირთა თუ ნივთთა შესამოსელის მქარგველმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქრისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი სამი ძირითადი პრინციპი: ფორმის, ფერისა და წმინდა რიცხვთა სიმბოლიკა.

ამ სამი პრინციპიდან უმნიშვნელოვანესია ფორმა, რომელიც აერთიანებს ჯვარს, ოთხკუთხედსა და წრეს. თითოეულს თავისი დატვირთვა და სიმბოლიკა აქვს (სურ: 12).



სურ: 12. სქემები

ჯვარი, რომლის თარგზეცაა აჭრილი სტიქარი და საკოსი, მაცხოვრის მიწიერი (ჯვრის ჰორიზონტალური მკლავი) და ზეციური (ჯვრის ვერტიკალური მკლავი) ცხოვრების სიმბოლოა (სურ: 12).

იმავედროულად, ჯვრის ფორმაში მოიაზრება მაცხოვრის ორი ბუნების (დიოფიზიტური) არსის ერთობა და ურღვეველობა. როდესაც მოძღვარი საკურთხეველთან დგას და მრევლისკენ ზურგითაა შებრუნებული, მაშინ მაცხოვრის სახეს სამოსის ზურგზე ამოქარგული ჯვარი განასახიერებს. ამიტომ სასულიერო პირის ყველა შესამოსელის აუცილებელი ატრიბუტია ზურგზე ამოქარგული ჯვარი ან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულება. ხშირად, განსაკუთრებით ფელონებზე, ზურგზე ჯვრის გამოსახულებას ცვლის კომპოზიცია „ძირი იესესი“ (სურ: 13).



სურ: 13. ფელონის საბეჭური კომპოზიციით „ძირი იესესი“XVIIIს.

ოთხკუთხა ფორმა, რომელიც ასევე უმთავრესია ამ სამოსში (საბუხარები, დაფარნა, ენქერი გარდამოხსნა და ა. შ.) ქვეყნის ოთხი მხარისა და ქრისტეს მოძღვრების ოთხკუთხივ გავრცელების სიმბოლოა (სურ: 14).



სურ: 14. ენქერი კომპოზიციით „ვედრება“ - XVII ს.

წრე, რომლის ფორმაზეც იჭრება ფელონი, მიტრა და სამღვდელმთავრო არწივი (სურ: 15), სიმბოლოა უსასრულობისა და მარადიულობისა.



სურ: 15. არწივი XIX ს

ფორმასთან ერთად ტრადიციულ ქარგვაში უმნიშვნელოვანესია ფერის ფაქტორი. აღმოსავლეთი საქრისტიანოს ხელოვნებაში ფერი ყოველთვის იყო მხატვრული გამომსახველობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება. V-VI საუკუნეებში ბიზანტიაში

ჩამოყალიბებული ფერთა გამის ფერადოვანი ლექსიკა დიონისე არეოპაგელის სიმბოლიკის განმარტებათა სისტემაში ჩამოყალიბებულ სახეს იძენს.

ბიზანტიის ხელოვნების ფერთა კანონიკაში VI ს - ში შვიდი ძირითადი ფერის (ძოწისფერი და თეთრი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი და შავი) სიმბოლიკა ჩამოყალიბდა.

ამ ფერთა სტრუქტურაზე აიგო მართლმადიდებლური სამყაროს ხელოვნება და მათ შორის - საღვთისმსახურო სამოსის ქარგულობის ფერთა კანონიკა.

ჩვენამდე მოღწეული ქართული ტრადიციული ნაქარგობის ნიმუშების ფერადოვნება და მათზე გამოსახული დეკორი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ტრადიციული ნაქარგობის ნიმუში.

ფერები, რომლებიც საეკლესიო სამოსში გამოიყენება, სამ ძირითად ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ:

პირველი ჯგუფი მოიცავს თეთრის, ოქროსფერისა და ვერცხლისფერის ერთობლიობას, რაც სიწმინდისა და სინათლის სიმბოლოდ მოიაზრება. თეთრი ფერის ოქროსფერითა და ვერცხლისფერით ჩანაცვლება, საქარგავად ოქროსა და ვერცხლის თმის ან ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გამოყენება მათ სიმბოლიკას განმარტავს.

თეთრი ფერი - სინათლის სიმბოლო ახსნილია, როგორც „მე ვარ ნათელის“ - „მიუაჩრდილებელი ნათელის“ განსახიერება (სურ: 16).



სურ: 16. მეფე ვახტანგ VI-ის დის, თამარის, მიერ მოქარგული დაფარნა, XVIII ს.

თავად ოქროს სიმბოლური მნიშვნელობები – „ღვთიური სინათლე“, „სიმართლის მზე“, „სამყაროს სინათლე“, „ნათელი ნათელთან“ ღვთაებრივი სინათლის, მარადიული სიცოცხლისა და სიწმინდის სიმბოლოა და თავისთავად ამ დატვირთვით „მუშაობს“ ეს ფერი ნაქარგობაშიც.

საინტერესოა არა მარტო საქარგავი მასალის ფერის, არამედ ნაქარგი მიწარის ფონის სიმბოლური გააზრება. ნებისმიერ კომპოზიციაში ოქროსფერი ქსოვილის - ოქროს სახის ფონად გამოყენება ეხმიანება კოლორიტს, რომლითაც ხატწერაში ხაზგასმულია ხატის სიდიადე, გაძლიერებულია სიბრტყობრივი შთაბეჭდილება და განათებული ფონიდან „ამოსული“ კომპოზიცია ნათლად წარმოაჩენს მის ძირითად არსს (სურ: 16).

ფერთა გამის მეორე ჯგუფში შემავალი სპექტრის შვიდ ფერს, რომლებიც ცისარტყელას ფერებთანაა, გაიგივებული რამდენიმე ახსნა აქვს (სურ. 17).



სურ: 17.

ცისარტყელა სიმბოლოა კავშირისა ძველსა და ახალ აღთქმას შორის, ხიდისა მიწიერ წუთისოფელსა და მარადიულ, ზეციურ სასუფეველს შორის.

მისი შვიდი ფერი შეესაბამება წმინდა რიცხვ შვიდს. ესაა რიცხვი, რომელიც ზეციური და მიწიერი სამყაროს შექმნის სიმბოლოა. ამასთანავე, ეს რიცხვი სიმბოლოა იმ შვიდი საიდუმლოსი, რომლებიც ხორციელდება ქრისტიანულ ტაძარში.

საეკლესიო სამოსის ფერადოვან გამაში სპექტრის შვიდი ფერია წამყვანი და უდიდესი დატვირთვის მატარებელია (სურ:18).



სურ: 18. გარდამოხსნა უბისას მონასტრიდან, XVIII ს

სახელმძღვანელოში საქარგავი მასალის განხილვისას არაერთხელაა ნახსენები ფერადოვანი აქცენტებისათვის გამოყენებული მასალა - „ზეზი“.

დაწვრილებით ზეზის შესახებ მოთხრობილია სახელმძღვანელოს მეორე თავში - „საქარგავი მასალა და ხელსაწყოები.“

სწორედ ამ მასალის საშუალებით აღწევდნენ ჩვენი წინაპრები ქარგვისას მათთვის სასურველი ტონალობის აქცენტების მიღებას. ესაა საქარგავი მასალა, რომელიც ზუსტად პასუხობდა ქართული ტრადიციული ქარგვის მოთხოვნებს - რბილი, თბილი ტონალობა, ფერადოვნება და არა სიჭრელე.

ამის ბეჭყინვალე ნიმუშია გარდამოხსნა უბისას მონასტრიდან (სურ: 18).

გარდამოხსნა იმ ქსოვილის სიმბოლოა, რომელშიც ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის სხეული წარგრაგნეს. საკურთხევილიდან მას მხოლოდ წითელ პარასკევსა და დიდ შაბათს გამოაბრძანებენ, რათა მრევლმა დაიტიროს და, ამავე დროს, ადიდოს უფალი.

ფერთა გამის მესამე ჯგუფში გაერთიანებულია შავი ფერი - ჯოჯოხეთის, სულიერი და ხორციელი სიკვდილის სიმბოლო და, ამასთანავე, ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდგომით გამოწვეული სიმშვიდის სიმბოლო.

ეს ფერი ერთგვარად „დაპირისპირებულია“ თეთრთან და ამიტომ თითქმის ყოველთვის გამოისახება მის გვერდით - სადაცაა შავი, იქვეა თეთრი.

კომპოზიციებში - „შობა უფლისა,“ „ლაზარეს აღდგინება,“ „აღდგომა,“ ყველგან ამ ორი ფერის წინ წამოწევით მათი სიმბოლური არსია ხაზგასმული.

ჩვენ მიერ განხილულ ჯგუფებში შემავალი ფერთა გამის სიმბოლური დატვირთვა შეიძლება მრავალგვარი იყოს. ეს დამოკიდებულია ნებისმიერი კომპოზიციისა თუ დეკორის თემატურ, იკონოგრაფიულ და თეოლოგიურ გააზრებაზე. ამიტომ, მქარგველმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ეს და ქარგვისას არ უნდა დაარღვიოს არსებული კანონიკა. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ ყოველი დეტალის ქარგვისას მქარგველმა უნდა გამოიყენოს ასევე დაკანონებული კონკრეტული ტექნიკური ხერხი.

11.1.4. ორნამენტი ქართულ ტრადიციულ ნაქარგობაში

საეკლესიო ნაქარგობაში ორნამენტული დეკორი განიხილება, როგორც ფორმა გარკვეული შინაარსით დატვირთული. აქ „სიტყვა“ კონკრეტულ სიმბოლურ ფორმაშია ასახული. ამიტომაცაა, რომ მქარგავმა უნდა იცოდეს ის ძირითადი მცენარეული სახეები, რომლებიც ამ სამოსისთვის არის დაკანონებული.

მცენარე უსუპის დეკორი, რომელიც ირგვლივ შემოსდევს გამოსახულ კომპოზიციას, ყველაზე ადრეულ ნაქარგობის ნიმუშებზე გვხვდება - კაცხის საბუხარებსა (XII ს) (სურ: 19) და კაცხის ენქერზე (XII– XIII ს ს) (სურ: 20).ეს მცენარე ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში მოიხსენიება, ხოლო ახალ აღთქმაში ის მაცხოვრის წამებასთან არის დაკავშირებული. ის სუფთა წმინდა სინიდისის სიმბოლოა.



სურ: 19. საბუხარები კაცხიდან XII ს



სურ: 20. ენქერი კაცხის მონასტრიდან, XII– XIII ს.ს.

საეკლესიო ნივთთა დეკორში ხშირად გვხვდება ბროწეული, რომლის კანი ჭეშმარიტი რწმენისა, ხოლო მარცვლები ამ რწმენის მიმდევართა სიმბოლოა. საინტერესოა, რომ გახლეჩილ ბროწეულში მარცვლები იკონოგრაფიულად ქრისტეს მოციქულებს განასახიერებს. ასეთი სახით წარმოდგენილ დეკორში მარცვალთა რაოდენობა 12–12-ია (სურ:21)



სურ: 21. საბუხარი კომპოზიციით „გახლეჩილი ბროწეული“

შროშანის სიმბოლიკიდან გამომდინრე, მთავარანგელზი გაბრიელი სწორედ შროშანიტ ხელშია ხშირად წარმოდგენილი კმპოზიციაში „ხარება“. (სურ: 22)

შრომანისა და მაცვლის გამოსახულება ღვთისმშობლის სახესთან ასოცირდება. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ის ზოგადად სუფთა, უბიწო სიყვარულის სიმბოლოა.



სურ: 22. ომოფორის დეტალი, კომპოზიცია „ხარება,“ XVII ს.

მიხაკის თესლს სამსჭვალის ფორმა აქვს. ალბათ, ამან განაპირობა მიხაკის ყვავილის ამ სიმბოლიკით დატვირთვა.



სურ: 23. მიხაკის თესლი

საინტერესოა მიხაკის სიმბოლური დატვირთვა, რომელიც აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში სიყვარულის სიმბოლოა, ხოლო ქრისტიანულ იკონოგრაფიაში - უფლის ჯვარცმისა და წამების სიმბოლო (სურ: 23, 24).



სურ: 24. ბატონიშვილ „ლელას“ საბუხარები „ხარების“ კომპოზიციით, XVII ს.

ეს საბუხარები მოქარგულია მეფე ლუარსაბ II- ის დის, ლელას, მიერ, რომელმაც თავისი ნაქარგი დავით გარეჯის მონასტერს შეწირა XVII ს - ის დასაწყისში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ტრადიციული ნაქარგობით შესრილებულ ნიმუშებში უკავია ჯვრის გამოსახულებასა და მის გაფორმებას.

ორნამენტულ კომპოზიციაში - „ჯვარი ალყავებული“, ჯვარი და მის ირგვლივ გაშლილი დეკორი მრავალი სახითა და ფორმითაა წარმოდგენილი ტრადიციულ ნაქარგობაში. განსაკუთრებით ეს მრავალფეროვნება კარგად ჩანს საბუხარებზე წარმოდგენილ დეკორში (სურ: 25).



სურ: 25. საბუხარებზე ნაქარგი ჯვრის ტიპები

ორნამენტულ კომპოზიციაში - „ჯვარი აღყვავებული“ იგულისხმება ღვთისმშობლის თანდასწრება, მაცხოვრის გვერდით ყოფნა მისი ჯვარცმის დროს და არა მარტო ჯვარცმისას. ჯვარს შემოხვეული შრომანი თავის სიწმინდესა და სიყვარულში ახვევს მეს და ამით ხაზგასმულია ღვთისმშობლის ყოვლისშემძლე და მფარველი ძალა, რომელიც ჯვარს - მეს ღვთისას იცავს ავისა და ბოროტისაგან (სურ: 26).




სურ: 26. საბუხარი კომპოზიციით „ჯვარი აღყვავებული“ (შრომანებით), XVIII ს.

ნაქარგობაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ლოტოსის გამოსახულება, რომელიც, მისი ფორმიდან გამომდინარე, ღვთისმშობლის წიაღის (საშოს) სიმბოლოა, რომელშიც უბიწოდ ჩაისახა უფალი. ამიტომ, ლოტოსის ყვავილში ამოზრდილი ჯვარი მაცხოვრის სიმბოლოა (სურ:27).



სურ: 27. საბუხარი ლოტოსის გამოსახულებით, XVIII ს.

ღვთისმშობელს განასახიერებს ასევე მაყვლის ყვავილის გამოსახულება. „დაუწველ მაყვლადა“ და „უჭკნობ შრომანად“ ღვთისმშობლის მოხსენიებამ განაპირობა ამ ორნამენტული სახეების ხშირი გამოსახვა საეკლესიო ნივთებზე (სურ: 28, 29).



სურ: 28. მაყვლის ყვავილები კომპოზიციაში „ჯვარი აღყვავებული,“ XVIII ს.



სურ: 29. საბუხარი ლოტოსის გამოსახულებით

ერთ-ერთ უმთავრეს ორნამენტულ სახეს ტრადიციულ ნაქარგობაში წარმოადგენს ვაზის, მისი ლერწის, ფოთლებისა და მტევნის გამოსახვა მაცხოვრის პერსონიფიკაცია (სურ: 30).



სურ: 30. საბუხარი ვაზის გამოსახულებით, XVIII ს.

ვარდი და ზამბახი, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურად გამოისახება ევროპის ქვეყნების ქრისტიანული ნაქარგობის ნიმუშებში, საქართველოში ტრადიციული ქარგვით შესრულებულ ნაქარგობაში იშვიათად და ისიც გვიან XIX – XX ს.ს.-ის საერო და საეკლესიო დანიშნულების ნივთებზე გვხვდება.

ტრადიციული ქარგვის ტენიკური ხერხების გამოყენებისას გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს არის ფონისა და მასზე წარმოდგენილი კომპოზიციის თუ ორნამენტული დეკორის ურთიერთკავშირი.

სიმბოლურ-სემანტიკური თვალსაზრისით, ფონი განიხილება, როგორც დამხმარე საშუალება მასზე გამოსახული სიმბოლო-ნიშნის აღსაქმელად.

ფონად უმეტესად გამოიყენება ოქროსფერი დიდებისა და მარადიულობის სიმბოლო, ცისფერი ზეციური სამოთხის სიმბოლო და ღვინისფერი, მეწამული წითელი - მაცხოვრის წამების სიმბოლო.

გამოსახულება, ზოგადად, შეიძლება მარტივი იყოს (ჩვენს შემთხვევაში - ჯვარი, წრე, ოთხკუთხედი), მაგრამ მასში ჩადებული შინაარსი ბევრისმომცველი და დამტევი. ამასთანავე, ფორმამ შეიძლება გამარტივება-გართულების თვალსაზრისით ცვლილებები თავად მქარგველის ხელში, ქარგვის პროცესში განიცადოს და უფრო მეტად დაიტვირთოს ან გამარტივდეს შინაარსობრივად.

ამ შემთხვევაში მქარგველი ასეთ ხერხს მიმართავს. მას ნაქარგ კომპოზიციაში წინა პლანზე გამოაქვს მნიშვნელოვანი ე. წ. „მოსაუბრე“ ორნამენტული დეკორიან კონკრეტული სიმბოლიკით დატვირთული სახიერი გამოსახულება.

ამის მაგალითია ტრადიციული ნაქარგობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში: მეფე ვახტანგ VI-ის დის, თამარის, მიერ მოქარგული დიდი დაფარნა (სურ: 31), რომელიც მცენარეული ორნამენტის საშუალებით მაცხოვრის მიწიერ და ზეციურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ თემებზე მოგვითხრობს.



სურ: 31. თამარის მიერ მოქარგული დაფარნა XVIII ს.

ამ დაფარნაზე სიმბოლო ნიშნებით ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო საიდუმლო მსახურების - „სისხლითა და ხორციტ ზიარების“ თემაა წინ წამოწეული (დიდი მტევნები „თავნი მოციქულთა“ პეტრე და პავლეა, ხოლო პატარა მტევნები - მოციქულთა რიგი მაცხოვრისკენ (ჯვარი) მიმართულნი). ამის პარალელურად ამ დაფარნაზე კიდევ არაერთი თემაა სიმბოლო ნიშნებით გამოსახული, რაც მქარგველის მაღალ პროფესიონალიზმსა და თეოლოგიის ღრმა ცოდნაზე მიუთითებს.

ქართულ ტრადიციულ ქარგულობაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ამ ნაქარგობისათვის დამახასიათებელ ფერთა გამას, რომელიც გამოირჩევა თვალშისაცემი ზომიერებითა და თბილი, რბილი კოლორიტით. ეს გამორჩეულობა ნასაზრდოებია ქართული ხელოვნების ტრადიციებით, მქარგველთა დახვეწილი გენეტიკური გემოვნებითა და ქარგვის ტექნიკის უზადო ფლობით.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ხაზგასასმელია ქართული მხატვრული ქარგვის ერთ-ერთი თავისებურება. ეს საინტერესოა ქარგვის ტექნიკასა და ფერის სიმბოლიკის თვალსაზრისით.

ჩვენს სინამდვილეში დადასტურებული მასალა „ზეზი“ უნიკალური მოვლენაა და სწორედ მისი საშუალებით ძველი ოსტატები აღწევდნენ ნაქარგის განსაკუთრებულ ფერადოვნებას. ეს ქართულ ნაქარგობას გამოარჩევს მსოფლიოს სხვა ქვეყნების ნიმუშებისაგან.

ზეზს ვეხცხლის ან ოქროს თმასა ან ოქრომკედსა და ვერცხლმკედთან შეგრეხილი ფერადი ძაფისაგან ამზადებენ თავად ოსტატები ქარგვისას. აბრეშუმის ერთად „შესთვა“ ასევე მაცხოვრის ორი ბუნების (მიწიერისა და ზეციურის) ურღვეობის სიმბოლოა.

ორი სტრუქტურის - ძაფისა და ამ ტექნიკური ხერხის გამოყენებისას მქარგავი უპირატესობას ღია ფერის ძაფს ანიჭებს, (იმ ფერის აბრეშუმის ძაფს შეაგრებს) რომლის დომინირებაც სურს ნაქარგი გამოსახულების თუ კომპოზიციის შექმნის პროცესში.

ამ დროს ფერადოვნებისათვის არ ხდება ლითონის ძაფების ჩამაგრება აბრეშუმის ფერადი ძაფის ბმულადებით (ეს ტექნიკური ხერხი გამოიყენება ბიზანტიურ, რუსულ და ევროპულ ნაქარტგობაში), რაც ნაქარგს სიჭრელეს ანიჭებს.

ზეზით ქარგვისას ლითონის ძაფს შეგრეხილი აბრეშუმი თითქოს „შიგნიდან ნათდება“ და საოცარ ფერადოვნებასა და რბილ-თბილ კოლორიტს ქმნის (სურ. 32).



სურ. 32. ბაგრატ III იმერთა მეფის (XVI ს) მიერ შკეთებული XIV ს-ის გარდამოხსნა საჩხერიდან

სასულიერო პირთა შესამოსელი, გარდა ზემოთ განხილულისა, მოიცავს ოლარ-ომოფორს, ეპიტრაქილს, სარტყელსა და მიტრას. მათზე ასევე კონკრეტული თემატიკა და დეკორი იქარგება:

დიდი ომოფორი, ოლარი (ეპიტრაქილი, გინგილა), სარტყელი, მიტრა, ენქერი (სურ: 32, 33, 34).

ქართულ ტრადიციულ ქარგვაზე საუბრისას ასევე უნდა შევხებით მსახურებისას გამოყენებულ ნივთთა სამოსსაც, რომელთა შემკობა-გამშვენება კონკრეტულ კანონიკას ექვემდებარება:

გარდამოხსნა, ანუ ლუსკუმას საფარებელი, დაფარნები, რომლებიც კომპლექტის სახით გვხვდება: ორი პერექელი (ბარმიმისა და ფეშხუმის საფარებელი), ერთი დიდი დაფარნა ცაი და ტრაპეზის საფარებელი (სურ: 35, 36, 37).



სურ: 32. ოლარი, ეპიტრაქილი და ომოფორი

ოლარი - ბერძ. („ორარიონ“) „მღვდელთა საკიდი“ (სულხან საბა ორბელიანი) კ. კეკელიძე „ეპიტრაქილს უწოდებს. ეპიტრაქილი არის სადიაკვნო სამოსი - სიმბოლო უფლის კისერზე მოდებული თოკისა. ზედ გამოისახება ჯვრები რაც „ჯვრის ტვირთის“ სიმბოლოა.

ყველაზე ძველი 1312 წლის ოლარია, ის ფორმით გამონაკლის წარმოადგენს, რადგან წინ გაუკერავია და მცირე ომოფორის მზგავსია, მას სამღვდლო ოლარსაც უწოდებენ. ეს ოლარი

ანჩის მონასტერში მოიქარგა. იგი ანჩის ოლარითაა ცნობილი. მას ირგვლივ შემოუყვება ელინისტური ხანის „მეანდრები“.

ეპიტრაქილი - ბერძ. (ეპი-ზე; ტრახოს - კისერი) ის ეპისკოპოსებისა და მღვდლების სამოსია. ემზავსება ოლარს. იგი ორმაგი დატვირთვის მატარებელია. კისრის არეში გამოსახული ჯვარი დამატებითი მოვალეობისა და მადლის სიმბოლოა. ერთი არის ღვთის მადლი, წყალობა და მეორე მღვდელმთავრის უღელი. უძველესი ეპიტრაქილი მე-18 საუკუნისაა (1703-1716წწ).

ომოფორი - ბერძ. (ომო-მხარი; ფერო მიმაქვს) იგი მხოლოდ მღვდელმთავრების სამოსია და განასახიერებს შეცდომილი ცხვრის სამწყსოს სწორ გზაზე დაყენებას. მას ასევე უწოდებენ „სამნაკეცობას“. ეს სახელწოდება მისი ხმარების წესიდან გამომდინარეობს. ის სამგზის იკეცება წინ დაშვებული კალთებით და „წმ. სამების“ სიმბოლოა. ომოფორი ეპისკოპოს შეახსენებს, რომ ის არის ქრისტეს სახე, რომელმაც საკუთარი სისხლის გაღებით იხსნა კაცობრიობა. ყველაზე ადრეულია 1358 წლის ომოფორი ანჩიდან.



სურ: 33. სარტყელი და ენქერი

სარტყელი - იგივე „ქამარი“, „ზოსტერი“, „კენდო“. მისი ხმარების ტრადიცია სამღვდლო სამოსში ძველი აღთქმის მღვდელმთავრის აარონის დროიდან მოდის. პრაქტიკული თვალსაზრისით მას სამოსი უჭირავს, რომ ღვთისმსახურებაში ხელი არ შეეშალოს.

სიმბოლური თვალსაზრისით კი ღვთაებრივი ძალისა და ცოდვასთან მებრძოლი ადამიანის სიმბოლოა. სარტყლის შემორტყმა წელზე ნიშნავს უფლის ჭემმარიტ სიტყვასა და მის შესამცნებად მზაობას. ჩვენამდე მოღწეული უძველესი სარტყლები ძირითადად ძირითადად მე-17-18 საუკუნეებისაა.

ენქერი - მღვდელმთავართა შესამოსელია, რომელიც განასახიერებს სულიერ მახვილსა და ამავე დროს არის ღვთისადმი მსახურებისა და თავმდაბლობის სიმბოლო. ამ თვალსაზრისით ენქერში ასევე მოიაზრება ის ქსოვილი, რომლითაც მაცხოვარმა თავის მოწაფეებს (მოციქულებს) ფეხთაბანის დროს ფეხი შეუმშრალა. ამით მათ უჩვენა მსახურებაში თავმდაბლობის უდიდესი მაგალითი.

ენქერს მღვდლები გარკვეული სამსახურისათვის ჯილდოდ იღებენ პატრიარქისაგან. ისინი ხდებიან ენქეროსანნი.



სურ: 34. მიტრა

მიტრა - „ზეციური სამეფო გვირგვინის განსახიერება“. მე-11 საუკუნიდან ის განიხილება, როგორც ეკლიანი გვირგვინის სიმბოლო, რაც მოასწავებს მღვდელმთავრის უმაღლესი ღირსებისა და მორჩილების აუცილებლობას. მიტრა შედგება ქუდის, გარსაკრავი სარტყლისა და ცისაგან. ცასა და სარტყელს შორის გარშემოსაკრავი ნაწილი ანუ იგივე გვერდები „მიწიერ ზონად“, „ცაი“ „ზეციურ ზონად“, ხოლო „სარტყელი“ ეკლის გვირგვინადაა მოაზრებული. ამიტომ მისი დამზადების დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიტრის „სარტყელს“ ლითონის თხელი ფირფიტისა შემოზღვედეს.

„მიწიერ ზონაზე“ ძირითადად მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული სცენებია ამოქარგული: „ხარება“, „ზიარება“, „ფერხთა ბანა“, „საიდუმლო სერობა“, „ღვთისმშობლის მიძინება“ და „ჯვარცმა“.

მიტრის ცაზე - „ზეციურ ზონაში“ მეორედ მოსვლის თემები, მაცხოვრის ან ჯვრის გამოსახულებები და ასევე „საყდარნი“ იგივე „გელ-გელი“ (ფრთოსანი ბორბლები) არის წარმოდგენილი.



სურ: 35. გარდამოხსნა

გარდამოხსნა - (ბერძ. ეპიტაფიოს) იმ ქსოვილის სიმბოლოა, რომელშიც არდაგზე დაბრძანებული ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვარი წარგრაგნეს. ის მართმადიდებლურ დამარში მხოლოდ წითელ პარასკევსა და დიდ შაბათს გამოაქვთ ღვთის მსახურების დროს, რადგან ეს ქსოვილი მაცხოვრის ჯვარცმას უკავშირდება. ამიტომ მასზე იკონოგრაფიულად ცენტრში „მაცხოვრის დატირება“ და „კუბოთდების“ სცენები გამოისახება. ცენტრალური კომპოზიციის ზედა და ქვედა რეგისტრებში „ამაღლება უფლისა“ ან „ახალი აღთქმის სამება“ გამოისახება, ხოლო ქვედა რეგისტრში „მენელსაცხებლუ დედანი მაცხოვრის საფლავთან“ ან „არდაგის თაყვანისცემის“ კომპოზიციებია წარმოდგენილი .



სურ: 36. ფეშუმისა და ბარძიმის საფარებელი

დაფართა - არის ლიტურგიული ჭურჭლის სამოსი, რომელიც წირვის დროს გამოიყენება ტაძარში. ის ხმარებაში კომპლექტის სახით გვხვდება ანუ სამი ნაწილისაგან შედგება. ორი მცირე ზომის დაფარნა - ანუ „პერეკელი“ (დაფარნად მოიხსენიება მათზე დაცულ წარწერებში მე-17 საუკუნიდან). გამოიყენება ბარძიმისა და ფეშუმის საფარებლად და არის კვადრატული ან ჯვრული. მესამე დაფარნა ანუ „ცაი“ დიდი ზომისაა, მარკუთხედი ფორმის. ის მსახურებისას ორივე დაფარნას ეფარება ზემოდან.



სურ: 37. დიდი დაფარნა „ცაი“

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რა იგულისხმება ქართულ ტრადიციულ ქარგვაში?
2. რა უნდა გაითვალისწინოს მქარგველმა ტრადიციული ქარგვის ნიმუშების შექმნისას?
3. რა განაპირობებს ტრადიციული ქარგვის ნიმუშების სიმბოლურ არსს?
4. რომელია ყველაზე ძველი ტრადიციული ქარგვით შესრულებული ნიმუში?
5. ვის სახელს უკავშირდება საეკლესიო სამოსის წარმოშობა?
6. რომელ სამ პრინციპს ეფუძნება საღვთისმსახურო სამოსის შექმნა?
7. ჩამოთვალეთ სამოსის სახეები?
8. როგორია ორნამენტის დანიშნულება ტრადიციულ ნაქარგობაში?
9. რა ურთიერთობაშია ფონი და მასზე გამოსახული დეკორი ტრადიციულ ნაქარგობაში?
10. ჩამოთვალეთ სასულიერო პირის სრული შესამოსელის დეტალები?
11. ჩამოთვალეთ მსახურების დროს გამოყენებულ ნივთთა სამოსი?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ავტორთა ჯგუფი: ი. მელიქიშვილი, გ. ბარათაშვილი, მ. კეცხოველი, ე. ბერელაშვილი, ე. სულხანიშვილი. „ქართული ნაქარგობა“ თბ. 2011.
2. ჯავახიშვილი ივ. „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, ტ. III. თბ. 1962.
3. მელიქიშვილი ი. სადისერტაციო ნაშრომი - „ქართული საეკლესიო ნაქარგობის საკითხის შესწავლისათვის.“ თავი I „ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა“. თბ. 2009.
4. ბარათაშვილი გ. სადისერტაციო ნაშრომი - „ქართულ დაფარნათა იკონოგრაფიული თავისებურებანი,“ თბ. 2009.

ნაქარგობის ტექნოლოგიური დამუშავება


თავი XII



შესავალი

მხატვრული ქარგვის სხვადასხვა სახეობის შესწავლის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ნაქარგობის ნიმუშისათვის დასრულებული სახის მიცემა.

სახელმძღვანელოს ამ თავში საუბარია იმ ტექნოლოგიურ პროცესებზე, რომლებიც დასრულებული ნაქარგობისათვის საბოლოო სახის მიცემის სამუშაოებს მოიცავს. აქ იგულისხმება ნაქარგი ნივთის თბური წესით დამუშავება და სარჩულის გამოკერება.



12.1. ნაქარგობის ტექნოლოგიური დამუშავება

12.1.1. ნაქარგობის თბურ-დანამვითი წესით დამუშავება

ნაქარგობის ნიმუში ქარგიდან ან ჩარჩოდან მოხსნის შემდეგ 2-3 დღე უნდა გავაჩეროთ, რათა გაჭიმული მდგომარეობიდან ქსოვილი მოეშვას და საწყის ფორმას დაუბრუნდეს. ამის შემდეგ ვიწყებთ ნაქარგობის თბურ-დანამვით დამუშავებას. დამუშავების ორი მეთოდი არსებობს: კონტაქტური და უკონტაქტო-ორთქლის უთოთი დამუშავება (სურ: 1).



სურ: 1. უთო და ორთქლის უთო.

ქსოვილის ხარისხისა და ნაქარგობის ტექნიკის გათვალისწინებით ვირჩევთ თბურ-დანამვით ტემპერატურულ რეჟიმს.

უთოს ტემპერატურა არ უნდა იყოს მაღალი. ტემპერატურის მაჩვენებელი უნდა მიაწინებდეს საშუალო დონეს.

კონტაქტური დამუშავებისას (იგულისხმება ნაქარგის დაუთოება) ნაქარგობას ზემოდან ვაფენთ კარგად გაწურულ დოლბანდს და უთოს მსუბუქი შეხებით ვაუთოვებთ, რაც ხელს უწყობს ნაქარგობის ბმულადების ერთმანეთთან კარგად დაკავშირებას და ორმხრივი სითვით ნაქარგისათვის ატლასური სიპრიალის მიცემას (სურ: 2).





სურ: 2.

აღნიშნული მეთოდი ნაქარგობის ყველა სახეობისათვის არ გამოგვადგება. შალისა და ხავერდულა ძაფებით ნაქარგის ტექნოლოგიური დამუშავებისათვის გამოიყენება უკონტაქტო, ორთქლის უთოთი დამუშავება (სურ: 3). საუთოო მაგიდაზე უკვე დასვენებულ ნაქარგობას ვაფენთ და ისე, რომ არ ვეხებით გადავატარებთ ორთქლის უთოს თანაბარი მოძრაობით. ამ პროცესში თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ სწორდება ქსოვილი, ნაქარგობა უფრო რელიეფური ხდება (ხავერდულა ძაფებით ნაქარგი) და როგორ იკვეთება შალის ძაფების ფერადოვნება.



სურ: 3.

12.1.2. ნამაგრი სითვით ნაქარგის დამუშავება

ლითონის ძაფებით შესრულებული ნაქარგობის, ანუ ნამაგრი სითვით მოქარგული ნივთის თბური დამუშავება ყოვლად მიუღებელია.

ნაქარგობის ამ სახეობისათვის დასრულებული სახის მიცემას უძველესი დროიდან ქართველი ოსტატები სპეციალური, ე. წ. „ცივი წესით“ ახდენდნენ, რასაც „გატკეცვას,“ ანუ „გაჯანდვრას“ უწოდებდნენ (სურ: 4).



სურ: 4. ჯანდრის ხე

ეს პროცესი შემდეგნაირად სრულდებოდა: დასრულებულ ნაქარგს კარგი პირიდან აფენდნენ შედარებით რბილ ზედაპირზე და ზურგის მხრიდან ხდებოდა ეშვის ან ჯანდრის ხის საკმაოდ ენერგიულად გადატარება ერთი მიმართულებით - მარცხნიდან მარჯვნივ. ეს პროცესი ხელს უწყობდა სამაგრი ბმულადების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებას და ოქროსა და ვერცხლის თმით ან ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი ზედაპირის სიპრიალეს. ეს საოცარი ბრწყინვალება აძლიერებს ნაქარგობის ეფექტს. სასურველია ეს მეთოდი თანამედროვე ოსტატებმაც გამოიყენოს.

შემდეგი ეტაპი არის, საჭიროების შემთხვევაში, დაქარგული მიწარის ქვეშ სამაგრი ქსოვილის (ე. წ. წებოვანა) გამოდება. ხელით ქარგვის შემთხვევაში ასეთ ქსოვილად იყენებენ ჩვეულებრივ წებოვან ქსოვილს, რომლის გამოდება ხდება ნაქარგის თბური წესით დამუშავების პარალელურად. მოქარგულ ნიმუშს ზურგის მხრიდან ეფინება სამაგრი ქსოვილი, ე. წ. წებოვანა, ანუ უქსოვადი მასალა და ცხელი უთოს გადატარებით ის ეწებება ნაქარგის მიწარს და ამაგრებს ნაქარგობას (სურ: 5).



სურ: 5. წებოვანი ქსოვილები

მანქანური ქარგვისას ნაქარგის გასამაგრებლად გამოიყენება უქსოვადი მასალა, გახამებული ტილო ან ავალონი თხელი ცელოფნის ფაქტურის მქონე მასალა, რომელიც იოლად იხსნება ნაქარგიდან და დნება წყალში.



სურ: 6. მანქანური ნაქარგობა

12.1.3. დასრულებული ნაქარგის სარჩულით დამუშავება

ნაქარგობის დასრულებული ნიმუშისათვის მნიშვნელოვანია ფორმის მიცემა, სასარჩულე ქსოვილის შერჩევა და მისი გამოკერება. სასარჩულე ქსოვილის შერჩევას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ქსოვილის ფერი და ხარისხი (სურ: 7). სასარჩულედ შერჩეული ქსოვილი უნდა იყოს თხელი, მსუბუქი და მიესადაგებოდეს იმ ქსოვილს, რომელზეც შესრულებულია ნაქარგობა (სურ: 8).



სურ: 7. სასარჩულე ქსოვილები



სურ: 8. სარჩულის გამოდების პროცესი

ვიდრე დავიწყებთ სარჩულის გამოდების პროცესს, ეს ქსოვილი აუცილებლად უნდა დასველდეს, გაშრეს და თბური წესით დამუშავდეს. ამ მეთოდის უარყოფით შეიძლება, სარჩულის დასველების შემთხვევაში (ნაქარგის გაწმენდა-გარეცხვა ან დანამვით-თბური დამუშავება), სარჩული შედგეს, რაც ნაქარგობის ფორმის დეფორმირებას გამოიწვევს. სარჩულის გამოკერებისას გასათვალისწინებელია, თუ რომელი სახეობითაა შესრულებული ქარგულობა.

ნამაგრი სითვით ან მძიურით ნაქარგ ნივთს სარჩული აუცილებლად ხელით უნდა გამოეკეროს.

სარჩულის ხელით გამოკერების შემთხვევაში, სასურველია გამოვიყენოთ ქობის მეთოდი. რომელიც თითქმის ყოველთვის გვხვდება ძველი ნაქარგობის ნიმუშებზე. ქობა, ზოგიერთ შემთხვევაში, ზურგის მხრიდან კარგ პირზე გადმოდის და ნაქარგობას ირგვლივ შემოუყვება (სურ: 9).



სურ: 9. სარჩული, რომელიც კარგ ზედაპირზე გამოდის

რას გულისხმობს ეს მეთოდი? ეს ნიშნავს, რომ მიწარის ქსოვილი 1სმ-დან 5 სმ-მდე გადადის სარჩულის მხარეს და შემდგომ მას ეკერება სარჩული.

თუ სარჩულის გამოკერებისას არ არის გამოყენებული ქობის მეთოდი და მიწარი და სარჩული პირი პირთან მიდის, მაშინ ნაქარგი ნივთის კიდეებს ირგვლივ შემოსდევს წნული ზონარი, ე.წ. „ყაითანი“ ან ფოჩი (სურ: 10).



სურ: 10.

ორმხრივი სითვით ნაქარგის დასარჩულებიას, უმეტეს შემთხვევაში, გამოიყენება მანქანური მეთოდი, ანუ უკვე დასრულებული ნაქარგობის ნიმუშს კიდევზე, კარგი პირიდან ჯერ ხელით მიელამბება სასარჩულე ქსოვილი. ლამბი მიწარისა და სასარჩულე ქსოვილის კიდევზე 1სმ-ით შიგნით უნდა გაკეთდეს, შემდეგ მანქანით გაიკეროს, ლამბები ამოეცალოს და გადმოზრუნდეს. კიდევების გასასწორებლად ვიყენებთ თბური დამუშავების კონტაქტურ მეთოდს.

ამ მეთოდის გამოყენებისას ერთ კიდევზე გარკვეულ მონაკვეთს გაუკერავს ვტოვებთ, რომ შესაძლებელი იყოს სარჩულის გადმოზრუნება. დარჩენილი ღიობი შემდეგ იკერება ფარული გვირისტი.

კითხვები თვითშემოწმებისთვის

1. რას ითვალისწინებს ნაქარგის თბური წესით დამუშავება?
2. რა შემთხვევაში ვიყენებთ კონტაქტურ მეთოდს?
3. რა შემთხვევაში ვიყენებთ უკონტაქტო მეთოდს?
4. როგორ ხდება მძიურით ნაქარგის დამუშავება?
5. როგორ ხდება ნამაგრი სითვით ნაქარგის დამუშავება?
6. რა უნდა გავითვალისწინოთ სასარჩულე ქსოვილის შერჩევისას?
7. როგორ ხდება სარჩულის ქობით გამოკერება?
8. რა შემთხვევაში ვიყენებთ საკერავ მანქანას სარჩულის გამოყენებისას?
9. კიდევ რომელი მეთოდი გამოიყენება სარჩულის გამოკერებისას?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ გვერდები:

1. სულხანიშვილი ე. სამუზეუმო ქსოვილების რესტავრაცია-კონსერვაცია. ნარკვევები მე-7 ტომი. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი 2001.



ნაქარგობის რესტავრაცია - კონსერვაცია თავი XIII



მეთვრამეტე საუკუნის მიტრა რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ



შესავალი

სახელმძღვანელოს ამ თავში საუბარია დაზიანებულ ნაქარგობის ნიმუშების რესტავრაცია - კონსერვაციის საკითხებსა და მეთოდებზე. აქვე გამახვილებულია ყურადღება სამუზეუმო ნივთთა რესტავრაციის თავისებურებებზე.

საუბარია იმ ტექნიკურ საშუალებებსა და ხერხებზე, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ რესტავრაცია-კონსერვაციის დროს.

რესტავრაცია-კონსერვაცია, როგორც მუზეუმში დაცული ნივთებიდან ჩანს, საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. დაზიანებული ნივთების „შეკეთებისა“ და „აღდგენის“ შესახებ თავად სამუზეუმო ნივთებზე დაცული წარწერები მოგვითხრობენ. ამის მაგალითებია: ომოფორი ანჩადან (1358), რომელსაც რესტავრაცია გაუკეთა 1652 წელს ცაიშის ეპისკოპოსის დავით ჯოლიას დამ, თამარმა.



ომოფორი ანჩადან 1358 წ.

ასევე, გარდამოხსნა საჩხერიდან, რომლის წარწერაში მოხსენიებულია „ამა გარდამოხსნის განმაახლებელი“ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565).



ბაგრატ იმერეთა მეფის გარდამოხსნა (1510 1565)

ნაქარგობისა თუ ქსოვილების ის უძველესი ნიმუშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული, დროთა განმავლობაში მიღებული დაზიანებების გამო ხშირად საჭიროებს კონსერვაცია-რესტავრაციას. დროთა განმავლობაში ქსოვილი თუ ნაქარგობის ნიმუში კარგავს ელასტიკურობას, სიმტკიცეს, რაც ქსოვილის სტრუქტურის დაშლას იწვევს. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტის ჩარევა. ამას კი სპეციალური განათლება და ცოდნა სჭირდება. ამ საქმის სპეციალისტი უნდა ფლობდეს ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომლებიც მას გამოადგება დაზიანებული ექსპონატის რესტავრაციაკონსერვაციის საქმეში.

სარესტავრაციო საქმიანობა, ზოგადად, შეიძლება ორ მთავარ ნაწილად გავყოთ:

პირველი, როდესაც ხდება დაზიანებული ნივთის კონსერვაცია, ანუ დაზიანებული ადგილების დამაგრება-დაკონსერვება;

მეორე - პირდაპირი გაგებით რესტავრაცია, ანუ დაზიანებული ადგილების აღდგენა, ნაკლული ადგილების შევსება. ამ მეთოდს სამუზეუმო ექსპონატებთან დაკავშირებით თითქმის არ მიმართავენ, რადგან სამუზეუმო ნივთებთან დაკავშირებით უფრო კონსერვაციის მეთოდს მიმართავენ და რესტავრატორი ნაკლებ ერევა ნივთის პირვანდელი იერსახის დაბრუნების საქმეში.

ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ რა სახისაა ქსოვილი და დაზიანების ხარისხი. ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, საჭიროა რესტავრატორმა იცოდეს და სწორად შეარჩიოს სარესტავრაციო მასალები და საშუალებები.



13.1. ნაქარგობის რესტავრაცია - კონსერვაცია

13.1.1. სარესტავრაციო მასალისა და ხელსაწყოების შერჩევა

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარესტავრაციო საქმიანობაში სახელოსნოსა და რესტავრატორის სამუშაო ადგილის შერჩევასა და მოწყობას. სარესტავრაციო სახელოსნო უნდა იყოს კარგი ბუნებრივი განათებით, ამას ემატებოდა, საჭიროების შემთხვევაში, მაგიდის ნათურა მიმართული განათებით, თვალისთვის დახურულ მდგომარეობაში (სურ: 1).



სურ: 1. სარესტავრაციო მაგიდა ნათურით

სარესტავრაციო სახელოსნოში უნდა იდგეს ერთი დიდი მაგიდა მოძრავი თავით, რომელსაც რესტავრატორი მისთვის სასურველ მდგომარეობაში დააყენებს (სურ: 2).



სურ: 2. სარესტავრაციო დიდი მაგიდა

სარესტავრციო სახელოსნოში ასეთი მაგიდა დიდი ექსპონატებისათვისაც გამოიყენება. როდესაც მასზე რესტავრაციის პროცესში მყოფ ნივთებს განათავსებენ, სამუშაოს შეწყვეტისას აფარებენ სპეციალურ ქაღალდს ან ბამბის თხელ ქსოვილს. ეს ექსპონატს იცავს ზედმეტი სინათლისა და გარემო მტვრის ზემოქმედებისაგან.

რესტავრატორს დამატებით განათებასთან ერთად სჭირდება მაგიდის გამადიდებელი შუშა (სურ: 3),



სურ: 3. რესტავრატორი გამადიდებელი შუშით მუშაობის პროცესში

რომელიც ხელს უწყობს დაზიანებული ადგილების უზუსტეს აღქმასა და აღდგენაში. ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, თუ ის აკეთებს რესტავრაციას უკვე კარგად აპრობირებული მეთოდით - ნემსითა და ძაფით, მას ესაჭიროება ნულოვანი ნომრის ნემსი, სანემსე ბალიში და სარესტავრაციო ნივთის შესაბამისი ძაფი: აბრეშუმის, ბამბა, შალი, მულინე და ორგანზადან (გაზის ქსოვილი) გამორღვეული ძაფი (სურ: 4), რომლის უწვრილესი სტრუქტურა ყველაზე კარგად მიესადაგება რესტავრაციის პროცესს.



სურ: 4. ორგანზადან, აბრეშუმის ქსოვილიდან სარესტავრაციო ძაფის გამორღვევა

მას ასევე სჭირდება მაკრატელი დიდი და პატარა, ყაისნალი, ჩქიფი, ამოსარღვევი კაუჭი, სხვადასხვა ნომრის ნემსი (სურ: 5).



სურ: 5. სარესტავრაციო ხელსაწყოები და მასალა

სასურველია ყველა სტუდენტს სამუშაო მაგიდაზე ჰქონდეს კონტეინერი, ხელსაქმის ინვენტარის შესანახად (სურ: 6).



სურ: 6. რესტავრატორის სამუშაო კუთხე ხელსაწყოების კონტეინერებით

რესტავრატორის სამუშაო მაგიდა აღჭურვილი უნდა იყოს იმ საჭირო ხელსაწყოთი და ინვენტარით, რომლებიც მას დაეხმარება საკმაოდ რთული სამუშაოს შესრულებაში (სურ: 7).



სურ: 7. რესტავრატორის სამუშაო კუთხე

სარესტავრაციო სახელოსნოში სასურველია იყოს დიდი ხის დაფა ძაფის კოჭებისა და შულოების განსათავსებლად, კედლის კარადა უჯრებით სარესტავრაციო და საქარგავი საშუალებების შესანახად (სურ: 8).



სურ: 8. სარესტავრაციო სახელოსნოში

სარესტავრაციო სახელოსნოში ასევე უნდა იყოს ბუნებრივი აბრეშუმის, ბამბის, სელისა და შალის ქსოვილი, რომლებსაც რესტავრატორი შეარჩევს რესტავრაციისათვის ფაქტურის, ფერისა სტრუქტურის მიხედვით.

ზოგადად, სამუზეუმო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს ბუნებრივი ქსოვილი სასურველია იყოს თეთრი ფერის, რომელსაც რესტავრატორი თავად შედეზავს რესტავრაციის პროცესში მისთვის საჭირო ფერში.

სარესტავრაციო ხელსაწყოების შერჩევასაც რესტავრატორმა უნდა იცოდეს არსებული მეთოდები და კონკრეტული სიტუაციისათვის თვითონ შეარჩიოს სარესტავრაციო მასალა.

თუ რესტავრატორი იყენებს დაწებების მეთოდს, მაშინ მას ესაჭიროება სპეციალური წებო, რომელიც უნდა შეირჩეს ქიმიური შემადგენლობის მაქსიმალურად გამორიცხვის მიხედვით, რათა ქსოვილების ბუნებრიობა არ დაირღვეს.

ნაქარგობის რესტავრაციისათვის სტუდენტმა სამაგრი ქსოვილის შერჩევასაც უნდა გაითვალისწინოს სარესტავრაციო ქსოვილის სახეობა. სამაგრი ქსოვილი უნდა იყოს ბუნებრივი, მტკიცე მისაქსელით და თხელი ბამბა, აბრეშუმი. ასევე აუცილებელია მიესადაგებოდეს სამაგრი ქსოვილის, ძაფის ფერი და ფაქტურა სარესტავრაციო ნივთის ფერსა და ფაქტურას.

13.1.2. სარესტავრაციო ნივთის გაწმენდა

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რესტავრაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია დაზიანებული ნივთის გაწმენდა-გასუფთავება. ამ პროცესის სწორად წარმართვა გულისხმობს გასაწმენდი საშუალებების ზუსტად შერჩევას ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. მაგ: მარგალიტით ნაქარგის გაწმენდისას მხოლოდ წყლის გამოყენებას არა აქვს ისეთი ეფექტი, როგორც მარილიანი წყლით გაწმენდას. განსაკუთრებით ეფექტური შედეგი აქვს ზღვის მარილიანი წყლით გაწმენდისას.

ნივთის გაწმენდის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა გამოხდილი წყლის, სპირტისა და გლიცერინის ნაერთი (სურ: 9).



სურ: 9. გამოხდილი წყლის, სპირტისა და გლიცერინის გაზავება

დოზირება: გამობდილი წყალი და სპირტი - 1X1, ხოლო გლოცერინი - 0,10 %

წყალ-სპირტის ნაერთ ხსნარში სპირტის რაოდენობის გაზრდა ქსოვილს უკეთესად უნარჩუნებს სიმაგრეს, ხოლო გლიცერინი არბილებს ქსოვილს და ხელოვნურად ზრდის მის ჰიდროსკოპულობას.

ქსოვილის გასაწმენდად შეგვიძლია გამოვიყენოთ მარტო წყალ-საპნის ნაერთი. ძირითადად გამოიყენება ქიმიურად სუფთა საპონი (ბავშვის საპონი), რომელიც გამობდილ წყალში უნდა გაიხსნას, ძალიან მცირე რაოდენობით (საპონი შეიძლება იყოს ფხვნილის სახით ან ხელით გავხსნათ ძალიან ცოტა).

თუ სარესტავრაციო ნივთი ძალიან დაზიანებულია, წყალ-სპირტის ან წყალ-საპნის გამოყენება არ არის რეკომენდებული. იწმინდება მხოლოდ გამობდილ წყალში დასველებული, კარგად გაწურული დოლბანდის ბურთულებით და სასწრაფოდ ხდება ნივთის, საშრობი ქაღალდით ან დოლბანდის საფენით გაშრობა.

განსხვავებული მეთოდით იწმინდება ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი ნივთები. მათი მხოლოდ ზედაპირული გაწმენდა ხდება და არა მთლიანად საწმენდ სითხეში ჩაძირვა. ლითონის ძაფების გასაწმენდად წყალ-სპირტის ნაერთში იზრდება სპირტის რაოდენობა, რადგან ასეთი ნაერთი ოქრომკედსა და ვერცხლმკედს მეტ ბზინვარებას აძლევს.

დოზირება: 2 X 1, შეიძლება 3 X 1

გაწმენდის პროცესის დაწყებამდე საჭიროა გასაწმენდი ქსოვილის პატარა ნაწილის შემოწმება ფერისა და ქსოვილის ფორმის მდგრადობის გასარკვევად, რათა თავიდან ავიცილოთ არასასურველი შედეგები - ქსოვილის დეფორმაცია ან ზედმეტად დარბილება და ფაქტურის შეცვლა(სურ: 10).



სურ: 10. სარესტავრაციო ნაქარგობის ფერის მდგრადობის შემოწმება

ასეთ შემთხვევაში გამოვიყენებთ მეტად მარტივ და „უმტკივნეულო“ მეთოდს: დოლბანდის ბურთულას (სურ: 11) დავასველებთ გამოხდილ წყალში, კარგად გავწურავთ და ზედაპირულად, ძალიან ფრთხილად, გავწმენდთ ქსოვილისა თუ ნაქარგობის პატრა ნაწილს (სურ: 12). თუ გაშრობის შემდეგ ქსოვილმა და ნაქარგობამ ცვლილება არ განიცადა, ვაგრძელებთ პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგად გაწურული დოლბანდის ბურთულით ზედაპირულად, მსუბუქად ვწმენდთ ან წვრილი, რბილი ფუნჯით ვაცლით მტვერს (სურ: 13). ნაქარგობაში გამოყენებული სხვადასხვა ფერის ფრაგმენტის გასაწმენდად გამოიყენება სხვადასხვა ბურთულა - თითოეული ფერი იწმინდება ცალკე ბურთულით.



სურ: 11. დოლბანდის ბურთულები



სურ: 12. გაწმენდის პროცესი



სურ: 13. ფუნჯით გაწმენდის პროცესი

განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება ფერადი ძაფით ნაქარგის გაწმენდას. პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს საღებავის ფერის მდგრადობა, რაც ადუღებული წყლით მოწმდება. სარესტავრაციო ქსოვილს ან ნაქარგობას ოდნავ შევეხებით მდუღარე წყალში დასველებული დოლბანდის ბურთულით, თუ ბურთულას აჰყვას ფერი, მაშინ ვიყენებთ ე.წ. ხალხურ მეთოდს, რომლიც საქართველოში ოდითგანვე გამოიყენებოდა - ფერის მდგრადობის შესანარჩუნებლად წყალში ურევენ ღვინის ძმარს ან მარილს და ისე წმენდენ ნივთს. მიუხედავად ფერის მდგრადობის ხარისხისა, მოცემული ყველა ფერი დოლბანდის სხვადასხვა ბურთულით იწმინდება.

გაწმენდის პროცესში უფრო მოსახერხებელია დოლბანდის ბურთულების გამოყენება, ვიდრე ბამბის ბურთულებისა, რომ არ დარჩეს ქსოვილსა თუ ნაქარგობაზე ბამბის ბუსუსები (განსაკუთრებით ეს გასათვალისწინებელია ლითონის ძაფებით ნაქარგის რესტავრაციისას).

ყოველ ნივთს გაწმენდის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოცილდეს ტენი და გაშრეს. ამისათვის სასურველია გამოვიყენოთ სპეციალური საშრობი ქაღალდი, რომელიც ტენს უფრო სწრაფად იწოვს, ვიდრე დოლბანდის საფენი. შეიძლება დოლბანდის გამოყენებაც: გაწმენდილი ნივთის ქვეშ ვაფენთ და ზემოდანაც ვაფარებთ მშრალ დოლბანდს. ჯერ ხელის ოდნავ, ნაზად შეხებით ვცდილობთ მეტი ტენის მოცილებას. ამ პროცესში დოლბანდი რამდენჯერმე იცვლება - ახალს, მშრალს ვაფენთ. ამის შემდეგ ნივთი ოთახის ტემპერატურაზე შრება.

13.1.3. სარესტავრაციო ნაქარგობის დუბლირებისა და რესტავრაციის პროცესი

საქართველოში ქსოვილის რესტავრაციის მეთოდი ერთგვაროვანია, გამოიყენება მხოლოდ ნემსი და ძაფი. უარყოფილია ქსოვილის დაწებება, რადგან რამდენიმე წლის წინ დაწებებით რესტავრირებული ქსოვილების მდგომარეობა დროთა განმავლობაში დამძიმდა და სასურველი შედეგი არ მოგვცა.

სარესტავრაციოდ მომზადებული ნივთისათვის უპირველესად ვარჩევთ შესაფერის, ქვეშ საფენ სამაგრ ქსოვილს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ნატურალური და ბუნებრივ საღებავში შეღებილი სარესტავრაციო ქსოვილის მიწარის შესაბამის ფერში. რესტავრაციისათვის, ქსოვილის გარდა, გვჭირდება შესაფერისი ძაფი. შემდეგ ვიწყებთ რესტავრაციის პროცესს, რომელიც სარესტავრაციო ნივთის სამაგრ ქსოვილზე დამაგრებით იწყება. პირველ რიგში, სამაგრ ქსოვილზე ვაფენთ ნივთს, კარგად ვასწორებთ და შემდეგ ჰორიზონტალურად განლაგებული სალამბი გვირისტით, გამორჩეული ფერს ძაფით ვამაგრებთ.



სურ: 14. სამაგრ ქსოვილზე სარესტავრაციო ნივთის სალამბი გვირისტით დამაგრება

გვირისტი კეთდება სარესტავრაციო ქსოვილის მთელ არეზე და ერთმანეთისგან დაახლოებით 5-6 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული, იმისათვის რომ ქსოვილმა არ იმოძრაოს და დაზღვეული ვიყოს რესტავრაციის პროცესში მისი დეფორმაციისაგან.

ანალოგიური მეთოდით მაგრდება ყველა დაზიანებული ადგილი, ოღონდ ამ შემთხვევაში ჩამაგრება ხდება უფრო კონკრეტულად, დაზიანების კერების კონტურზე. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ სალამბავი ბმულადების განლაგებამ ხელი არ უნდა შეუშალოს რესტავრაციის პროცესის დასრულების შემდეგ ამ ლამბების ამორღვევას.

რესტავრაციის პროცესში ძირითადად გამოიყენება რესტავრატორის მაგიდა, რომელზეც იფინება სარესტავრაციო ნივთი. ქარგა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ფაქტობრივად გამოუყენებელია რესტავრაციისათვის (სურ: 15).



სურ: 15.

ქსოვილის დაზიანების სხვადასხვაგვარობიდან გამომდინარე, პროცესიც განსხვავებულია. როდესაც სარესტავრაციო ნივთის მიწარის ნაწილია დაზიანებული და შემორჩენილია მხოლოდ ქსოვილის ქსელი, მაშინ ხდება ვერტიკალურად განლაგებული ქსელის ძაფის ჩამაგრება ჰორიზონტალური ბმულადებით (სურ: 16). ქსელის მთელ სიგანეზე იჭიმება შესაფერისი ფერის ძაფი და მისი დამაგრება ხდება ზემოდან. ამ შემთხვევაში ვინარჩუნებთ ქსოვილის შემორჩენილ ნაწილს - ქსელს. რესტავრაციის ეს მეთოდი ცნობილია ე.წ. „სარესტავრაციო ბადის“ სახელით (სურ: 17).

ხშირია შემთხვევა, როდესაც მიწარი მთლიანად ძაფებადაა ქცეული, ანუ, ფაქტობრივად, მხოლოდ ქსელის ძაფებია შემორჩენილი. ქსოვილის მთელ არეს, დაზიანების შემთხვევაში, ვიყენებთ ახლო-ახლო მოკლე ბმულადებს.

„სარესტავრაციო ბადის“ მეთოდი - ქსოვილის შემადგენელი ძაფები სამაგრ ქსოვილზე უნდა გასწორდეს ქსელის მიხედვით და გარკვეულ მონაკვეთზე განივად, ძაფებზე ზემოდან, გადაიჭიმება შესაფერისი ფერის სამაგრი ძაფი. შემდეგ ხდება გადაჭიმული ძაფის ჩამაგრება.



სურ: 16. მოკლე ბმულადებით ქსელის დამაგრება



სურ: 17. საბუხარები სარესტავრაციო ბადითა და „ატლასურით“ აღდგენილი

თუ დაზიანებულია ქსოვილის პატარა მონაკვეთი, მაშინ ვიყენებთ მეთოდს „ატლასური“. მიწარის შესაბამისი ფერისა და ხარისხის ძაფით, მოკლე ბიჯებით (გვირისტით), ქსელის მიხედვით ივსება (იფარება) გადახეხილი ადგილები. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, მიწარის პირვანდელ სახეს ვიღებთ.

არის შემთხვევები, როდესაც სარესტავრაციო ნივთის მიწარი ძალიან დაზიანებულია, მაგრამ ნაქარგობა კარგად არის შემორჩენილი. ასეთი ნივთების რესტავრაციისას გამოიყენება ორი მეთოდი: ერთი, როდესაც ნაქარგობა გადააქვთ და ამაგრებენ ახალ მიწარზე და მეორე, როდესაც ხდება ნაქარგობებს შორის გაცვეთილი ადგილის შევსება ახალი სამაგრი ქსოვილით, რომელზეც ხდება შემორჩენილი ძველი ქსოვილის მცირე ნაწილების ჩამაგრება. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ნივთს ვუნარჩუნებთ ძველ იერსახეს (სურ: 18).



სურ: 18.

ნაქარგობა სრულდება სხვადასხვა მასალით და, შესაბამისად, მისი რესტავრაციის მეთოდებიც სხვადასხვაა. თუ ნაქარგობა შესრულებულია ლითონის ძაფებით - ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი - მაშინ ხდება ძაფის დამაგრება ზემოდან. ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ რომელი მეთოდითაა ნაქარგობა შესრულებული, რადგან სასურველია არღვეული ძაფების ჩამაგრება იმავე მეთოდით შესრულდეს. ზემოდან ჩამაგრების მეთოდი გამოიყენება ხავერდულა ძაფით შესრულებული ნაქარგობის დროსაც, ხოლო აბრეშუმის, მულინეს და თხელი შალის ძაფებით შესრულებული ნაქარგობის რესტავრაციის დროს გამოიყენება ჩვეულებრივი ორმხრივი სითვის პრინციპი და რესტავრაცია ხდება ქარგვის მეთოდის მიხედვით.

ქართული მხატვრული ქარგვის ისტორიაში თავისი ადგილი უკავია მძიური ქარგვის ნიმუშებს, რომელთა შესახებ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში გვაქვს საუბარი. აქედან გამომდინარე, სასურველია ნაქარგობისა და ქსოვილების რესტავრატორმა იცოდეს მძიური ნაქარგობის რესტავრაციის თავისებურებანი.

მძიური ნაქარგობის რესტავრაციისას ორი მეთოდით ხდება დაზიანებული ადგილების შევსება (სურ: 19).



სურ 19. სხმული მარგალიტით რესტავრაციის პროცესი

მაგ: მარგალიტით ნაქარგის შემთხვევაში, გამოიყენება სხმული მარგალიტი, აღდგენა ხდება ყოველი მესამე ან მეოთხე მძივის შემდეგ, ის ძაფი ჩამაგრდება, რომელზეც მარგალიტია ასხმული.

ფერადი მძივებით ნაქარგის შემთხვევაში, სათითაოდ ხდება მძივის ჩამაგრება დაზიანებულ ადგილებში (სურ: 20).



სურ: 20. თეთრი მინის მძივებით რესტავრაციის პროცესი

თუ სარესტავრაციო ქსოვილი ან ნაქარგობა ძველია, მაშინ სასურველია გამოყენებულ იქნას კონსერვაცია, ხოლო თანამედროვე ნივთებისათვის - რესტავრაცია.

ნაქარგობისა თუ ქსოვილის რესტავრაციის პროცესში გასათვალისწინებელია უკვე არსებული რესტავრირებული ნიმუშების გაცნობა და შესწავლა, რომ სტუდენტმა თვალნათლივ ნახოს რესტავრაციის მეთოდების მრავალგვარობა. ამით მას ეძლევა საშუალება სწორი ანალიზი გააკეთოს და მუშაობის პროცესში ზუსტად შეარჩიოს ის მეთოდი, რომელიც მას კონკრეტულ შემთხვევაში ესაჭიროება.

რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდის სწორად შერჩევა და სარესტავრაციო მასალის ზუსტი მისადაგებაა.

მნიშვნელოვანია აღდგენილი და რესტავრირებული ნივთისათვის დასრულებული სახის მიცემა, რაც გულისხმობს სარჩულის გამოდებას. თუ რესტავრირებულ ნივთს ჰქონდა სარჩული და ის კარგ მდგომარეობაშია, ვაწესრიგებთ და ვაბრუნებთ თავის ადგილას, ხოლო თუ დაზიანებულია - ვცვლით ახლით - შესაბამისი ფერის, ფაქტურისა და ხარისხის ქსოვილით (სურ: 21). მაგრამ თუ ძველი სარჩული მაღალი ხარისხის ან მნიშვნელოვანი

ქსოვილისაა და დაზიანებულია, მაშინ ხდება მისი რესტავრირება და ისევ სარჩულად გამოყენება.



სურ: 21. სარჩულის გამოცვლის პროცესი



სურ: 22. ფერადი აბრეშუმის ძაფით ნაქარგის რესტავრაციის პროცესი

13.1.4. ხალიჩებისა და ფარდაგების რესტავრაცია-კონსერვაცია

რესტავრაცია-კონსერვაციაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ხალიჩების, ფარდაგების რესტავრაციის პროცესს, რომელიც თავისი მეთოდით ახლოსაა ნაქარგობის რესტავრაციასთან, მაგრამ მას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ხალიჩის დაზიანებულ ადგილებში ქსელისა და მისაქსელის სრული აღდგენა ხდება (სურ: 24).



სურ: 23.



სურ: 24. რესტავრაციის პროცესი

ეს პროცესი მოითხოვს ხალიჩისა და ფარდაგის ქსოვის ცოდნას, რადგან დაზიანებულ ნაწილზე, ფაქტობრივად ხელახლა იბნევა ქსელი და შესაბამისი ფერადი შალის ძაფებით ხდება ჩაქსოვა. ამ პროცესისათვის წინასწარ ემზადება რესტავრატორი, რადგან ეს პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად: ამ სურათზე წარმოდგენილია ყაჯარი, რომლისთვისაც დაზიანებული ადგილების აღსადგენად შეირჩა არსებული სიმჭიდროვის ქსელი და მისაქსელი, შეიღება შალის ძაფები კოლორიტისა და სიმჭიდროვის გათვალისწინებით. ამის შემდეგ ქსელისა და მისაქსელის მოჭიდების შედეგად აღდგა, როგორც ფიგურატიული ნაწილი, ისე ხალიჩის ქობა. აქ, როგორც ვხედავთ, მოხდა დაზიანებული ადგილის სრული აღდგენა და არა კონსერვირება (სურ: 25).



სურ: 25. XVIII ს-ის ყაჯარი. დაზიანებული ადგილების აღდგენის პროცესი

ხალიჩებისა და ფარდაგების აღდგენა-რესტავრაციის, ფაქტობრივად, ხალიჩის ქსოვის სრული პროცესის გამეორება ხდება. ძაფის, ფერისა და ქსოვის ტექნიკის სწორი შერჩევით დაზიანებული ადგილების აღდგენილი ნაწილის შემჩნევა შეუიარაღებელი თვალით თითქმის შეუძლებელია.



კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რას გულისხმობს ტერმინები --კონსერვაცია და რესტავრაცია?
2. როგორ უნდა იყოს რესტავრატორის სამუშაო კუთხე?
3. რა მეთოდით უნდა შევარჩიოთ სარესტავრაციო მასალა?
4. რომელი ძირითადი ხელსაწყო-იარაღები გვესაჭიროება ნაქარგობის რესტავრაციისათვის?
5. რა პროცედურით იწყება დაზიანებული ნივთის რესტავრაცია-კონსერვაცია?
6. როგორ უნდა გაიწმინდოს სარესტავრაციო ექსპონატი?
7. როგორ უნდა შევამოწმოთ ფერის მდგრადობა ნივთის გაწმენდის წინ?
8. როგორ უნდა შევარჩიოთ რესტავრაციისათვის საჭირო მასალა?
9. რა უნდა გავითვალისწინოთ გაწმენდისა და რესტავრაციის დროს?
10. რა მეთოდებით ვახდენთ ძლიერ დაზიანებული ადგილების რესტავრაცია-კონსერვაციას?
11. რა მეთოდს მივმართავთ მძიური ნაქარგობით შესრულებული ნივთის დაზიანებული ადგილის აღგენისას?
12. რა განსხვავებაა დაზიანებული ნაქარგობისა და ხალიჩის რესტავრაციის პროცესებს შორის?

➤ გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. სულხანიშვილი ე. სამუზეუმო ქსოვილების რესტავრაცია-კონსერვაცია. ნარკვევები მე-7 ტომი. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი 2001



ლექსიკონი

ნაქარგობის ტექნიკაზე

1. **აბრეშუმი გრებილი** - ძაფის ხვეულების ჩრდილი ნაკლებ ბზინვარეს ხდის მას და ნაქარგობას რელიეფურობას მატებს;
2. **აბრეშუმი შლილი** - დაუგრეხავი აბრეშუმის ძაფი, ხასიათდება სიპრიალით, ნაქარგს ატლასის ელფერს აძლევს;
3. **ადიდა** - ლითონის მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო;
4. **ალი** - ცეცხლის ფერი;
5. **ალის ჩიჩაგლის ხარისა** - ცეცხლისფერი უსახო ოქროსქსოვილი;
6. **ამბრიანი** - ამბარი, სუნელია, „ზღვისაგან გამოიღებენ, რომელნიმე ფუტკართა ფიტსა იტყვიან“;
7. **ატლასური ნაქარგობა** - ორმხრივი სითვის სახეობა, რომელიც ნაქარგის ზედაპირის ატლასის სიპრიალით ხასიათდება;
8. **ბასმა** - ლეჩაქის დასაჭრელელებელი საღებავი;
9. **ბაწარზე ნაქარგი** - გამოსახულების კონტურზე მაგრდება ბაწარი და იფარება მიჯრით მიწყობილი ნამაგრებით;
10. **ბიბლიური ქვები** - მღვდელმთავარ აარონის ეგოდის სამკერდულზე განლაგებული ძვირფასი ქვები;
11. **ბისონი** - თეთრი ფერის ძვირფასი ქსოვილი, რომლის მწარმოებლებიც ძველი ეგვიპტელები იყვნენ. „ესე არს სახე მწვანლისა რასამე, რომლისა მიერ შეიღებვის სამოსელი, ბისონ უწოდებიეს“;
12. **ბმულადი** - ძაფის ჩამაგრება ორი ბოლოდან;
13. **ბმულადი შეფარვითი** - სამაგრი ძაფი (აბრეშუმის ძაფი), შეესაბამება ჩასამაგრებელ ძაფს (ოქრომკედი ან ვერცხლმკედი);
14. **ბმულადი ხილული** - სამაგრი ძაფი კონტრასტულია ჩასამაგრებელ ძაფთან;
15. **გათვალული რომბული სითვი** - რომბული სითვის გართულებული სახეობა, ნამაგრების განლაგება აქაც იმეორებს რომბის ფორმას და ემატება რომბის გულში ერთი ბმულადი;
16. **გახატული** - ირიბი ჯვარი ორნამენტში;
17. **განემსილი** - ორნამენტის გამოყვანა დალიანდაგებით;
18. **გვირისტი** - ბმულადები განლაგებული ერთ ხაზზე, ნემსის წინ და უკან მოძრაობით;
19. **დაბალი/მეპატრაკე** - მეტყავე, ტყავის დამამუშავებელი ხელოსანი;
20. **დაბახანა** - ადგილი, სადაც წარმოებდა ტყავის დამუშავება;
21. **დადედა** - ქსოვილის მომზადება შესაღებად საღებავის შეფერვის განმტკიცება (ს.ს.);
22. **დადედა** - ქსოვილის ან ძაფის გათეთრება ფურის დოსა ან თეთრ შაბში გარკვეულ დროს გაჩერება (ძალიან თეთრდება);
23. **დადედა შინდისფერში** - შინდის მჟავაში გაჩერება;
24. **დადედა ენდროსფერში** - ენდროს წვესა და ნაცარტუტაში;
25. **დადედა ნარინჯისფრად** - თრიმლის გულში;

26. **დადედა ყვითლად** - რძიანასა ან თავყვითელაში;
27. **დადედა ოქროსფერად** - ყვითელ ან თეთრ ფერს დადედავენ ძროხის შარდსა ან აბრეშუმის ყაჭის ნახარშიში;
28. **დადედა ლურჯად** - კაკლის წენგოში და შემდეგ წიდავენ თელის წიდაში;
29. **დადედა მწვანედ** - ყვითლად დადედილს მღებრობის ლილაში ატარებენ;
30. **დადედა შავად** - დედავენ ჟანგორაში;
31. **დადედა ღვიძლისფერად** - მიიღება კაკლის წენგოსაგან, წენგოს მოადულებენ დუდილის გარეშე შიგ დადედავენ;
32. **დაზგა** - შეღებილი ქსოვილის „გასატკეცი“;
33. **დაყალიბება** - იგივეა, რაც ნაქარგობის გატკეცვა;
34. **დაშიბვა** - ქარგვის წესი, რომლითაც ნაქსოვზე ზემოდან გამოჰყავთ ორნამენტული სახეები;
35. **დედაარე** - ნაქარგობის მიწარი, ცენტრალური ნაწილი, რომელზეც იქარგება მთავარი კომპოზიციისა;
36. **დერციკი** - მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი. საქართველოში მამაკაცთა უმრავლესობა ისევ ტრადიციულ ჩოხა-ახალუხით იმოსებოდა, ამიტომ ამ ტანსაცმლის დამამზადებელ დერციკთა რაოდენობა საგრძნობლად დიდი იყო;
37. **დიბა** - ოქრომკედ და ვერცხლმკედნარევი ქსოვილი;
38. **დუფითილა** - ოქრომკედისა და ვერცხლმკედის დასახვევი რკინის მაქოები;
39. **ემმა** - იგივე ზეზი, წითელი „ხაიათისა“ და ოქრომკედის შენაგრები;
40. **ვერცხლის თმა** - თმასავით წვრილი ვერცხლის მავთული;
41. **ვერცხლმკედი** - „განსტკიცული“, გაბრტყელებული ვერცხლის თმა, მიჯრით გადახვეული აბრეშუმის ძაფზე - მკედზე;
42. **ზანზალაკი** - მცირე ზომის ზარი, რომელიც სამღვდლო სამოსს ორ უკერველ გვერდზე აკერია;
43. **ზარბაზი** - ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმი, ოქრომკედით ნაკერი;
44. **„ზარქაში“** - ოქრომკედის სახელწოდება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“;
45. **ზეზი** - ერთმანეთში შეგრებილი ვერცხლმკედი ან ვერცხლის თმა და აბრეშუმის ფერადი ძაფი;
46. **თაღლითი მარგალიტი** - ყალბი მარგალიტი, მარგალიტის იმიტაცია;
47. **თევზიფხური სითვი** - ცალკუთხა ტეხურის მწკრივები ერთიმეორეში ლაგდება;
48. **თითისტარი** - ძაფის დასაგრები ხელსაწყო;
49. **თიკვი** - იგივე **ნაფთული („ქვილი“)** - ფერადი ქსოვილის არასიმეტრიული ნაკუწებითა და ზონრებით შემკული შესამოსელი ან საფენი. ზოგჯერ ეს ნაკუწები ერთმანეთზეა გადაკერებული, ზოგჯერ კი ისინი რაიმე ნეიტრალურ ფონზე არის დაკერებული;
50. **„თოხმახი“** - ოსმალურ ენაზე კვერი, ურო;
51. **ირიბულა** - ძაფიანი ნემსი, ირიბად, ერთმანეთის გვერდით, მიჯრით ალაგებს ბმულადებს;
52. **ირიბულა ჩხირნადები** - ირიბად დალაგებულ ბმულადების მწკრივში ლითონის ძალიან წვრილი ჩხირების ჩართვა;
53. **კალათური სითვი** - ბმულადების განლაგება კალათის მოწვნის პრინციპს იმეორებს;
54. **კალმური სითვი** - მოკალმვით შესრულებული ნაქარგობა, რომელიც გამოსახულების კონტურს ირგვლივ შემოსდევს;

55. **კვირისტავი** - თითისტარის მამოძრავებელი ქვის ან თიხის მრგვალი და შუაში გახვრეტილი საგანი, რომელიც წამოცმულია თითისტარზე. კაცობრიობის ერთი უძველესი გამოგონებათაგანი. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში უამრავი კვირისტავებია აღმოჩენილი, რაც ჩვენში მატყლის დამუშავების ხანგძლივ კულტურაზე მიუთითებს;
56. **კვანძური ნაქარგობა** - ორმხრივი სითვის ერთ-ერთი სახეობა, ე.წ. „როკოკო“;
57. **კილიტი** - ლითონის მრგვალი, წვრილი, ფირფიტა, გამოიყენება ნაქარგის შესამკობად;
58. **კილოური სითვი** - ძაფიანი ნემსი გადის მარყუჟში. ამ სახით ძირითადად დილ-კილო კეთდება და აქედან მიიღო სახელწოდება;
59. **კლანჭური** - (იგივე კეთელი) სპირალისებურად დაგრეხილი ლითონის (სპილენძი, თითბერი) წვრილი სხეპლა;
60. **კლაპიტონი** - იგივე კლანჭური, სპირალური დახვეული ლითონის მავთული;
61. **კლერტული სითვი** - ბმულადების მწკრივი, მოგვაგონებს მცენარის კლერტს;
62. **კნეთელი** - ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი;
63. **ლასტური სითვი** - ბმულადების განლაგება მოგვაგონებს ლასტის წნულს;
64. **ლიანდაგური სითვი** - ნამაგრი ბმულადების განლაგება „დალიანდაგების“ პრინციპზე ხდება;
65. **ლილა** - მცენარეული წარმოშობის საღებავი, იღებდნენ ინდიგოს შემცველი მცენარის ფოთლებიდან. საქართველოში შემოჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ინდოეთი, ირანი, თურქეთი);
66. **მალანთი** - ვერცხლის ან ოქროს წვრილი, გაბრტყელებული მავთული.
67. **მანჯანიკი** - აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ჯარა;
68. **მაშთავი** - ბატკნის ტყავი, რომელსაც ფარაგაზე ავლებენ;
69. **მიწარი** - იხ. დედაარე;
70. **მეწამული** - სისხლისფერი, ახლოსაა ჭიაფერთან. ეს ფერიც მაცხოვრის სისხლის სიმბოლოა;
71. **მკედი** - საშუალო სისქის (მომსხო) აბრეშუმის ან ბამბის ძაფი;
72. **მოსითვული** - სითვით ნაქარგი მიწარი;
73. **მურასა დილი** - მოოჭვილი დილი, თვლებით გაწყობილი;
74. **მუყაიში** - ოქროს ძაფი, გაბრტყელებული (სხეპლა);
75. **მუშა ტილო** - საქარგი ქსოვილის ქვეშ სიმტკიცისა და სიმაგრისთვის გამოდებული სელის ქსოვილი;
76. **მუშაბახი** - **მუშაბადი** - სართხმელი (ერთგვარი ქობა);
77. **მძივური ნაქარგობა** - სხმული და სათითაოდ ჩამაგრებული მძივებით ქარგვა;
78. **ნახლი** - ნაქსოვია ძვირფასი;
79. **ნაკრტენი** - ფრინველის ბუმბული ანუ ღინღლი;
80. **ნაკრტენი სითვი** - ბმულადების განლაგება იმეორებს ფრინველის ფრთაზე ღინღლის განლაგებას;
81. **ნამაგრი სითვი** - ქსოვილზე განლაგებული ერთი სახეობის (ოქრომკედის, ვერცხლმკედის, აბრეშუმის) ძაფი ჩამაგრებული მეორე სახეობის (აბრეშუმის ან ბამბის) ძაფით;

- 82. ნაფთული** - სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაკუწები იგივე „ქვილთი“;
- 83. ნაფენი** - სამუშაო ტილოსა და მიწარს შორის რელიეფურობისათვის გამოყენებული ქსოვილი, ძაფი, ბაწარი ან მუყაო;
- 84. ნაჭრელით ნაქარგი** - გარკვეული ინტერვალების დაშორებით, აბრეშუმის ძაფით ვერცხლმკედის ან ოქრომკედის კილოურით ჩამაგრება (მოგვაგონებს ჯოხის დაჭრელების პრინციპს);
- 85. ნახჭი** - ნაქარგი სახე, ასევე „დახატულობა რისამე სამაგალითოდ ან სადედნოდ“;
- 86. ოლე** - იგივე მოსავლები, დედაარის მოჩარჩოება;
- 87. ორხმრივი სითვი** - აბრეშუმის ან ბამბის ძაფით ორხმრივი ქარგვა;
- 88. ოქრომკედი** - „ვანსტკიცული“ (გაბრტყელებული) ოქროს თმა, მიჯრით გადახვეული აბრეშუმის ძაფზე - მკედზე;
- 89. ოქროს თმა** - უწვრილესი, უწმინდესი ოქროს მავთული (ადამიანის თმის სიმსხო);
- 90. ოქროქსოვილი** - ოქროსთმანაყარი აბრეშუმის ქსოვილი;
- 91. პატრონტაჟი** - (გერმ. Patron-entaschen) სავანზე;
- 92. პეტალები** - სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლითონის ფირფიტები, გამოიყენება ნაქარგის შესამკობად;
- 93. ჟანგორა** - საღებავში მიღებული კაკლის ფოთლებისა, საშავბალახა ან შავთავასაგან;
- 94. რელიეფური სითვი** - ნაქარგი გამოსახულების რელიეფურობის მისაღწევად ნამაგრი სითვის ტექნიკით ჩამაგრებული ნაფენი (იხ. ნაფენი);
- 95. როზაგი** - ჭილოფის საქსოვი ვერტიკალური დაზგა, გავრცელებული იყო სამეგრელოში;
- 96. რომბული სითვი** - ბმულადების რომბისებურად განლაგება;
- 97. საბეჭავი** - ხალიჩის მოქსოვილ ნაწილზე მისაქსელისა და ხაოს დასაპრესი ხელსაწყო (ხის ან რკინის);
- 98. სამწავე** - ხბოს ტყავის წვრილი ნაჭერი, რომელსაც ტყავის საყელოზე ავლებენ;
- 99. საყეპი ურო** - ბზის ურო მოლიპული პირით, სქელი და მოკლე ტარით;
- 100. საპენტი/საპენტელა** - ბამბისა და მატყლის საპენტი საშუალება. საპენტელას ხმარობდნენ, როგორც დასავლეთის (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი), ისე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში (ქიზილი, კახეთი, ქართლი, მთიულეთი);
- 101. საჩეჩელი** - საქსოვი ნართის დასამზადებელი ხელსაწყო. სამკუთხედად შეკრული ხის სამი ფიცარი, რომლის ზედა ნაწილზე ერთ ან ორმწკრივად ჩასმულია ლითონის „კბილები“. ამ ხელსაწყოს გამოყენებას ჩვენში უძველესი ისტორია გააჩნია;

102. **საჩითავი** - სხვადასხვა ფორმის ხის ყალიბები, რომლითაც ხდებოდა ქსოვილის დაჩითვა საღებავის მეშვეობით;
103. **სითვი** - ძაფის ერთმანეთზე მჭიდრო და გლუვი მილაგება, მისდევს გამოსახულების მოყვანილობას;
104. **„სირიფი“** - ოქრომკვედით ნაქარგი (რაჭა);
105. **სიპით (მოყინული ნაქარგი)** - ურელიეფო, ნამაგრი სითვით ნაქარგი, ტოვებს ნაჭედის შთაბეჭდილებას;
106. **სტავრა** - ძვირფასი ქსოვილი, სქელი ფარჩა, ოქროქსოვილი, იგივე დიბა-სტავრა;
107. **სხეპლა** - ოქროს ან ვერცხლის გაბრტყელებული თმა;
108. **ტატაბო** - ფართო თავიანი მრგვალი ღილი;
109. **ტიტიბი** - ბროწეულის ქერქი მოხარშული, შაბით გამაგრებული;
110. **ტეხური სითვი** - ბმულადები ნაწილდება ტეხილი ხაზის მეშვეობით;
111. **უტურა** - საყურე ან მოგრძო (ოვალის ფორმის) ღილი;
112. **ფთილა** - საჩეჩელზე დაჩეჩილი, დასართავად მომზადებული მატყლის ნაწილი;
113. **ფიფინები** - ლითონის ფირფიტები ზედ ნაჭდევი გამოსახულებებით;
114. **ქალაფთონი/ყალიფთანი** - ბრტყელპირიანი მარწუხი, რომლის მეშვეობით ადიდას ნახვრეტში შესულ მავთულს გამოსწევინ და „გაწურავინ“. მისი ბრტყელი პირის მეშვეობით მავთულის გაუწყვეტლად გამოღება ნახვრეტიდან უფრო იოლია;
115. **ქარგა - საქარგავი დაზგა** - არის ორი სახის მრგვალი და ოთხკუთხედი;
116. **ღვედა** - „კაჭკაჭანი“ - ზოლებიანი ტოლის ერთერთი სახეობა;
117. **ყაზაზი** - აბრეშუმის ხელოსან-ფეიქარი, ძაფის დამამზადებელი. ის იყო ოსტატი მასვე ჰქონდა მალაზია დუქანი. ყაზაზის საქმიანობაში შედიოდა ძაფის ამოხვევა, გრეხა, ძახვა;
118. **ყაითანი** - მრგვლად ნაქსოვი ზონარი;
119. **ყაისნალური ნაქარგობა** - ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული, გადაჯაჭვური მარყუჟა ბმულადებით ქარგვა;
120. **ყაისნალი** - თავკაუჭიანი საქსოვი ჩხირი. ყაისნალს აკეთებდნენ ძირითადად ლითონისა და ხისაგან. გამოიყენება ბამბის, აბრეშუმისა და შალის ძაფის საქსოვად;
121. **ყაჭი** - აბრეშუმის ამოხვევის დროს მეორეხარისხოვანი, ნარჩენი პარკიდან ამოხვეული ძაფი;
122. **ყდა, ყდანი** - (ხევს) შალის/ტილოს საქსოვი. ვერტიკალური საქსოვი დაზგის ტიპი.

123. **ყვითელი სირმა** - ბამბის თეთრი ძაფი, შეღებილი ვაშლის წვენში;
124. **შატა** - ღილის შესაკრავი კილო (ხეცს);
125. **შიბა** - ქარგვის წესი, რომლითაც ჩხირებით ნაქსოვზე გამოჰყავთ სახეები (ხეცს);
126. **შიბი** - წნული ძეწკვი ვერცხლისა (ხეცს);
127. **შილა** - ბამბის ქსოვილი (ხეცს);
128. **შილიფა** - ბრტყლად დაწნული ზონარი, ქალის ტანსაცმლის კალთის ნაწიბურზე შემოსავლები (ხეცს);
129. **შულო** - ძაფის ხვეული;
130. **ჩიჩაგლი** - ჩიჩაგლუ, აბრეშუმის ქსოვილი;
131. **ჩიხრიხი** - ხის ხელსაწყო, რომელიც ბამბას აცლის კურკებს. საშუალო ზომის ჩიხრიხი ნახევარი მეტრი სიმაღლისაა;
132. **ჩხირები** - ნართის საქსოვი ჩხირები, გამოიყენებოდა ხის და ლითონის ჩხირებიც. არსებობს სხვადასხვა სისქისა და სიგრძის ჩხირები;
133. **ცრუმარგალიტი** - იგივე თაღლითი მარგალიტი;
134. **ძაღა** - ხარაზის სახმარი სამღებრო მასალა. წარმოადგენდა სპეციალური შავი მიწის და შაბის ნაზავს, რომელიც გახსნილი იყო წყალში;
135. **ძოწეული** - ბროწეულის ყვავილის ფერი - ღვთიური ცეცხლის სიმბოლო;
136. **წიწვური სითვი** - ნაკერობა ბმულადების ერთი მეორეზე „წაკიდებით“ წიწვიან ტოტსაა მიმსგავსებული;
137. **ჭვირნარი ნაქარგობა** - მისაქსელის გამორღვევითა და შემდეგ მისი კილოურით ქარგვა;
138. **ჭიაფერი** - (სპარს. ბუჟდენდი), წითელი საღებავის ჭია ანუ ორგანული პიგმენტი, რომლითაც ეს საღებავი იქმნება, სისხლის სიმბოლო;
139. **ჭრელშიბა** - „შიბა“ ფერად ძაფით შესრულებული;
140. **ჭიჭნაუხტი** - ძველ ქართულში აღნიშნავდა აბრეშუმს. მოგვიანებით შეცვალა სპარსული ენიდან შემოსულმა „აბრეშუმმა“. ტერმინი გვხვდება V საუკუნიდან;
141. **ჭონი** - ბეწვეულის „მკერვალი“, მექუდე, ჭონების ამქრული გაერთიანებები არსებობდა საქართველოს ქალაქებში და მათ ჰქონდათ თავიანთი ამქარი მისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით;
142. **ჭრელშიბა** - შიბა, ფერად ძაფით შესრულებული;
143. **ჯანდრვა** - მრგვალი ხეებით („ჯანდრის ხე“) ან ეშვით ხდება ნაქარგის გატკეცვა;

144. **ჯანდრის ხე** - ხისაგან ან ძვლისაგან დამზადებული სპეციალური ხელსაწყო ნაქარგის გასატკეცად, „გასაჯანდრად“;

145. **ჯვრული ნაქარგობა** - ძაფიანი ნემსი მოძრაობს ჯვრის ფორმით;

146. **ხაიათის ყუთი** - ქალის ხელსაქმის ყუთი;

147. **ხავერდულა** - ხავერდისფერ ხაოიანი, აბრეშუმის ძაფით ქარგვის სახეობა;

148. **ხამი** - ბამბის ქსოვილი. იქსოვებოდა „საქსელოში“, ორდგიმში, ცალფა ან ორმაგი ძაფით. სიმინდის ან პურის ფქვილის ფიფინაში გახამებული ბამბის ძაფით;

149. **ხარაზი** - ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელების (წულა, ჩუსტი, მესტი, ქოში, ფლოსტი, ჩექმა, ქალამანი) მკერავ-ხელოსანი. ხარაზები იყვნენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში;

150. **ხასი** - დახვეწილი, წმინდა აბრეშუმი;

151. **ხარისა** - ხარა, ქარაი-უსახო ოქროქსოვილი;

152. **ხლათი** - ზონარი, რომელიც ფესუედ სამოსსა და საბუხარებზე მათი შებნევის შემდგომ მაჯაზე მჭიდროდ ეხვევა;

153. **ხრიკა** - შესაკრავი კავი იგივე „დუგმა“;

154. **ხოშორი** - სამუალო სისქოს ძაფი ან ძვირფასი ქვა.

